ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
27 ივნისი ორშაბათი 2011
№ 148 (13445) ფასი 80 თეთრი

საქართველო პირველია!

11

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანელები მოდიან!

4

როხიტა როხას კვალზე

ოთ არის! არის!

მარცვალაძის სუპერ დუბლი ტომთან

4

ლამაზია ახლა ეს ამბავი?

ფული, ფულიო და... ბიზნესი აუტში

სფფ XX ყრილობა თუ სსკპ XX ყრილობა? შევეჩვიოთ კარძოს!

რატომ არ აირჩიეს ტორპედოს პრეზიდენტი აღმასკომში?

2

ფეხბურთის ფედერაციის ყრილობა.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ფეხბურთი ლოგიკური თამაშია?

სულ რომ წუწუნია, ფული, ფულიო და... ალმასკომში ბიზნესმენი არ გაიკარეს

"ჰოლიდეი ინში" გამართულ ფეხბურთის ფედერაციის XX ყრილობაზე მრავალ სატკივარსა და პრობლემაზე ილაპარაკეს, თუმცა დღეს მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენასა და გადაწყვეტილებებზე მოგახსენებთ.

საფეხბურთო სკოლების ლიცენზირება

უკვე ითქვა, რომ საფეხბურთო სკოლებში კატასტროფული მდგომარეობაა და მათი უმეტესობა ლიცენზირების მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. ამ საკითხს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა ყრილობაზეც შეეხო.

"ჩვენი ამოცანაა, სკოლებმა საერთაშორისო სტანდარტები დააკმაყოფილონ. ას სკოლაზე მეტი შევამოწმეთ და ლიცენზიის მიღების შანსი მხოლოდ 19-ს აქვს, მათი უმრავლესობა კი თბილისშია. ანუ, ფაქტობრივად, რაიონებში ბავშვების გასაზრდელად არანაირი პირობები არ არსებობს. ამიტომ ფეხბურთის ფედერაცია და სპორტის სამინისტრო ერთიანი ძალებით ჩამოვაყალიბებთ იმ მოთხოვნებს, რომელთა შესრულებაც სავალდებულო იქნება," – თქვა ფედერაციის პრეზიდენტმა.

ყრილობის დელეგატები შეთანხმდნენ, რომ საკლუბო ლიცენზირების განყოფილების მიერ შემუშავებული კატეგორიზაციის დებულებები აუცილებლად უნდა ამოქმედდეს, სკოლების სამართლებრივი, საკადრო, ფინანსური და ინფრასტრუქტურული მდგომარეობა კი უნდა გამოსწორდეს.

მეტი წევრი მეტი დელეგატია

სფფ-ის გენერალურმა მდივანმა **რევაზ არველაძემ** ფედერაციის წევრების სტატუსთან დაკავშირებული ცვლილება წარადგინა: *„ჩვენი დებულება უნდა შევუსაბამოთ ფიფასა და უეფას მოთხოვნებს. ამიტომ ფედერაციის წევრის სტატუსი უნდა შეუჩერდეს პროფესიული ფეხბურთის ლიგას, რადგან ფედერაციის წევრები ერთადროულად არ შეიძლება იყვნენ პროფლიგა და უმაღლესი ლიგის კლუბები. დღევანდელი სტატუს-კვოს შენარჩუნება იმას ნიშნავს, რომ კლუბები ორმაგი ხმით სარგებლობენ, ერთს ყრილობაზე თავად წარმოადგენენ, მეორეს კი, ირიბად, ლიგის საშუალებით. ასეთი რამ ფიფა-უეფასთვის მიუღებელია."*

ზვიად სიჭინავა: *„არ არის სამართლიანი, როდესაც უმაღლესი ლიგიდან გავარდნილი კლუბი ავტომატურად აღარ არის ფედერაციის წევრი. ეს არის აბსურდი. ჩვენი წინადადებაა, ეროვნული ჩემპიონატის მონაწილე ყველა კლუბი ფედერაციის წევრი გახდეს და სიმბოლური თანხა, 300 ან 500 ლარი გადაიხადოს. არ მეგულება კლუბი, რომელიც საკუთარი ნებით იტყვის, დელეგატის უფლება ჩამოგვართვით და პროფლიგას გადაეცითო."*

წინადადება ყრილობის დელეგატებმა ერთხმად მიიღეს.

ბიუჯეტი: 15 მილიონი ლარი

ყრილობაზე ფედერაციის 2011 წლის ბიუჯეტი დაამტკიცეს და გამოჩნდა, რომ მას ჯერ კიდევ ბევრი ვალი აქვს გასასტუმრებელი და რომ მისი მთავარი დამფინანსებელი კვლავ სახელმწიფოა.

ზვიად სიჭინავამ ასეთი რიცხვები დაასახელა: სახელმწიფო ფეხბურთის განვითარებისთვის წლეულს 7 მილიონზე ბევრად მეტს გაიღებს – ჩვენ გვირიცხავს 7 მილიონს, მოედნებისთვის 2,5 მილიონ ლარს დახარჯავს და კიდევ, რაც აქამდე არ თქმულა — სახელმწიფო ყოველწლიურად ბავშვთა ფეხბურთის განვითარებისთვის დამატებით 10 მილიონ ლარს იხდის.

აფხაზეთის ფედერაციის პრეზიდენტმა **მურად ანჯაფარიძემ** გაოცება გამოთქვა, რომ ბიუჯეტში არ იყო ასახული ფედერაციის მიერ შეძენილი მანქანები. ამაზე ფედერაციის ბუღალტერმა **ნარგიზა ჩხიკვაძემ** მიუგო, რომ მანქანის შეძენა ბუღალტრულად არის არა ხარჯი, არამედ ძირითადი საშუალების შეძენა და თავიდან შეიძლება არ აისახოსო.

იყო კითხვა, ლაპარაკი იყო რეგიონული ფედერაციების დაფინანსების გაზრდაზეო, რაზეც სიჭინავამ უპასუხა:

- როდესაც გრანტებიდან გამოყოფილი თანხების განკარგვით დავინტერესდით, აღმოჩნდა, რომ 13 რეგიონული ფედერაციიდან ცხრამ 10 ათასი ლარი მოახმარა არა ფეხბურთის განვითარებას, არამედ ხელფასების გაცემას. ეს არის დარღვევა და გამოვიძიებთ. ამასთან დაკავშირებით კითხვა გაუჩნდა ახლახან თბილისში ჩამოსულ ფიფას წარმომადგენელ ევა პასკიესაც.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, 2011 წლის ბიუჯეტი

2011 წლის შემოსავლები (ლარში)

მოსალოდნელი ბიუჯეტი

შემოსავლები გილეთების რეალიზაციიდან – 800.000
შემოსავლები ტრანსლაციის გაყიდვიდან – 816.000
სპონსორები – 1.182.000
სხვა ეკონომიკური შემოსავლები – 520.000
სულ ეკონომიკური შემოსავლები – 3.318.000

სახელმწიფო დაფინანსება (სახელმწიფო პროგრამა) – 7.200.000
სხვა სუბსიდიები – 40.000
სულ სუბსიდიები – 7.240.000

საერთაშორისო ორგანიზაციების გრანტები

ფიფა - 462,500
უეფა – 3.120.000
სულ გრანტების შემოსავლები – 3.582.500
კლუბების საწევროები - 1.040.000
სულ შემოსავლები - 15.180.500

გასავლები

ეროვნული ნაკრების ხარჯი – 1.685.000
ახალგაზრდული ნაკრების ხარჯი – 2.370.000
ხელფასები – 5.921.926
ბანკის მომსახურების პროცენტი – 20.000
კომუნიკაციის ხარჯი – 65.000
მივლინების ხარჯი – 150.000
ლიცენზირების კომიტეტის ხარჯი – 47.500
კომუნალური, საოფისო, რემონტისა და შენახვის ხარჯები – 154.300
სფფ-ის დაცვა – 35.000
აუდიტი – 40.000
გადასახადი, მიწა, ქონება – 35.000
საბაჟო – 20.000
გაერთიანებული ფეხბურთი – 60.000
ქალთა ფეხბურთი – 170.000
მატჩების ორგანიზების ხარჯები – 200.000
ფუტსალის ნაკრები – 100.000
მოედნების დაგების ხარჯი – 800.000
წარმომადგენლობითი ხარჯი – 150.000
რეგ. ფედერაციების ხარჯი – 130.000
სოციალური და სხვა ხარჯი – 60.000
სულ ხარჯი – 12.213.726
ჯარიმები და საურავები – 80.000

საბანკო სესხები

"საქართველოს ბანკის" სესხი – 1.992.009
"პრივატბანკის" სესხი – 1.075.878
შვეიცარიის ბანკის სესხის დაფარვა – 720.000
"ინფორმსპორტმედიას" სესხის დაფარვა – 384.000
დავალიანება "ჯუმა" – 80.500
სულ სასესხო დანახარჯი - 4.252.387
სულ დანახარჯები – 16.546.113

არც ერთი კერძო მეპატრონე ალმასკომში

ყრილობაზე ახალი ალმასკომი აირჩიეს. სიტყვა "ახალი" პირობითად თუ ითქმის: ძველი უმნიშვნელო ცვლილებით გადაირჩიეს და წინა ალმასკომის 16 წევრიდან 15 ხელახლა აირჩიეს, სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტად არჩეულმა **გელა მაისურაძემ** წინამორბედი **ტარიელ ხაჩიძე** შეცვალა. ძველ წევრებს ორი ახალი დაემატათ - სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ლადო ვარძელაშვილი** და ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი და პროფესიული ლიგის პრეზიდენტი **გია ფირცხალავა**.

საბოლოოდ, ყრილობაზე წარდგენილი 20 კანდიდატიდან 4 წლის განმავლობაში ალმასკომის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს შემდეგი 18 წევრი:

1. კახაბერ ეგრალიძე - **გურიის რფ**
2. ვალერი მანაგაძე - **იმერეთის რფ**
3. გიორგი რევაზიშვილი - **შიდა ქართლის რფ**
4. სერგო კვარაცხელია - **სამეგრელო-ზემო სვანეთის რფ**
5. გოჩა როსტომაშვილი - **კახეთის რფ**
6. ვიტალი გრძელიშვილი - **მცხეთა-მთიანეთის რფ**
7. გია შარაბიძე - **რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რფ**
8. გელა მაისურაძე - **სამცხე-ჯავახეთის რფ**
9. მურად ანჯაფარიძე - **აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული ფედერაცია**
10. ალექსანდრე ჩიგაძე - **ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი**
11. გიორგი ფირცხალავა - **ქალთა ფეხბურთის ასოციაცია**
12. ვახტანგ ქორიძე - **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაცია**
13. გიორგი ასანიძე - **საქართველოს ფეხბურთის მუშაკთა პროფკავშირი**
14. ლაშა მინდელი - **ქვემო ქართლის რფ**
15. ლადო ვარძელაშვილი("დინამო", "მგლები")
16. დავით ნამგალაური - **ფუტსალის ასოციაცია**
17. სერგო გაგელია - **სამხრეთ ოსეთის ფეხბურთის ფედერაცია**
18. გრიგოლ ცაავა - **თბილისის ფეხბურთის ფედერაცია**

ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა ავტომატურად ითვლება ალმასკომის წევრად და თავმჯდომარედ.

იმ დროს, როდესაც ალმასკომში არჩეულმა კანდიდატებმა 30 და მეტი ხმა მიიღეს, საკმარისი ხმები ვერ დააგროვეს ქუთაისის "ტორპედოს" პრეზიდენტმა **ლევან ფხაკაძემ** (8 ხმა) და ბოლნისის "სიონის" გენერალურმა დირექტორმა **ნუგზარ ლომთაძემ** (7).

ამგვარად, ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომში კერძო კლუბების წარმომადგენელთაგან ვერც ერთი ვერ მოხვდა. განსაკუთრებით გასაკვირია "ტორპედოს" მეპატრონისა და პრეზიდენტის იგნორირება. დელეგატების ნებაა, ვინც სურდათ, ის აირჩიეს, მაგრამ ქართულ ფეხბურთში მოქმედ ორიოდე კერძო მეპატრონესაც ხელი რომ ჰკრეს, ლოგიკას არ ექვემდებარება. ძნელი დასაჯერებელია, რომ საფეხბურთო სამყაროსთვის უინტერესოა ქართული ბიზნესის წარმომადგენელთა მონაწილეობა უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღებაში და რეალურად არ სურთ მათი გამოცდილების ფეხბურთში გამოყენება. მაგრამ ფაქტი ამაზე მეტყველებს.

ქართველ ბიზნესმენებს ჩვენს ფეხბურთზე ისედაც გული აქვთ აცრუებული და ორიოდე მოამაგიდან ერთის არჩევა საქმეს არ აწყენდა. ძნელი სათქმელია, აცნობიერებდნენ კი დელეგატები ამ გადაწყვეტილების შედეგებს? ცხადია, ეს კლუბების პასიურობის ბრალიც არის, მაგრამ 32 დელეგატიდან მხოლოდ 8-ს რომ აღმოაჩნდება კერძო ბიზნესის თანადგომის სურვილი, გაუგებარია.

კლუბებში ფულს რომ არ აბანდებდნენ **ილია კოკაია, ბესიკ ჩიხრაძე, გურამ რუხაძე, ლექსო თოფურია, ლევან** და **სოსო ფხაკაძეები, რომან ფიფია, ფრიდონ ინჯია, ბიძინა ივანიშვილი** და **ჯოზეფ კეი**, მხოლოდ სახელმწიფოსგან დაფინანსებული კლუბები დაგვრჩებოდა. ცხადია, ეს საჭირო და აუცილებელიც არის დღევანდელ ვითარებაში, როდესაც კერძო ბიზნესი დიდ დაინტერესებას არ იჩენს ეროვნული ჩემპიონატის მიმართ, მაგრამ ფაქტებიც გავიხსენოთ - გასულ სეზონში პირველ ხუთეულში მხოლოდ კერძო კლუბები მოხვდნენ და არა სახელმწიფოსგან დაფინანსებულები.

მერაბ მამულაშვილი

ზესტაფონი

იმერლებს ხალხი ფეხზე წამოუდგა

ქართველები მოდიან

ავსტრიულ შეკრებაზე მყოფი "ზესტაფონი" დღეს მეორე საკონტროლო მატჩს ჩაატარებს – დაბა კუნდლში ლვოვის "კარპატის" გაეჯიბრება. შეგახსენებთ, **გია გეგუჩაძის** გუნდი ლვოველებს შარშან ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო რაუნდში გადაეყარა და ორივე მატჩი 0:1 დათმო. "კარპატის" კვლავაც ბელარუსი **ოლეგ კონონოვი** წვრთნის, იქვეა საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი **ალექსანდრე გურულიც**.

ბუქარესტის "სტიაუასთან" სპარინგის (0:1) მეორე დღეს კი "ზესტაფონის" ფეხბურთელებს აღდგენის დღე ჰქონდათ - დილით სარეაბილიტაციო პროცედურები საუნასა და აუზში, დღის მეორე ნახევარში გუნდმა დაისვენა, ხოლო საღამოს მსუბუქად ივარჯიშა.

როინ კვასხვაძე

სასიამოვნოა, რომ ფეროელთა ლაზარეთი ნელ-ნელა იცლება. მიკროტრავმა მოიშუშა ძირითადმა მეკარემ **როინ კვასხვაძემ** და დღეს აუცილებლად ითამაშებს, **ნიკოლოზ გელაშვილი, ზაალ ელიავა** და **ალექსი ბენაშვილი** კი დღეს თუ ვერა, "ზესტაფონს", სავარაუდოდ, შემდეგ სპარინგში დაეხმარებიან. უფრო რთულადაა **ზურაბ მენთეშაშვილისა** და **გოგი ფიფიას** საქმე, რომლებიც "ზესტაფონს" ავსტრიაში არც გაჰყოლიან.

30 ივნისს კი "ზესტაფონი" თავს შინაურ გარემოში იგრძნობს. საქმე ის არის, რომ მისი და შვეიცარიული "ბაზელის" ამხანაგურ მატჩს გერმანიაში მცხოვრები ქართველები დაესწრებიან. ეს შეხვედრა ავსტრიის ქალაქ კუფშტაინში გაიმართება, რომელიც გერმანიის საზღვართან ახლოს მდებარეობს და მიუნხენიდან მატარებლით საათისა და 20 წუთის სავალზეა.

ბოლო ავსტრიულ სპარინგს საქართველოს ჩემპიონები 5 ივლისს გამართავენ, მეტოქის ვინაობა მალე გაირკვევა. "ზესტაფონი" საქართველოში ამ მატჩის დასრულებისთანავე გამოეშურება.

ლევან ჯანეზაშვილი

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კონფლიქტი

ვალები და შეუვალები

ზესტაფონი VS ფედერაცია

გრძელდება

ახლა საით – ფიფაში?

ფეხბურთის ფედერაციისა და "ზესტაფონის" დავამ ყრილობაზეც იჩინა თავი. შეგახსენებთ, რომ კლუბების მიერ მემორანდუმით შეთანხმებულ და ფედერაციის დაფუძნებულ საფეხბურთო დავების განმხილველ სპორტულ არბიტრაჟს "ზესტაფონი" არ ცნობს. ამიტომ არც იმ გადაწყვეტილების აღსრულებას აპირებს, რომელიც არბიტრაჟმა 2011 წლის 15 აპრილს გამოიტანა და კლუბს ყოფილი მეკარის, **გია ჭანტურიას** სასარგებლოდ კონტრაქტის გაუქმებისთვის 29 ათასი ლარის გადახდა დაავალდებულა.

არბიტრაჟის გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ ის საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. თუ „ზესტაფონი" თანხას არ გადაიხდის, ჭანტურიას ადვოკატს აქვს უფლება, განაჩენის აღსრულებაზე მიმართოს ფეხბურთის ფედერაციას, რომელსაც შეუძლია სანქციების გამოყენება – კლუბს შეუჩეროს ტრანსფერების განხორციელება, შემდეგ ლიცენზია და აქედან გამომდინარე, ჩემპიონატსა და ევროასპარეზზე მონაწილეობა.



ზვიად სიჭინავა

რაში მდგომარეობს "ზესტაფონის" პრეტენზია? კლუბის წარმომადგენელ **ოთარ გზირიშვილის** აზრით, ფედერაციის დაფუძნებული არბიტრაჟი დამოუკიდებელი ვერ იქნება:

- არბიტრაჟის შესახებ ჩვენში მოქმედი წესები არსებულ კანონმდებლობასთან და ფიფას დებულებებთან შესაბამისობაში უნდა მოვიდეს. ჩვენ ამ საკითხზე გავიარეთ კონსულტაცია და ვიცით, რომ საფუძვლიანი მოთხოვნები გვაქვს. მეორე საკითხია – რატომ არ შეგვძლია დავის სხვა არბიტრაჟში განხილვა? მესამე - საფეხბურთო არბიტრაჟის გადაწყვეტილება რატომ არის საბოლოო და რატომ არ აქვს "ზესტაფონს" გადაწყვეტილების ლოზანის საერთაშორისო სპორტულ არბიტრაჟში გასაჩივრების უფლება?

შემდეგ საინტერესო დიალოგი წარიმართა.

ზვიად სიჭინავა, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი: ამას იმიტომ ამბობთ, რომ ჭანტურიას თანხა არ გადაუხადოთ. გინდათ თქვათ, რომ ჩვენ დაინტერესებული მხარე ვართ, რომ ეს გააკეთოთ?

გზირიშვილი: დაგვიტოვეთ უფლება, თავად განვსაზღვროთ, სად განვიხილოთ დავა. სასურველია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც არბიტრაჟის კანონს კონსენსუსით შეიმუშავებს.

სიჭინავა: თქვენ ფეხბურთის კლუბი ხართ თუ "ფერო"?

გზირიშვილი: ფეხბურთის კლუბი.

სიჭინავა: თქვენ არ ამბობდით, რომ მოჭიდავეებით დაკომპლექტებულ არბიტრაჟში არ გსურდათ საქმის განხილვა? დავაფუძნეთ ახალი და ისიც არ მოგწონთ. "ზესტაფონთან" დავა და საკითხის გამწვავება არ გვსურდა, მაგრამ რადგან თავად არ იშლით, გაძლევთ პირობას, რომ ამ საკითხს ფიფაში გავაგზავნი. აღმასკომმა თავის დროზე მიიღო გადაწყვეტილება, ჭანტურიასთვის 7 ათასი გადაგეხადათ, მაგრამ ეს პრინციპულად არ გააკეთეთ. მერე დაგიწესეს 29 ათასი ლარი და არც ეს გადაწყვეტილება აღასრულეთ.

ქეთევან ჩხიკვაძე, ფეხბურთის ფედერაციის იურისტი: ყრილობა არ არის ის ადგილი, სადაც მსგავსი საკითხები განიხილება. არბიტრაჟი კი არც საქართველოსა და არც ფიფას კანონმდებლობას არ ეწინააღმდეგება. ამაზე პასუხს საფეხბურთო არბიტრაჟის დირექტორი ჯიმშერ ტყეებუჩავა გაგცემთ.

გზირიშვილი: ჩვენთვის ტყეებუჩავა არ არის ავტორიტეტი და არც ობიექტურობის გარანტი.

სიჭინავა: თქვენთვის ვინმე არის ავტორიტეტი და ობიექტურობის გარანტი?

ჯიმშერ ტყეებუჩავა, საფეხბურთო დავების საფეხბურთო არბიტრაჟის დირექტორი: ბატონო ოთარ, თქვენთან კითხვა მაქვს: ფეხბურთელს აქვს საშუალება, რომ დავა ლოზანის სასამართლოში გადაიტანოს? რამდენია "ზესტაფონის' ფეხბურთელის მაქსიმალური ხელფასი?

გზირიშვილი: - ამის თქმის უფლება არ მაქვს.

ტყეებუჩავა: - ფაქტია, რომ ლოზანაში ფეხბურთელი სარჩელს ვერ შეიტანს და წაგებულ პოზიციაში იქნება. ჭანტურიასა და "ზესტაფონის" დავა არის ტიპური ჩვენს შემთხვევაში, წარმოდგენილი შენიშვნები კი უსაფუძვლოა.

ჭანტურიას საკითხამდე ჯერ ვალტერ გუჩუას სარჩელი განვიხილეთ, რომელმაც "სამტრედიას" ხელფასის გადაუხადელობისთვის უჩივლა. ამ შემთხვევაში კლუბმა ჩვენთან ითანამშრომლა და ფეხბურთელს 3300 ლარის გადახდაზე მოურიგდა. "ზესტაფონმა" კი თანამშრომლობა არც ისურვა.

ზვიად სიჭინავას წინადადებით, ყრილობის დელეგატებმა დებულებაში შესწორებებს კენჭი უყარეს, მაგრამ "ზესტაფონის" შენიშვნები არ გაითვალისწინეს.

ასე რომ, რადგან "ზესტაფონი" არბიტრაჟის გადაწყვეტილებას არ აღიარებს, ყველაზე ცუდია მოსალოდნელი – შიდა დავა სხვების განსახილველი გახდება.

მერაბ მამულაშვილი

● მეტოქე

ბანანცმა სერიალი შეწყვიტა

"ბანანცმა" სომხეთის ჩემპიონატის გასულ ტურში "განძასარს" უმასპინძლა და 0:1 დამარცხდა, რითაც ერევნელთა ოთხმატჩიანი ნაუგებელი სერია შეწყდა. რუსთავის "მეტალურგის" მეტოქემ ბურთი მე-17 წუთზე მიიღო და ამის შემდეგ ანგარიშის გათანაბრების რამდენიმე შანსი გაუშვა ხელიდან. არაერთი რთული ბურთი მოიგერია "განძასარის" ქართველმა მეკარემ **ლევან ბუბუტეიშვილმა**, რომელმაც სომხეთის მოქალაქეობა მიიღო.

სომხეთის რვაგუნდიან პრემიერლიგაში "ბანანცი" მე-7 ადგილზე დარჩა და ბოლოადგილოსან "არარატს" 3 ქულით უსწრებს.

ლევან ჯანეზაშვილი

● მეტალურგი

დიმიტრი ტატანაშვილი (მარჯვნივ)

ორი ახალი და სხვებიც იქნებიან

ევროპის ლიგაზე ერევნის "ბანანცთან" შეხვედრამდე რუსთავის "მეტალურგმა" რამდენიმე მნიშვნელოვანი ტრანსფერი განახორციელა.

დიმიტრი ტატანაშვილს თბილისის "დინამომ" კონტრაქტი არ გაუგრძელა და თავისუფალი აგენტი გახდა. წამყვანი ქართული კლუბების წინადადებებიდან მისთვის მისაღები რუსთავის "მეტალურგის" შეთავაზება აღმოჩნდა.

"ტატანაშვილს კონტრაქტზე შევუთანხმდით და უკვე ჩვენი ფეხბურთელია. მასთან წელიწადნახევრიანი ხელშეკრულება გავაფორმეთ," – გვითხრა "ოლიმპის" პრესსატაშე **შოთა შერმადინმა**.

რუსთაველებს "ზესტაფონის" მცველ **კახა ალადაშვილის** დამატებაც სურდათ, რომელიც ოდესიდან, "ჩერნომორეცში" სინჯებიდან დაბრუნდა, მაგრამ კახა "მეტალურგს" ვერ შეუთანხმდა.

შევიტყვეთ, რომ რუსთაველებმა ფოთის "კოლხეთის" 19 წლის ნახევარმცველი **ლაშა გვალიაც** გადაიბირეს. თუმცა შერმადინი მეტს აღარ აკონკრეტებს: *"მეტალურგი" კიდევ უფრო გაძლიერდება. რამდენიმე ფეხბურთელთან მოლაპარაკებას ვაწარმოებთ და ჩემპიონატისა და ევროპის ლიგის მეორე ეტაპის დაწყებამდე ახლები კიდევ გვეყოლებიან".*

რუსთაველები ახალწვეულების პრეზენტაციას დღეს სასტუმრო "ქორთიარდ მერიოტში" გეგმავენ.

მერაბ მამულაშვილი

● ევრომატჩების წინ

აი, ვინ დაუსტვენს

ბაირკვა იმ მსაჯთა ვინაობა, რომლებიც ევროტურნირების საწყის ეტაპებზე ქართული კლუბების მატჩებს მოემსახურებიან.

13 ივლისს "ზესტაფონისა" და "დაჩიას" მატჩს თურქები განსჯიან **ჰალის ესკაიას** ხელმძღვანელობით. "ზესტაფონისა" არ იყოს, ჩემპიონთა ლიგაში ეს მისთვისაც სადებიუტო შეხვედრა იქნება.

30 ივნისს ევროპის ლიგაზე ერევნის "ბანანცისა" და რუსთავის "მეტალურგის" მატჩს ებრაელები გაუძღვებიან, არბიტრი – **ელი ჰაშმონი**. უკვე ცნობილია ამ კლუბების განმეორებითი დაპირისპირების მთავარი მსაჯი – 7 ივლისს თამაშს ირლანდიელი **ნილ დოილი** უხელმძღვანელებს.

30 ივნისს თბილისის "დინამოსა" და მოლდოვური "მილსამის" შეხვედრას ჩერნოგორიელები მოემსახურებიან **ნიკოლა დაბანოვიჩის** თავკაცობით, 7 ივლისს კი ორჰეიში თამაშს ბოსნიელები გაუძღვებიან **ოგნიენ ვალიჩის** ხელმძღვანელობით.

ლევან ჯანეზაშვილი

● ბაია

ნანატრი და თანაც ტკბილი

ზუგდიდელებისთვის იტალიური კონტრაქტი მართლაც ნუგბარია

რამდენიმე დღის წინ გაცნობეთ, რომ "ბაიას" სპონსორი გამოუჩნდა და მისი დაფინანსება ტკბილეულის მწარმოებელმა ცნობილმა იტალიურმა კომპანიამ ითავა. თავიდან ფირმის სახელწოდება არ ხმაურდებოდა, თუმცა შევიტყვეთ, რომ ლაპარაკია კომპანია "ფერეროზე". მასა და ზუგდიდურ კლუბს შორის ხელშეკრულების გაფორმება დღეისთვისაა დაგეგმილი და "ლელოს" უახლოეს ნომრებში მათი თანამშრომლობის დეტალებზე უფრო ვრცლად გიამბობთ.

მალე ისიც გახდება ცნობილი, თუ რა ოდენობის თანხას გამოუყოფს "ბაიას" ახალი სპონსორი, თუმცა კლუბში დადებითი ძვრები კონტრაქტის გაფორმებამდეც შეინიშნება. კერძოდ, ფეხბურთელებს, მწვრთნელებსა და პერსონალს უახლოეს დღეებში გაუსტუმრებენ ორთვიან სახელფასო დავალიანებას, უკვე გამოინახა შეკრების მოსაწყობი თანხები...

ბოლოდროინდელმა ამბებმა "ბაიადან" წასვლა გადააფიქრებინა გამოცდილ მეკარე **გიორგი სომხიშვილს**, რომელიც ზუგდიდელებთან ხელშეკრულებას ახანგრძლივებს; ფაქტობრივად, გადაწყვეტილია "ბაიაში" ახალგაზრდა ნახევარმცველის - **გიორგი ცხადაიას** გადასვლა, რომელიც გასულ სეზონში ჯერ "ზესტაფონის", შემდეგ კი "სამტრედიას" ღირსებას იცავდა; მოსალოდნელია გამოცდილი მცველის, **ლევან აკობიას** დაბრუნებაც, ოღონდ ეს მოგვიანებით თუ მოხდება, რადგან დღესდღეობით აკობია სომხური "ულისის" ფეხბურთელია და ერევნულ კლუბთან ერთად ევროპის ლიგის პირველ ეტაპზე ითამაშებს.

უკვე გაცნობეთ, რომ "ბაიას" დაუბრუნდა ნახევარმცველი **ლუკა გუგუჩია**, რომელმაც გასული სეზონი განათხოვრებით ქუთაისის "ტორპედოში" გაატარა. "ლელოს" მიერ სეზონის საუკეთესო დებიუტანტად დასახელებული **ირაკლი ქობალია** კი, რომელიც ევროპის ლიგისთვის რუსთავის "მეტალურგმა" ინათხოვრა, აუცილებლად დაბრუნდება.



სხვა მხრივ, "ბაიას" შემადგენლობაში განსაკუთრებული ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. გუნდი კვლავაც ახალგაზრდული იქნება, მწვრთნელები ნიჭიერ ჭაბუკებს არა მხოლოდ ზუგდიდში, არამედ სამეგრელოს სხვა რეგიონებშიც ეძებენ.

"ბაიას" მოსამზადებელ გეგმებში ცვლილებებია. **ელგუჯა ქომეთიანის** გუნდი ბაკურიანულ შეკრებაზე აღარ წავა და უახლოეს პერიოდს საკუთარ ბაზაზე გაატარებს, სადაც ორჯერად ვარჯიშებთან ერთად ამხანაგურ მატჩებსაც გამართავს. საწვრთნელი პროცესი რამდენიმე დღის წინ დაიწყო, პირველ საკონტროლო შეხვედრას კი "ბაია" პარასკევს ან შაბათს ჩაატარებს.

ბაკურიანისგან განსხვავებით, კვლავაც დღის წესრიგშია თურქეთში გამგზავრება, ოღონდ ადრე ნათქვამი შავიზღვისპირეთისგან განსხვავებით, "ბაიას" სამწვრთნელო შტაბი სამთო კურორტ ბოლუში გამგზავრებას გეგმავს. ისევე, როგორც სხვა თურქულ კურორტებზე, იქაც შესანიშნავი საფეხბურთო ინფრასტრუქტურაა და ზუგდიდელებს არც სპარინგ პარტნიორების მოძიება გაუჭირდებათ. გეგმის მიხედვით, ათდღიანი თურქული შეკრება 20 ივლისს უნდა დაიწყოს.

მოკლედ, "ბაიას" წევრები სეზონს იმედიანი განწყობით ხვდებიან და ჩვენც ვიქონიოთ იმედი, რომ ახალი სპონსორი ნაკისრ ვალდებულებას პირნათლად შეასრულებს.

ლევან ჯანეზაშვილი

● სიტუაცია

დაიხსნის თავს თავუზიდან ჭედია?

"ბაგრამ" ფოთის "კოლხეთის" თავდამსხმელი **დათა სიჭინავა** დაიმატა. ევროთასების მონაწილე კლუბმა 22 წლის ფეხბურთელთან კონტრაქტი 1+1-სისტემით გააფორმა.

ჯერ ვერ ხერხდება თავუზის "თურანის" თავდამსხმელის - **გიორგი ჭედიას** დამატება. გიორგი "გაგრას" კი შეუთანხმდა, მაგრამ მის სატრანსფერო ფურცელს დღემდე აზერბაიჯანული კლუბი ფლობს, რადგან კონტრაქტი 30 აგვისტოს უმთავრდება.

ორი დღეა, ჭედია აზერბაიჯანში იმყოფება და კლუბის კონტრაქტის გაწყვეტაზე დათანხმება სურს. "გაგრაში" კი ჯერ კიდევ იმედოვნებენ, რომ მას კვიპროსულ "ანორთოსისთან" ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩამდე განაცხადში შეიყვანენ.

ამასობაში "გაგრამ" მორიგი საკონტროლო შეხვედრა "ზოოვეტთან" 3:0 მოიგო. გოლები გაიტანეს **გიორგი ტყეშელაშვილმა** (პენალტით), **შალვა კვანტალიანმა** და ქუთაისის "ტორპედოს" ყოფილმა ფეხბურთელმა **ნიკა მაისურაძემ**. ნიკა კლუბში კი ისინჯებოდა, თუმცა გუშინდელ ვარჯიშზე აღარ გამოჩენილა.

„ზოოვეტთან" ითამაშა 18 წლის უკრაინელმა მარცხენა მცველმაც, მაგრამ მისი ჩარიცხვა ჯერ არ გადაწყვეტილა.

მერაბ მამულაშვილი



გიორგი ჭედია

● დინამო

გარსია მარტო არ ჩამოდის

ოპტიმისტური ფონი

ახალი საფეხბურთო სეზონის დაწყებამდე სამი დღეღა დარჩა - 30 ივნისს ორი ქართული გუნდი („დინამო" და „მეტალურგი") ევროტურნირებზე იასპარეზებენ.

ამ შემთხვევაში ყველაზე ტიტულიან ქართულ გუნდზე, თბილისის „დინამოზე" ვისაუბრებთ, ხუთშაბათის მატჩისათვის დღეიდან რომ დაიწყებს მზადებას დიღმის საწვრთნელ ბაზაზე. უფრო ზუსტად გააგრძელებს, — შეგახსენებთ, რომ ახალი მწვრთნელის, ესპანელი სპეციალისტის, **ალექს გარსიას** ხელმძღვანელობით „დინამომ" ახალი სეზონისთვის მზადება 7 ივნისს დიღმის საწვრთნელ ბაზაზე დაიწყო; ხუთი დღის შემდეგ კი გუნდი უცხოურ შეკრებაზე გაემგზავრა — ჯერ სლოვენიაში, შემდეგ კი ავსტრიაში „დინამომ" სამი საკონტროლო მატჩიც ჩაატარა და სამშობლოში პარასკევს დაბრუნდა, ოღონდ... არასრული შემადგენლობით — მთავარი მწვრთნელი **ალექს გარსია** ავსტრიიდან ესპანეთში გაემგზავრა და უკვე დღეიდან თავისი პირველი ოფიციალური მატჩისათვის მოამზადებს ფეხბურთელებს.

გარსიას ხანმოკლე ესპანურ ვოიაჟზე ქვემოთ ვისაუბრებთ, მანამდე კი ევროპის ლიგის კენჭისყრის შედეგებს გვინდა დავუბრუნდეთ. უპირველეს ყოვლისა, ის უნდა ვთქვათ, რომ „დინამოს" მართლაც რომ სასურველი მეტოქეები შეხვდა: მოლდოვური „მილსამი" (პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე) და უელსური „ლანელი " (მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე) დაუძლეველ ბარიერად ნამდვილად არ მიეჩნიოთ. ანუ ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით „დინამომ", სულ მცირე, შარშანდელი შედეგი უნდა გაიმეოროს: შეგახსენებთ, რომ ჩვენმა ყველაზე ტიტულიანმა გუნდმა 2010/11 წლების ევროპის ლიგის გათამაშებაში ჯერ ესტონურ „ფლორას" აჯობა, მერე კი შვედურ „გეფლეს". სხვათა შორის, „დინამო" არც მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზეც შერცხვენილა და, უამრავი საკადრო პრობლემის მიუხედავად, ავსტრიის „შტურმს" ღირსეულად ეთამაშა. ჰო, საკადრო პრობლემები შემთხვევით არ გვიხსენებია: „შტურმთან" განმეორებით მატჩში „დინამოს" იმდროინდელ მთავარ მწვრთნელს **კახა კაჭარავას** სათადარიგოთა სკამზე მხოლოდ 19-20 წლის ბიჭები ჰყავდა და მათგან სამმა (**გიორგი მამუჩიშვილი, გიორგი გეთიაშვილი, გიორგი გველესიანი**) მონაწილეობა მიიღო კიდეც ამ შეხვედრაში, „ფლორასთან" და „გეფლესთან" მატჩებში ევროტურნირებზე სადებიუტო მატჩები ჩაატარეს 19 წლის **ირაკლი ლეკვთაძემ** და 20 წლის **ირაკლი სიხარულიძემ**; თუმცა, ყველაზე „უცნაური" ის იყო, რომ ესტონეთში, შვედეთსა და ავსტრიაში სტუმრად ჩატარებულ შეხვედრებში „დინამოს" განაცხადში 18-ის ნაცვლად 16 ან 17 ფეხბურთელი გახლდათ ხოლმე...

საბედნიეროდ, ეს პრობლემა (ისე როგორც — სხვა) „დინამოს" ახალ თავკაცს არ უნდა აწუხებდეს; თუმცა, ისიც ფაქტია, რომ მოლდოვურ „მილსამისთან" პირველ შეხვედრაში გარსიას ორი ნამყვანი ფეხბურთელი არ ეყოლება: 26 წლის **ლევან ხმალაძე** და 24 წლის **გიორგი კახელიშვილი** დისკვალიფიცირებულნი არიან (შარშან „შტურმთან" თბილისურ მატჩში გააძევეს მოედნიდან).

საერთოდაც, ამ ეტაპზე ყველაზე საინტერესო „დინამოს" სავარაუდო შემადგენლობა უნდა იყოს; მით უფრო, რომ ესპანელმა მწვრთნელმა სამივე სპარინგ-მატჩში „დინამო" ახალი ტაქტიკური სქემით (4-3-3) ათამაშა. რა თქმა უნდა, ამხანაგური მატჩების (მით უმეტეს, სეზონისწინა შეკრებაზე) შედეგს გადამწყეტი მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს, მაგრამ იმის მიხედვით, თუ რომელ ფეხბურთელებს უფრო ენდობოდა ესპანელი მწვრთნელი სლოვენიურ-ავსტრიულ შეკრებაზე, გარკვეული მონახაზის გაკეთება, ალბათ, უკვე შესაძლებელიც არის.

ახალი ტაქტიკა

ძირითადი მეკარის საკითხი საკამათო არავისთვის უნდა იყოს: 25 წლის **გიორგი ლორიამ** შეკრებაზე სამივე მატჩი ძირითადში დაიწყო და მხოლოდ ერთ შეხვედრაში (სლოვენიურ „კოპერთან") შეცვალა „დინამოში" დაბრუნებულმა 37 წლის **სოსო გრიშიკაშვილმა.**

თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, დაცვის ცენტრში 22 წლის **გულვერდ თომაშვილისა** და 20 წლის **ლევან კაკუბავას** „ტანდემი" უნდა ვიხილოთ - გარსიამ ამ ორივე ფეხბურთელს სამივე მატჩში ძირითადში აყენებდა. დისკვალიფიცირებულ ლევან ხმალაძის არყოფნაში დაცვის მარცხენა ფლანგზე, სავარუდოდ **გიორგი რეხვიაშვილი** ითამაშებს — „დინამოს" 23 წლის ახალწვეულს ცენტრალურ მცველადაც (თან, წარმატებულად) რომ შეუძლია ასპარეზობა, არახალი ამბავია. საერთოდაც, ამ უცხოურ შეკრებაზე ესპანელმა მწვრთნელმა, მეკარეების გარდა, ფაქტობრივად, თითქმის ყველა ფეხბურთელი რამდენიმე პოზიციაზე გამოცადა, და ვფიქრობთ, გარკვეული დასკვნებიც გამოიტანა. მაგალითად, პირველ მატჩში მარჯვენა მცველად („ზარიასთან") 26 წლის **შოთა კაშიამ** ითამაშა, მეორე ტაიმში ვის ნაცვლადაც ... **დავით ოდიკაძე** გამოჩნდა! შესაძლოა, ბევრს გაუკვირდა კიდეც, მაგრამ ფაქტია: გარკვეული პაუზის მერე „დინამოში" დაბრუნებულმა 30 წლის ოდიკაძემ სამივე შეხვედრა მარჯვენა მცველის პოზიციაზე ჩაატარა! რაც შეეხება კიდევ ერთ მცველს, 30 წლის **ირაჟი ჰომოლას,** ჩეხ ლეგიონერს ამ ეტაპზე ძირითადში მოხვედრა, ალბათ, გაუჭირდება.

ცალკეულ რგოლებს შორის ყველაზე „არაპროგნოზირებადი" ნახევარდაცვის ხაზია; გარსია სამივე მატჩში სხვადასხვა ვარიანტს მიმართავდა და, ჩვენი აზრით, უალტერნატივო, ალბათ მხოლოდ 29 წლის **ალექსანდრე კოშკაძე** უნდა იყოს; მით უფრო, რომ „დინამოს კაპიტანს ნახევარდაცვაში (თანაც, ნებისმიერ განლაგებაში) სხვადასხვა ადგილას ერთნაირი წარმატებით შეუძლია თამაში; აი, ვინ იქნება ორი დანარჩენი შუახაზელი, ეს ძნელი სათქმელია, - ყოველ შემთხვევაში, 24 წლის **ნიკა ფირცხალავას**, 20 წლის **გიორგი თექთურმანიძესა** და 19 წლის **ნიკა კვეკვესკირს,** ფაქტობრივად, ერთნაირი შანსი აქვთ ძირითადში მოსახვედრად; 24 წლის **სამირ ჰაჯიბულიჩი** ორ მატჩში შეცვლაზე შევიდა, ერთი შეხვედრა კი მცირე ტრავმის გამო გამოტოვა; სამაგიეროდ, სამი მატჩი ჩაატარა (თანაც, ორი ძირითადში დაიწყო) 18 წლის **ჯაბა ჯიღაურმა,** რომელსაც წინა სეზონში მართლაც შთამბეჭდავი დებიუტი ჰქონდა: უმაღლეს ლიგაში პირველსავე მატჩში („ტორპედოსთან") ეფექტური გოლი გაიტანა.

ნახევარდაცვის მსგავსად, თავდასხმის ხაზშიც სერიოზული კონკურენციაა; თანაც, „დინამო" ხომ სამფორვარდიანი ტაქტიკით თამაშს უნდა შეეჩვიოს და ამ უცხოურ შეკრებაზე გარსიამ რამდენიმე ვარიანტი მოსინჯა: პირველ მატჩში ძირითადში თამაში გარემარბებად გიორგი კახელიშვილმა და 21 წლის **დონალდ ჯუისმა** დაიწყეს, 23 წლის **რობერტინიო** კი... ცენტრფორვარდად მოგვევლინა! მეორე შეხვედრაში ფლანგებზე ძირითადში გამოჩნდნენ 19 წლის **ირაკლი ლეკვთაძე** და 19 წლის **ლადო ახალაია**. გარკვეული პაუზის მერე „დინამოში" დაბრუნებულმა ახალაიამ სამივე საკონტროლო მატჩი სხვადასხვა პოზიციაზე ჩაატარა, აი, რაც შეეხება კიდევ ერთ ახალწვეულს, 26 წლის **სანდრო იაშვილს,** სამივეჯერ შეცვლაზე ითამაშა. სამწუხაროდ, ტრავმის გამო მხოლოდ ერთ მატჩში (ისიც, მხოლოდ ნახევარი საათით) მოუწია თამაშმა 21 წლის **ვახტანგ ფანცხავას,** რომელსაც (ისე როგორც სანდრო იაშვილს) ძირითად შემადგენლობაში სწორედ ცენტრფორვარდის პოზიციაზე უნდა ჰქონდეს პრეტენზია. ფანცხავამ ერთი არასრული მატჩი მაინც ჩაატარა, აი, 27 წლის **გოგა ბერაიას** კი ტრავმამ შეუშალა ხელი თავის ახალ გუნდში საკუთარი შესაძლებლობები გამოევლინა.

დინამოს პოტენციური ახალწვეული ხისკო

ესპანელები მოდიან

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „დინამოს" მთავარი მწვრთნელი საქართველოს ნაცვლად... ესპანეთში გაემგზავრა. მართალია, კლუბში ოფიციალურად არავინ ადასტურებს, მაგრამ „დინამოს" ქომაგები თითქმის დარწმუნებით ამტკიცებენ, რომ მოლდოვურ გუნდთან მატჩამდე ჩვენს ყველაზე ტიტულიან კლუბში , სულ მცირე, ორი ახალი ფეხბურთელი გამოჩნდება. ანუ, ესპანეთიდან გარსია „ხელცარიელი" არ ჩამოვა და, როგორც ადრევე ვივარაუდეთ, „დინამოში" თანამემამულე ფეხბურთელებსაც ჩამოიყვანს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ესპანელი მწვრთნელი ნამდვილად ვერ იქნებოდა კმაყოფილი „დინამოს" შედეგიანობით: სამ საკონტროლო მატჩში გუნდმა მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა და ისიც - პენალტით! ანუ პოტენციურ ახალწვეულთა შორის სწორედ წინა ხაზის ფეხბურთელები უნდა ყოფილიყვნენ და აი, უკვე ორმა კონკრეტულმა გვარმაც გაიელვერა. ეგ კი არა, ინტერნეტ-ენციკლოპედია „ვიკიპედიაზე" ამ ორი ფეხბურთელის ახლანდელ კლუბად... თბილისის „დინამოა" მითითებული! ამათგან ერთი, საკმაოდ ცნობილი და გამოცდილი ფეხბურთელია: 30 წლის **ხისკოს (ფრანსისკო ხავიერ მუნიოს ლომპარტი)** მართლაც გამორჩეული კარიერა ჰქონდა და სხვადასხვა დროს წარმატებით ასპარეზობდა „ვალენსიას", „ბეტისისა" და „ლევანტეს" შემადგენლობაში. ბოლო სეზონი ხისკომ „ლევანტეში" ჩაატარა (26 მატჩი), სხვადასხვა დროს თამაშობდა ესპანეთის ასაკობრივ ნაკრებებში. რაც შეეხება ტიტულებს, „ვალენსიას" შემადგენლობაში ესპანეთის ჩემპიონიც იყო და უეფას თასის მფლობელიც. თუმცა, 2004 წლის უეფას თასის ფინალში „მარსელის" წინააღმდეგ ხისკოს არ უთამაშია (განაცხადში იყო); ისე იმ დროს „ვალენსიას" მართლაც ჩინებული გუნდი ჰყავდა: **სანტიაგო კანისარესი, რობერტო აიალა, კარლოს მარჩენა, ამადეო კარბონი, დავიდ ალბელდა, რუბენ ბარახა, მიგელ-ანხელ ანგულო, ვისენტე, პაბლო აიმარი,** მწვრთნელად კი **რაფაელ ბენიტესი** მუშაობდა.

აი, რაც შეეხება მეორე პოტენციურ ახალწვეულს, 22 წლის **კარლეს კოტო** „ბარსელონას" საფეხბურთო აკადემიის აღზრდილია, თუმცა ესპანეთში მხოლოდ მეორე („სევილია-ბ") და მესამე („ბენიდორმი") დივიზიონში უნევდა თამაში. ბოლო სეზონი კი კვიპროსის „ანორთოსისში" გაატარა და 23 მატჩში 1 გოლიც გაიტანა.

კიდევ ვიმეორებთ: ხისკოსა და კოტოს „დინამოში" ჩამოსვლის ამბავი ოფიციალურად არავის დაუდასტურებია; თუმცა, იმას კი ვერავინ უარყოფს, რომ გუნდის ახალი მწვრთნელი ალექს გარსია ესპანეთიდან... „ხელცარიელი" ნამდვილად არ ჩამოვა!

გია ტუხაშვილი

● ლეგიონი

ოთარ მარცვალაძემ (თეთრ მაისურაში) ტომთან შოუ ჩაატარა

ოთარ-შოუ ანტრაქტის წინ

ხუთი ქართული გოლის ამბავი

იაპონიის ჯეილიგის მე-13 ტურში ქართული გოლი ვიხილეთ - **დავით მუჯირის** „ჰიროშიმა" „გამბა ოსაკას" ესტუმრა და 3:5 ნააგო. ქართველი ლეგიონერი მოედანზე 59-ე წუთზე გამოჩნდა, როცა მასპინძლები 3:1-ს იგებდნენ. ჩვენებურმა მატჩის 94-ე წუთზე გაიტანა. ეს 33 წლის მუჯირის მე-3 გოლია ჯეილიგაში, იაპონურ კარიერაში კი - მე-4 (ერთი თასზე გაიტანა).

როცა **ოთარ მარცვალაძეს** ნლევანდელ რუსულ პრემიერლიგაში გააქვს, ამას აუცილებლად წყვილ-წყვილად აკეთებს - პირველი დუბლი მან „კრილია სოვეტოვთან" შეასრულა, ახლა კი - „ტომთან", რომელსაც პირველ ტურშიც გაუტანია, თუმცა რუსული წყაროები ოთარს იმ გოლს არ უთვლიან (**ხარიტონოვის** ავტოგოლი). მოკლედ, ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგა" „ტომს" ესტუმრა და 3:0 მოუგო. შოუს მთავარი გმირი მარცვალაძე იყო, რომელმაც პირველ ტაიმში ერთმანეთზე უკეთესი გოლები გაიტანა - ჯერ დაუმუშავებლად საჯარიმოს მარჯვენა კუთხიდან გაიტანა, შემდეგ მცველს ბურთი ფეხებში გაუძვრინა და „ცხრიანში" გაიტანა. მეორე ტაიმში მარცვალაძემ საგოლე პასიც მიითვალა. **გია გრიგალავამ** სრულად ითამაშა, ხოლო **გოგიტა გოგუა** 53-ე წუთზე მისმა თანამემამულე **მათე ვანაძემ** შეცვალა. დიდი ხანია, ქართველი ლეგიონერის ასეთი ეფექტური გოლები არ გვინახავს.

„მოხარული ვარ, რომ დუბლი შევასრულე, თუმცა მთავარი მაინც ისაა, რომ გუნდმა მოიგო. მადლობა იმ ფანებს, რომლებიც ამხელა მანძილზე გამოგვყვნენ საქართველოდან. სასიხარულოა, რომ შესვენებაზე დადებითი განწყობით გავდივართ", - განაცხადა მატჩის გმირმა.

იმარჯვა **დავით სირაძის** „სპარტაკმაც", ნალჩიკელებმა სტუმრად 2:0 მოუგეს „კრილია სოვეტოვს". ქართველი ფორვარდი 69-ე წუთზე შეცვალეს. „რუბინის" განაცხადში ზედიზედ მეორე ტურია, რაც 19 წლის **საბა კვირკველია** ხვდება, თუმცა ჩვენებურის დებიუტი ჯერ არ შემდგარა. „რუბინმა" კი შინ „ყუბანთან" 0:2 დათმო. **ლევან გვაზავამ** შეუცვლელად ითამაშა „ტერეკში" ჩეჩნებმა, მოულოდნელი ქულა წამოიღეს სანკტ პეტერბურგიდან (0:0). ჩვენებურის გარჯა „ჩემპიონატმა" 5,5 ბალით შეაფასა.

მოსკოვის „სპარტაკმა" 3:2 დაამარცხა „როსტოვი". სტუმართა ძლევაში მონაწილეობა **ჯანო ანანიძემაც** მიიღო, რომელმაც 57-ე წუთზე მარჯვენა ფლანგიდან ისე ჩაანოდა, რომ სტუმარმა **არტემ კულეშამ** უნებლიედ საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. „კრასნოდარი" და „ანჟი" ერთმანეთს ქულას გამორჩნენ - 2:2. მასპინძელთა რიგებში შეუცვლელად ითამაშა კაპიტანმა **ალეკო ამისულაშვილმა**, სტუმართა კარში კი **ნუკა რევიშვილი** იდგა, რომელმაც ჯერ რიკოშეტის „წყალობით" გაუშვა ბურთი, შემდეგ კი კარგად ვერ მოიგერია და მასპინძელთა ფორვარდმა დამატებაზე ივარგა. რუსული პრემიერლიგა 21 ივლისს განახლდება.

ბელარუსის ჩემპიონატის მე-15 ტურში ქართველთა „დინამო" ბრესტში 1:2 დამარცხდა „გომელთან". **ზაზა ჭელიძემ** 90 წუთი ითამაშა, ხოლო **უჩა გოგოლაძე** სათადარიგო იყო. ლატვიურ ვირსლიგაში ბოლოადგილოსანი „ოლიმპსის" ერთადერთი გოლი „იურმალასთან" (1:2) მატჩის ბოლო წუთზე **თომა ტაბატაძემ** პენალტით გაიტანა. გუნდს **კოტე ზარნაძემ** უკაპიტნა, შეუცვლელად ითამაშეს ტაბატაძემ, **გიორგი ჩხიკვიშვილმა** და **პაატა ბალაძემ**.

თამაზ პერტიას „დაუგავა" „სკონტოს" ესტუმრა და 1:1 დაუზავდა. არადა, პერტიას გუნდი **მამუკა ღონღაძის** გოლის წყალობით 94-ე წუთამდე იგებდა. სტუმართა რიგებში ღონღაძის გარდა **ბიძინა ცინცაძემაც** ითამაშა. „დაუგავა" 31 ქულით მესამეა. ღონღაძემ ამ სეზონში მე-5 გოლი გაიტანა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

უტევს ჯანო ანანიძე

● მანჩესტერ სიტი

ვინ უფრო მდიდარია

შეურაცხყოფილი ადებაიორი და მესის ბადალი არგენტინელი

„მანჩესტერ სიტიმ“ 22 წლის ჩილელ თავდამსხმელ **ალექსის სანჩესში** „უდინეზეს“ ხელახლა შესთავაზა ფული, ამჯერად 38 მილიონი ფუნტი, ანუ თითქმის 42,7 მილიონი ევრო. ამაში გასაკვირი რა უნდა იყოს, ისტლენდელებს ფული არ აკლიათ და სასურველი მოთამაშის შეძენას ცდილობენ, მაგრამ ერთი რამ კი სასეიროა — ზოგიერთმა ინგლისურმა გამოცემამ „სიტის“ ეს ნაბიჯი „ჩელსისთან“ შეჯიბრებად მიიჩნია. თითქოს, სასურველი თავდამსხმელის შეძენის გარდა ფეხბურთის ასოციაციის თასის მფლობელს „ლურჯებისთვის“ იმის თქმაც უნდა, რომ ბაზარზე მეფე თავად არის.

„ჩელსი“ მორიგ ეპოქას იწყებს. დასავლეთ ლონდონელებს ახალი თავკაცი ჰყავთ, 33 წლის **ანდრე ვილას-ბოასი** და „სიტიმ“ სწორედ ახლა ჩათვალა მნიშვნელოვნად თავისი სიძლიერის დემონსტრირება. როგორც ჩანს, პრემიერლიგის წამყვან გუნდებს შორის კონკურენცია ფეხბურთის მოედანს გვარიანად გასცდა. თან, საინტერესო ის არის, რომ ბრიტანული მასმედიის მტკიცებით, სანჩესის ყიდვაში „სიტის“ მთავარი კონკურენტი „ჩელსი“ კი არა, ესპანეთის ჩემპიონი „ბარსელონა“ გახლავთ.

„მანჩესტერ სიტის“ დანახარჯი ხუთი თუ ექვსი სატრანსფერო ფანჯრის განმავლობაში ყველა სხვა კლუბისას აღემატებოდა, თუმცა ბოლოს, იანვარში, „ჩელსიმ“ აჯობა — „ლივერპულისგან“ **ფერნანდო ტორესის** და „ბენფიკასგან“ **დავიდ ლუიზის** ყიდვაში „ლურჯებმა“ 75 მილიონი ფუნტი გადაიხადეს. ახლა, როგორც ჩანს, ისტლენდელთა დროა. მიუხედავად იმისა, რომ გუნდში რვა უსარგებლო ფეხბურთელი ჰყავს, რომელთაც ხელფასს უხდის, შეიხი **მანსური** უკან არ იხევს. პირველ შეთავაზებაზე, 32 მილიონ ფუნტზე, „უდინეზემ“ არაბ მეპატრონეს უარი შეუთვალა და მანაც ფასი 6 მილიონით გაზარდა.

ზემოთ „ბარსელონა“ ვახსენეთ. ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულს ერთი უპირატესობა აქვს — თავად სანჩესს იქ უნდა გადასვლა, მაგრამ კატალონიელები „სიტის“ ვაჭრობაში ვერ შეეჯიბრებიან. მათ კიდევ „არსენალის“ კაპიტანი **სესკ ფაბრეგასი** და „ვილიარეალის“ თავდამსხმელი, „მანჩესტერ იუნაიტედსა“ „ნიუკასლში“ ნათამაშები ამერიკელი იტალიელი, 24 წლის **ჯუზეპე როსი** ჰყავთ საყიდელი.

„უდინეზეს“ დაჩემებული აქვს სანჩესის ფასი 45 მილიონი ფუნტი ანუ 50 მილიონ ევროაო, მაგრამ სერია A-ს გუნდისთვის ზედმეტი გაჯიუტებაც არ ივარგებს — „სიტიმ“ უცბად, უარი რომ თქვას, შესაძლოა ჩილელი სხვა გუნდისთვის გაცილებით იაფად გაუხდეს მისაყიდი.

აღსანიშნავია, რომ აქამდე „მანჩესტერ სიტი“ ბაზარზე არ აქტიურობდა. ამბობენ, ისტლენდელებს ჯერ იმის გარკვევა უნდოდათ, მათ ხელთ არსებული ფეხბურთელებიდან რომელი დასატოვებელია და რომელი გასაშვებიო.

ემანუელ ადებაიორი

ბალასტის თავიდან მოშორებით „სიტი“, რასაკვირველია, გვარიან თანხას დაზოგავს და არ არის გამორიცხული, მერე კიდევ გამოაჩინოს სატრანსფერო ბრჭყალები.

„სიტის“ ბოლო დღეების ცხოვრებიდან „რეალში“ გაქირავებული **ემანუელ ადებაიორისა** და რუსული „ზენიტის“ ამბავია აღსანიშნავი. 27 წლის ტოგოელ თავდამსხმელს მადრიდელებმა „ნამდვილ“ კონტრაქტზე უარი უთხრეს და სატრანსფერო ოკეანის ზედაპირზე მოტივტივედ დატოვეს. სწორედ აქ გამოჩნდა „ზენიტი“, რომელმაც ადებაიორის ყიდვა გადაწყვიტა. ფეხბურთელის გასახარად, მისი რუსეთში გაყიდვა ჩაიშალა და უახლოეს დღეებში, სეზონისწინა შეკრებაზე გასამგზავრებლად ისევ მანჩესტერში უნდა ჩავიდეს.

არის კიდევ ერთი ვარიანტი — შესაძლოა ადებაიორში 25 მილიონი ფუნტი ანუ 28 მილიონ ევროზე მეტი „მარსელმა“ გადაიხადოს. ყოველ შემთხვევაში, „სიტის“ თავკაც **რობერტო მანჩინის** ის მაინცდამაინც არ სჭირდება, ასე რომ, ტოგოელის ისტორია არ დასრულებულა.

„თუ მეტყვიან, რომ კარიერას კვლავ „მანჩესტერ სიტიში“ ვაგრძელებ, ბედნიერი ვიქნები. ბედნიერი ვიქნები იმ შემთხვევაშიც, თუ მეტყვიან, რომ მადრიდში ვრჩები, მაგრამ მინდა ყველას გასაგონად ვთქვა - „ზენიტში“ არავითარ შემთხვევაში არ წავალ. რუსეთის, როგორც ქვეყნის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ჩემი თავი მის ჩემპიონატში ვერ წარმომიდგენია. ფეხბურთში დასამტკიცებელი ნამდვილად არავისთვის არაფერი მაქვს. სპორტში თუკი ვინმეს სიტყვა ეთქმის, ერთ-ერთი მათგანი მეც ვარ. უმნიშვნელოვანეს შეხვედრებში მითამაშია და გადამწყვეტი გოლები გამიტანია, ასე რომ, მე თუ მკითხავთ, სანერვიულო არაფერი მაქვს“.

სანამ ადებაიორი ცდილობს მოინელოს ის შეურაცხყოფა, რომელიც, როგორც ჩანს, რუსეთში წასვლის შეთავაზებით მიაყენეს, ისტლენდელები „პალერმოსგან“ 22 წლის არგენტინელი ნახევარმცველის, **ხავიერ პასტორეს** და მისი თანატოლის, „ვერდერის“ გარემარბ-ნახევარმცველის, **მარკო მარინის** ყიდვაზე მუშაობენ. „პალერმოს“ პრეზიდენტი **მაურიციო ძამპარინი** ამბობს, რომ პასტორეს მყიდველთა შორის ფავორიტი „სიტია“.

„რამდენიმე დღის წინ პასტორეს აგენტს ველაპარაკე და მან მითხრა, რომ ფეხბურთელის შეძენა ექვს თუ შვიდ კლუბს უნდა, — თქვა ძამპარინიმ — არც მე უარვყოფ, რომ ის ჩვენზე დიდ კლუბში უნდა თამაშობდეს და საბოლოოდ ესპანეთში ან ინგლისში ამოყოფს თავს. ამ ბოლო დროს ბრაზილიელ ნეიმარზეა დიდი ამბავი ატეხილი, მაგრამ მერწმუნეთ, პასტორე ორ ნეიმარს უდრის. ეს გახლავთ ფეხბურთელი, რომელიც რამდენიმე წელიწადში „ოქროს ბურთის“ ლაურეატი გახდება. მისი დონისანი დედამინაზე მხოლოდ მესი, კრისტიანო რონალდო, ინიესტა და რუნი არიან“.

● არსენალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი სესკის ძიებაში

რიკარდო ალვარესი

„არსენალი“ არგენტინულ „ველეს სარსფილდს“ 11 მილიონ ფუნტს ანუ 12,3 მილიონ ევროს შესთავაზებს, რათა ბუენოს აირესის გუნდიდან 23 წლის ნახევარმცველი **რიკარდო ალვარესი** გადაიყვანოს. პირველად ინგლისურმა „სანმა“ ამის შესახებ, როგორც თავად წერს „მაღალი რანგის წყაროდან“ შეიტყო. „წყარომ“ თქვა:

„ალვარესი აშკარად გვაინტერესებს. ჯერ მის კლუბთან, „ველეს სარსფილდთან“ არაფერზე შევთანხმებულვართ, მაგრამ ფაქტია, რომ „არსენალი“ ამ ნახევარმცველს სერიოზულად აკვირდება“.

„არსენალის“ წარმომადგენლები ალვარესის შესახებ ბუენოს აირესელებს მაისში ელაპარაკნენ, მაგრამ როდესაც არგენტინული კლუბის პრეზიდენტმა **ფერნანდო რაფაინმ** „მეთოოფეთა“ აღმასრულებელ დირექტორ **რიჩარდ ლოუს** 12,3 მილიონი ევრო უხსენა, მოლაპარაკებები შეჩერდა. დღეს, როდესაც ლონდონელთა შვებულებების დასრულებამდე და ახალ შეკრებაზე გამგზავრებამდე დაახლოებით ერთი კვირაა დარჩენილი, ჩრდილოლონდონელთა თავკაცმა **არსენ ვენგერმა** თავის ხალხს ვაჭრობის გაგრძელება სთხოვა.

როგორც მოგახსენეთ, „არსენალმა“ თქვა, რომ „ველესის“ ხელმძღვანელობასთან ჯერჯერობით საერთო ენა ვერ გამონახეს (თუმცა, სატრანსფერო სეზონში მოვლენები ისე სწრაფად ვითარდება, რომ ამ წუთისთვის, როდესაც თქვენ გაზეთს კითხულობთ, შესაძლოა ყველაფერი მოგვარებული ან პირიქით, ჩაშლილი იყოს), მაგრამ „პალერმოს“ პრეზიდენტმა **მაურიციო ძამპარინიმ** (გაგიკვირდათ, მისი ხსენება?) თქვა, რომ სინამდვილეში „მეთოოფეებს“ საქმე მომთავრებული აქვთ:

„იანვარში ალვარესთან ყველაფერზე მოლაპარაკებულნი ვიყავით და გვეგონა თავი ქუდში გვქონდა, მაგრამ ფეხბურთელი ხელიდან გაგვისხლტა და „არსენალში“ გადადის“.

ცნობისათვის: ალვარესი ზუსტად იმ პოზიციაზე თამაშობს, რომელზეც აქამდე „ემირეიტ სთედიუმზე“ „მეთოფეთა“ კაპიტანი **სესკ ფაბრეგასი** გამოდიოდა. გამოდის, რომ „არსენალი“ ფაბრეგასის მის მშობლიურ „ბარსელონაში“ გასაყიდად ემზადება და მის შემცვლელს ეძებს.

ჩრდილო ლონდონელები ფრანგული „ლილიდან“ 24 წლის კოტ დ'ივუარელი გარემარბ-თავდამსხმელი **ჟერვინიოს** ყიდვისთვისაც ემზადებიან. პრესა წერს, რომ ჟერვინიო შემდეგ ორშაბათს უკვე „არსენალის“ ბაზაზე იქნება. საინტერესოა, რომ „ლილმა“ ამ ფორვარდის მიყიდვაზე ერთხელ უკვე უთხრა უარი „არსენალსაც“ და მის თანაქალაქელ-მოქიშპე „ტოტენჰემსაც“, თუმცა მაშინ ლონდონელებს 10,5 მილიონ ფუნტზე ანუ 11,85 მილიონ ევროზე მეტი **არ** ემეტებოდათ. ამავე ფეხბურთელის ყიდვა უნდოდა „პარი სენ ჟერმენსაც“, რომელიც საქმეს ცოტა სხვანაირად მიუდგა და „ლილს“ ფულს პლუს ფეხბურთელი შესთავაზა. დღეს, ლაპარაკია, რომ „მეთოოფეები“ 12 მილიონ ფუნტს ანუ 13,5 მილიონ ევროს გადაიხდიან და, გარდა ამისა, თავად ჟერვინიოს ინგლისში უნდა ძალების მოსინჯვა.

*„ჟერვინიოს ინგლისში თამაში სურს, — თქვა ფრანგული კლუბის გენერალურმა მენეჯერმა **ფრედერიკ ჟაკემ**, — გარდა ამისა, ჩვენც გვირჩევნია ის უცხოეთში გავყიდოთ, ვიდრე აქვე, საფრანგეთში ჩვენს რომელიმე კონკურენტს გადავულოცოთ“.*

● ტოტენჰემ ჰოთსპური

ფული ლუკა, ბევრი ფული...

ლუკა მოდრიჩი

ლუკა მოდრიჩი „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ ისტორიაში ყველაზე დიდი ხელფასის მქონე ფეხბურთელი გახდება, ოღონდ ამისათვის, რასაკვირველია, სხვაგან არ უნდა გადავიდეს. ამ საკითხზე 25 წლის ხორვატს პირადად „დეზების“ თავმჯდომარე **დევიდ ლივი** დაელაპარაკება. ისინი ერთმანეთს 6 ივლისს შეხვდებიან, როდესაც მოდრიჩს შვებულება დაუმთავრდება და ლონდონში დაბრუნდება. ტაბლოიდებმა შეიტყვეს, რომ ლივი ხორვატს გასამრჯელოს გაორმაგებას სთავაზობს. დღეისათვის ის კვირაში 45 ათას ფუნტს იღებს და თუ ლივის პირობას დაყაბულდება, შესაბამისად 90 ათასი გაუხდება.

საერთოდ, ცნობილია, რომ „სფურზის“ პრეზიდენტი ფინანსურ საკითხებში მკაცრი და ხელმომჭირნეა, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში დაბრუნების სურვილმა, როგორც ჩანს, დამოკიდებულება ნაწილობრივ მაინც შეაცვლევინა და ყველა ღონეს ხმარობს, რათა მოდრიჩი, **გარეთ ბეილი** და **აარონ ლენონი** შეინარჩუნოს. ბეილი, მოგეხსენებათ, 21 წლის უელსელი ნახევარმცველია (22 წლისა 16 ივლისს სრულდება), ლენონი კი 24 წლის იამაიკურ-ინგლისურ-ირლანდიური სისხლის ინგლისელი გახლავთ.

საინტერესოა, რომ მოდრიჩს „ტოტენჰემში“ ყველაზე დიდი ან, თუ გნებავთ, ერთ-ერთი ყველაზე დიდი ხელფასიც კი არ ჰქონდა. ყველაზე მეტს ლივი **პიტერ კრაუჩს** და **რობი კინს** უხდიდა, მაგრამ, დაახლოებით, ორი კვირის წინ „დეზების“ თავმჯდომარე „ჩელსიმ“ შეაშინა. დასავლეთ ლონდონელებმა ჩრდილოელებს მოდრიჩის სანაცვლოდ 22 მილიონი ფუნტი შესთავაზეს.

ცნობილია, რომ მოდრიჩს ლონდონიდან სხვა ქალაქში გადასვლა არ უნდა. ამბობენ, რომ რაგინდ დიდი ხელფასი შესთავაზონ, მას არც „მანჩესტერ იუნაიტედში“ თამაში ხიბლავს და არც „სიტიში“. სავარაუდოდ, ამიტომაც გაჩერდა ინგლისის ჩემპიონთა თავკაცი სერ **ალექს ფერგიუსონი,** რომელიც თავიდან გამოთქვამდა ხორვატის შეძენის სურვილს. რაც შეეხება „ჩელსის“, როგორც მოგახსენეთ, მან ლივი შეაშინა, მაგრამ პირველი უარის შემდეგ თავიც აღარ გამოიდო. არადა, გახსოვთ, იანვარში, „ლივერპულისგან“ **ფერნანდო ტორესის** ყიდვა მართლა რომ უნდოდა, სანამ თავისი არ გაიტანა, არ მოისვენა — 50 მილიონი ფუნტი გადაიხადა.

„დეილი მეილი“ კიდევ ერთ შესაძლო ვარიანტზე წერს. ის არ გამორიცხავს, რომ „ლურჯების“ ახალი მწვრთნელი, **ანდრე ვილას-ბოასი** ხრიკს მიმართავს და „ტოტენჰემს“ ფულთან ერთად **დიდიე დროგბას** შესთავაზებს, რაც ჩრდილოელთა თავკაც **ჰარი რედნაპს,** წესით უნდა მოეწონოს. თუ ვილას-ბოასი მართლა ასე მოიქცევა, ვფიქრობთ, ერთბაშად ორ კურდღელს დაიჭერს — თავიდან მოიცილებს ასაკით თანატოლ „პრიმადონას“, რომელმაც, არ არის გამორიცხული, გუნდში ურთიერთობები აურიოს. თუმცა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, „სფურზის“ მეპატრონე ლივი თავისნათქვამა კაცია და რაკიღა განაცხადა, რომ მოდრიჩთან ხანგრძლივ თანამშრომლობას აპირებს, „ვილას-ბოასის ილეთზე“ ადვილად არ წამოეგება.

ამბობენ, რომ მოდრიჩი, რომელსაც „ტოტენჰემში“ ყოფნა და ლონდონში ცხოვრება მოსწონს, თუმცა ძალიან უკმაყოფილოა, რომ გუნდი ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ვერ ითამაშებს, ლივის ახალ კონტრაქტზე დათანხმდება, მაგრამ შიგ ერთი პუნქტის ჩაწერას მოსთხოვს — თუკი კარგი მყიდველი გამოუჩნდება, „სფურზმა“ წასვლაში ხელი არ უნდა შეუშალოს. სავარაუდოდ, ამ პუნქტში მის სატრანსფერო თანხად 50 მილიონ ფუნტზე ანუ 56 მილიონ ევროზე ნაკლები ჩაიწერება.

საქმეში ჩახედულმა წყარომ ტაბლოიდებს დაუდასტურა: *„დენიელ ლივი ძალიან მოწადინებულია, რომ მოდრიჩის, ბეილისა და ლენონის სამეულთან გრძელვადიანი კონტრაქტი გააფორმოს. ამას წინათ, ლუკამ ერთ-ერთ ინტერვიუში „ჩელსი“ და მისი მეპატრონე აქო, რამაც ერთგვარი არეულობა გამოიწვია, მაგრამ „სფურზის“ ფანებს ერთი სული აქვთ, როდის დაბრუნდება ხორვატი ბაზაზე და როდის შეუდგება ვარჯიშს. ერთი სიტყვით, მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავალი მოლაპარაკება იქნება. რაც შეეხება წინადადებებს, თუ „ჩელსის“ იმ ერთ, 22-მილიონიან შემოთავაზებას არ ჩავთვლით, სხვა რომელიმე კლუბს ოფიციალურად არაფერი უთქვამს“.*

მოდრიჩმა „ტოტენჰემ ჰოთსპურთან“ სამწლიანი კონტრაქტი 2008 წელს გააფორმა, როდესაც ევროპის ჩემპიონატზე ხორვატიის ნაკრები მეოთხედფინალში გავიდა.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

ᲘᲜᲢᲔᲠᲘ

ᲒᲐᲡᲞᲔᲠᲘᲜᲘ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘᲐ, ᲛᲐᲡᲘᲛᲝ ᲛᲝᲠᲐᲢᲘᲡ ᲙᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲣᲬᲝᲜᲔᲡ

ᲙᲣᲠᲘᲝᲖᲣᲚᲛᲐ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲛ ᲕᲘᲕᲘᲐᲜᲝ ᲒᲐᲐᲘᲜᲢᲔᲠᲘᲡᲢᲐ

ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ხელშეკრულებისთვის ხელი ჯერ არ მოუწერიათ, მაგრამ უკვე ორივე მხარემ დაადასტურა, რომ მომდევნო სეზონში "ინტერის" მთავარი მწვრთნელი ჯანპიერო გასპერინი იქნება. მასიმო მორატიმ რამდენიმე კანდიდატურასთან ვერ გამონახა საერთო ენა, საბოლოოდ კი ხელში ევროპული მასშტაბით ნაკლებად ცნობილი სპეციალისტი შერჩა. მეორე მხრივ, გასპერინის აფასებენ იტალიაში, მაღალი კლასის მწვრთნელად მიიჩნევა და ასე რომ არ იყოს, ალბათ არც "ნერაძურის" თავკაცად დანიშნავდნენ. სენიორ ჯანპიერო "კორიერე დელო სპორტის" ჟურნალისტს გაესაუბრა და რამდენიმე საინტერესო კითხვას გასცა პასუხი...

პრეციოზის აზრით, გასპერინი მოურინიოს ჯობია

- თქვენც ისევე გაგიკვირდათ "ინტერის" მთავარ მწვრთნელად დანიშვნა, როგორც ჩვენ?

- ნამდვილად გამიკვირდა, რადგან „ინტერის" მესვეურებთან აქამდე არანაირი კონტაქტი არ მქონია. ცოტა ხანი დასვენებას ვაპირებდი და საერთოდ არ ვფიქრობდი ახალ სამსახურზე, როდესაც მასიმო მორატი დამიკავშირდა. ეს ჩემთვის დიდი სიურპრიზი და დიდი სიხარული იყო, რადგან ევროპული ფეხბურთის აღიარებულ გრანდში მუშაობა ნებისმიერი მწვრთნელის ოცნებაა. ბედნიერი ვარ და ენთუზიაზმით აღსავსე, ერთი სული მაქვს როდის დაიწყება სანვრთნელი პროცესი.

- იქამდე ხელშეკრულება გაქვთ გასაფორმებელი, რომელიც ერთწლიანი იქნება. მართალია?

- ცდებით, კონტრაქტი ორწლიანი იქნება გახანგრძლივების პერსპექტივით. ჩემი მიზანია, რომ თავი საუკეთესო კუთხით წარმოვაჩინო და "ინტერში" რაც შეიძლება დიდხანს დავრჩე. როდესაც სამწვრთნელო კარიერას ვიწყებდი, ვერაფრით წარმოვიდგენდი თუ "ნერაძურის" დონის გუნდს ჩავუდგებოდი სათავეში... რადგან ამას მივაღწიე, ე.ი. მონდომების ხარჯზე ყველაფერი შესაძლებელია.

- ახალ რეალობაში ხართ, სკუდეტოსა და ჩემპიონთა ლიგისთვის მოგიწევთ ბრძოლა...

- მზად ვარ ახალ სიმაღლეებს შევეჭიდო და დიდი გამარჯვებები მოვიპოვო. ასე რომ არ იყოს, "ინტერის" მთავარ მწვრთნელობას არ დავთანხმდებოდი. მასიმო მორატის რამდენჯერმე შევხვდი და ჩემი საფეხბურთო ხედვა გავაცანი, ის კი დამპირდა, რომ აუცილებლად მომცემს დროს და საშუალებას, იდეები მოედანზე გადავიტანო. "ინტერში" საოცარი ფეხბურთელები თამაშობენ, რომლებთან ერთადაც აუცილებლად დიდ მიზნებს შევწვდებით.

გასპერინის "ინტერის" მთავარ მწვრთნელად დანიშვნის საკითხზე უკვე არაერთმა საფეხბურთო მოღვაწემ გააკეთა კომენტარი, მათ შორის იტალიური სამწვრთნელო სკოლის ერთ-ერთმა ყველაზე სახელიანმა წარმომადგენელმა **მარჩელო ლიპიმ**:

"გასპერინის ახლოს ვიცნობ, შესანიშნავი ადამიანი და ბრწყინვალე მწვრთნელია. ტაქტიკურ ნიუანსებში იდეალურად არის განსწავლული და არც ფეხბურთელებთან ურთიერთობა ეშლება. მის გუნდებს თანაბარი წარმატებით შეუძლიათ პირველ და მეორე ნომრად თამაში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. მოკლედ, "ინტერის" მესვეურთა გადაწყვეტილებას ბოლომდე ვამართლებ".

გასპერინის შესახებ "ჯენოას" პრეზიდენტმა, **მაუიციო ძამპარინიმაც** ისაუბრა: *"მასიმო მორატიმ აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მიიღო, რადგან ჯანპიერო გასპერინი ევროპის საუკეთესო სპეციალისტია. გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, რომ ის ყოზე მოურინიოსაც სჯობია და პეპ გვარდიოლასაც. კარგად ვიცი, როგორ მუშაობს ყოველდღიურ რეჟიმში და რა შეუძლია. დარწმუნებული ვარ, გასპერინისთან ერთად "ინტერის" ისტორიაში ახალი ერა იწყება. რატომ გავათავისუფლე? – რაც არ უნდა ძლიერი იყოს მწვრთნელი, ყველაფერს აქვს დასასრული და დრო იყო ერთმანეთს მეგობრულად დავშორებოდით. გასპერინის აშკარად სჭირდებოდა ახალი გამოწვევა, "ჯენოას" კი ახალი მწვრთნელი".*

ამასობაში, "ინტერმა" **ემილიანო ვივიანოს** ტრანსფერის სრულად გამოსყიდვა მოახერხა და თანაც, მეტად კურიოზულ ვითარებაში. ვივიანო იტალიის ნაკრების კიპერია და ბოლო ორი წელია „ბოლონიას" ღირსებას იცავს. "ინტერისა" და 'ბოლონიას" მესვეურები მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდნენ, შეთანხმებას ვერ მიაღნიეს და იძულებულნი გახდნენ ბრმა აუქციონს დათანხმებოდნენ. აქვე გავმარტოთ, რომ ბრმა აუქციონს ფედერკალჩო უკეთებს ორგანიზებას – მხარეები სპეციალურ დოკუმენტში წერენ თანხის იმ ოდენობას, რომლის გადახდაც ამა თუ იმ ფეხბურთელში უღირთ და ვინც მეტ თანხას გაიმეტებს, ფეხბურთელიც მას დარჩება.

მოკლედ, აუქციონი გაიმართა და ვივიანო "ინტერს" დარჩა, ყველაზე პარადოქსული კი ის გახლავთ, რომ უფრო მეტი თანხა სწორედაც რომ "ბოლონიამ" გაიმატა. ყველაფერი კი "როსობლუს" გენერალური დირექტორის **სტეფანო პედრელის** ბრალია, რომელმაც თანხა არასწორ გრაფაში ჩაწერა და გამოვიდა, რომ "ბოლონია" ვივიანოს სანაცვლოდ საერთოდ არაფერს იხდიდა. შესაბამისად, მილანელთა 4.1 მილიონმა ევრომ ბოლონიელთა 4.7 მილიონს აჯობა. აი ასეთი ელემენტარული შეცდომის გამო "ბოლონიამ" ვივიანო, უფრო სწორად კი 3.2 მილიონი ევრო დაკარგა. თუ რატომ 3.2 მილიონი ევრო, ამასაც აქვე აგიხსნით – საქმე იმაშია, რომ აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში, "ბოლონიას" მესვეურები კიპერის "რომასთვის" 12 მილიონ ევროდ მიყიდვას აპირებდნენ. მოკლედ, ელემენტარული მათემატიკის ამბავია და ალბათ მიხვდით – პედრელის კი კლუბის მფლობელთან თავის მართლება მოუწევს.

თუ რა ბედი ელის ვივიანოს "ინტერში", ამაზე "ნერაძურის" გენერალური დირექტორი **მარკო ბრანკა** ისაუბრებს: *"ვივიანო იტალიის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა და ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ მისი ტრანსფერი სრულად გამოვისყიდეთ. ემილიანოს საკითხს მთავარი მწვრთნელი გადაწყვეტს, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ იტალიის ეროვნული ნაკრების კიპერია, ვფიქრობ, რომ მის განათხოვრებაზე ლაპარაკი უადგილოა. ჩემი აზრით, ის თავისუფლად გაუწევს კონკურენციას ჟულიო სეზარს".*

ბოლოს, კიდევ ერთი ინფორმაცია "ინტერის" შესახებ, რომელიც **ჯონათან ბიაბიანს** ეხება. ფრანგი იმ გუნდში დაბრუნდა, სადაც იტალიური კარიერა დაიწყო და საიდანაც შემდეგ "ინტერში" გადაბარგდა. ლაპარაკია "პარმაზე", გუნდზე, სადაც ბიაბიანმა 2009/2010 წლებში იასპარეზა, 29 თამაშში მიიღო მონაწილეობა და 6 გოლი გაიტანა. მისი "ინტერში" გადაბარგება **რაფაელ ბენიტესის** ინიციატივა იყო, თუმცა მილანურ გრანდში თავის სრულად წარმოჩენა ვერ შეძლო და იჯარის წესით "სამპდორიაში" გადავიდა. გენუურმა გუნდმა ელიტური დივიზიონი დატოვა, თუმცა ჯონათანს მაინც სერია A-ში მოუწევს ასპარეზობა – როგორც უკვე აღვნიშნეთ, 23 წლის შემტევი "პარმაში" ბრუნდება, ამჯერად ერთწლიანი საარენდო ხელშეკრულებით.

ᲚᲐᲨᲐ ᲬᲘᲙᲚᲐᲣᲠᲘ

ᲘᲣᲕᲔᲜᲢᲣᲡᲘ

35 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲐᲒᲣᲔᲠᲝᲡ ᲡᲐᲜᲐᲪᲕᲚᲝᲓ

"ᲒᲐᲫᲔᲢᲐ ᲓᲔᲚᲝ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, "იუვენტუსის" მესვეურები გადამწყვეტ იერიშზე აპირებენ გადასვლას, რათა სანადელი აისრულონ და მადრიდის "ატლეტიკოდან" **სერხიო აგუერო** გადაიბირონ. 23 წლის თავდამსხმელის ტრანსფერზე მადრიდის "რეალის" მესვეურებიც მუშაობდნენ, თუმცა ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. სამეფო კლუბის პრეზიდენტის, **ფლორენტინო პერესის** თქმით, აგუეროს გადაბირების საკითხი დღის წესრიგში აღარ დგას. ერთი სიტყვით, "იუვენტუსს" მთავარი კონკურენტი გამოაკლდა, რამაც ტურინელები ენთუზიაზმით აავსო.

"გაძეტას" მტკიცებით, ტურინელები მადრიდის "ატლეტიკოს" მესვეურებს სერხიო აგუეროს სანაცვლოდ 35 მილიონ ევროს შესთავაზებენ. მართალია, ესპანელები 45 მილიონს ითხოვენ, მაგრამ ამხელა თანხის გადამხდელი ჯერ არ გამოჩენილა და საეჭვოა, რომ საერთოდ გამოჩნდეს. გამომდინარე აქედან, დიდია შანსი მადრიდელები დათმობაზე წავიდნენ და 45 მილიონის გაუთავებლად ლოდინს, ნაღდი 35 მილიონი ამჯობინონ.

"იუვენტუსის" სპორტული დირექტორის, **ჯუზეპე მაროტას** თქმით, ოფიციალური შეთავაზება უკვე მზადაა და მალე, მას ესპანეთში პირადად ჩაიტანს. ვნახოთ, რა გაგრძელება ექნება ამ ისტორიას.

ᲚᲐᲨᲐ ᲬᲘᲙᲚᲐᲣᲠᲘ

ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲕᲡᲣᲭ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲖᲜᲔᲔᲑᲘᲗ

"ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲔᲜᲘᲡ" ცნობით, "პარი სენ-ჟერმენი" სერიოზულად დაფიქრდა "პალერმოდან" 22 წლის **ნავიერ პასტორეს** შეძენაზე. სიცილიელთა პრეზიდენტ **მაურიციო ძამპარინის** არაერთხელ განუცხადებია, რომ მზადაა, გუნდის ლიდერი 50 მილიონ ევროდ დათმოს. ყატარელი ინვესტორების მოსვლის შემდეგ კი პარიზელებს იმედი აქვთ, რომ ისინი ამხელა თანხის გადახდაზე ყაბულს იქნებიან. თუკი ფული გამოიყო, არგენტინელის შესაძენად მოლაპარაკებები მეორე დღესვე დაიწყებაო, - გვარწმუნებს გამოცემა.

მას შემდეგ, რაც გადაწყდა, რომ სპორტულ დირექტორად **ლეონარდო** ინიშნება (იურიდიულად ამის გაფორმებას ისევ და ისევ დეტალები აკლია), ყურადღება ძირითადად იტალიური ბაზრისკენაა მიმართული, რაც გასაკვირი სულაც არ არის, რადგან ბრაზილიელი მას ზედმიწევნით კარგად იცნობს. ლეო სერიოზულად ფიქრობს "რომადან" 29 წლის **მარკო ბორიელოს** ყიდვაზეც, ვისთან ერთადაც ის "მილანში" მუშაობდა. პრობლემა ის არის, რომ მარკომ "ჯალოროსისთან" სრულფასოვანი კონტრაქტი სულ რაღაც 3 დღის წინ გააფორმა, იქამდე ის "რომაში" იჯარით იყო მივლინებული.

ᲠᲝᲛᲐ ᲓᲐ ᲮᲝᲡᲔ ᲐᲜᲮᲔᲚᲘ

"ᲒᲐᲫᲔᲢᲐ ᲓᲔᲚᲝ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ" ცნობით, "რომა" ამ ზაფხულზე სერიოზულ მიზნებს ისახავს. პირველ რიგში გუნდს კვალიფიციური მეკარე სჭირდება. ასეთი კანდიდატურა კი მათ უკვე შერჩეული ჰყავთ - ლაპარაკია "აიაქსის" 28 წლის კარის დარაჯ **მარტენ სტეკელენბურგზე**. ამსტერდამელებმა ეს-ეს არის, დაადასტურეს, რომ მზად არიან ჰოლანდიის ნაკრების ძირითად მეკარეს შეელიონ. მისი კლასიდან და ასაკიდან გამომდინარე ფასი მისაღებია – 12 მილიონი ევრო. ერთადერთი კლუბი, ვინც მარტენის მიმართ ინტერესი ოფიციალურად დაადასტურა, ეს სწორედ "რომაა".

ისევ და ისევ "გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, "ჯალოროსის" ხიხონის "სპორტინგიდან" ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების 21 წლის განაპირა მცველის **ხოსე ანხელის** ყიდვა სურს. ზამთარში მისი გადაბირება "ფიორენტინასაც" სურდა, მაგრამ უარი თავად ფეხბურთელმა თქვა.

ᲐᲚᲣ ᲓᲘᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲡᲔᲚᲨᲘ

ᲛᲐᲠᲡᲔᲚᲘᲡ "ოლიმპიკის" ხელმძღვანელობა ახლოსაა მიზანთან, "ბორდოსა" და საფრანგეთის ნაკრების კაპიტანი **ალუ დიარა** შეიძინოს. 31 წლის ფეხბურთელმა ექსჩემპიონებთან პირადი 3-წლიანი კონტრაქტი უკვე შეათანხმა. "პარიზიენის" ცნობით, დიარა თვეში 320 ათას ევროს მიიღებს. კლუბებს შორის შეთანხმება მიღწეული არ არის, თუმცა "ბორდო" სულ რაღაც 5 მილიონს ითხოვს და ეჭვი არავის ეპარება, რომ ისინი საბოლოოდ მაინც იპოვიან საერთო ენას.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲑᲘᲑᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲐᲘᲐᲥᲡᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲓᲐᲜ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲡᲠᲝᲚᲐ ᲐᲗᲘᲐᲜᲨᲘ

ᲔᲡ ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲐ პირველად წინა ნომრებში შემოგთავაზეთ, სადაც მოთხრობილი იყო 1966 წლის "აიაქსზე". დღეს მეორე ნაწილს გთავაზობთ. მთხრობელი ისევ და ისევ ჰენი შუმანია. ის კიდევ უფრო ადრინდელ ხანას იხსენებს და 1959/60 წლების "აიაქსზე" მოგვითხრობს.

13 წლის **ჰენი შუმანი**, პატა ბიჭი ზაანსტრეიკიდან ამსტერდამში "აიაქსის" პირველ მატჩზე დასასწრებად წავიდა, რათა ტრიბუნიდან დაეჭირა მხარი თავისი კერპებისთვის, **ჰენკ** და **კეს გროტებისთვის**. ბილეთი ფასდაკლებით იყიდა, 40 ცენტი გადაიხადა: *"მე არ მქონდა გულშემატკივრის სანი, მაგრამ სწორედ ამ სეზონიდან დავიწყე რეგულარულად საშინაო მატჩებზე სიარული, შემდეგ რეგიონში გამართულ მატჩებსაც ვესწრებოდი, ერთი-ორჯერ როტერდამშიც მოვახერხე მოხვედრა".*

სტადიონზე პირველივე მისვლისას ახალგაზრდა გულშემატკივარი ზუსტად იმის მოწმე გახდა, რისთვისაც იქ მივიდა - ჰენკ გროტის ჰეთთრიკი იხილა. ამ გოლების გარდა მატჩში არც არაფერი მომხდარა. ეს 1959 წლის 23 აგვისტო იყო. ორმა მომდევნო მატჩმა იმედგაცრუების გარდა არაფერი მოიტანა: 2:2 "ვილემთან" და 0:3 "ფეიენოორდთან". ამ წაგებამ "აიაქსისთვის" "ფეიენოორდთან" კიდევ ერთხელ დაპირისპირება უზრუნველყო. ამჯერად ყველა კითხვაზე პასუხი ერთ მატჩს უნდა გაეცა. *"ყველაზე ცუდი როტერდამელებთან გადამწყვეტი მატჩისას ის იყო, რომ კეს გროტი ტრავმირებული იყო. გადამწყვეტ მატჩში მონაწილეობა მას არ შეეძლო, თუმცა ამსტერდამელებმა ამოცანა მის გარეშეც გადაჭრეს. ოლიმპიურ სტადიონზე ვიმ ბლაინბერგმა სამი გოლი გაიტანა. საბოლოოდ მატჩი "აიაქსმა" 5:1 მოიგო. ამ დროს ძირითად აქცენტს გუნდი თავდასხმაზე აკეთებდა, მინდორზე 2 ნახევარმცველითა და 5 თავდამსხმელით გამოდიოდა. ამ სეზონში "აიაქსმა" 109 გოლი გაიტანა (გაუშვა 44) და აქედან 67 ჰენკ და კეს გროტების ანგარიშზე იყო. მეასე გოლი 1960 წლის 18 აპრილს "ვოლენდამის" კარში შაკ სვარტმა გაიტანა... სამწუხაროა, რომ ეს პატივი არც ერთ ძმას არ ხვდა".*

1959/60 წლების სეზონი ერთი რამით იყო აღსანიშნავი, გუნდი პირველად გახდა ჰოლანდიის ჩემპიონი და პირველი ვარსკვლავიც დაიმსახურა, ზუსტად 51 წელი დასჭირდა "აიაქსს", რომ 29-ჯერ კიდევ დაემსახურებინა ეს პრიზი და მკერდზე მესამე ვარსკვლავი დაებნია.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲑᲘᲑᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

აიაქსის პირველი დიდი თაობის ვარსკვლავი ვიმ ბლაინბერგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰამბურგი

სოსისები კარგია, მაგრამ...

იონინგი ჰამბურგის აღმშენებლობას შეუდგა

გუშინ ახალი სეზონისთვის მზადება კიდევ ერთმა გერმანულმა გუნდმა, „ჰამბურგმა" დაიწყო. ჩრდილოგერმანული კლუბის პირველ ვარჯიშს, რომელსაც გუნდის ახალი თავკაცი **მიხაელ იონინგი** გაუძღვა, 3000-მდე ქომაგი დაესწრო. ფანებმა კლუბისგან საჩუქრად 1500 უფასო სოსისი მიიღეს, მაგრამ მაინც ცუდ ხასიათზე იყვნენ, რადგან იონინგმა პირველ ვარჯიშზე ერთბაშად 11 ფეხბურთელი მოისაკლისა. სამაგიეროდ, მწვრთნელისა და გულშემატკივრების წინაშე უკლებლივ წარდგნენ ის ახალგაზრდა მოთამაშეები, რომლებიც „ჰამბურგმა" ახლახან ახალი სპორტული დირექტორის, **ფრანკ არნესენის** წყალობით ლონდონის „ჩელსიდან" გადაიბირა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ არნესენმა მთლიანად შეცვალა „ჰამბურგის" პოლიტიკა. თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ, ანუ, პირველი ივნისიდან მან ისეთი ფეხბურთელები გაუშვა, როგორებიც არიან **რუუდ ვან ნისტელროი, იორის მატიისენი** და **ზე რობერტო**. მათ ნაცვლად კი ახალგაზრდა და ყველასათვის უცნობი ფეხბურთელები გადაიბირა, მთავარი მწვრთნელის პოსტზე კი იონინგი დატოვა, რომელიც მანამდე დროებითი დამრიგებლის სტატუსით სარგებლობდა და ახლა მასთან ერთად ბუნდესლიგის უკანასკნელი დინოს დიდ აღმშენებლობას იწყებს. დღევანდელი „ჰამბურგი" უკვე ძალიან გაახალგაზრდავებული გუნდია (გასულ სეზონში HSV-ს საშუალო ასაკის მიხედვით ყველაზე ასაკოვანი გუნდი ჰყავდა), თუმცა ჯერ მაინც არავინ იცის, რა შეუძლია ამ გუნდს, რისთვის იბრძოლებენ მომავალ სეზონში იონინგი და მისი ბიჭები.

„პირველ რიგში უნდა ვეცადოთ, რომ შევთამაშდეთ და გავიზარდოთ როგორც გუნდი, - განაცხადა ჩრდილოელთა მწვრთნელმა გუშინ, პირველი ვარჯიშის შემდეგ - იმედი მაქვს, რომ ბუნდესლიგის პირველივე ტურში გამოჩნდება, რომ ძლიერი გუნდი გვყავს და მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა შეგვიძლია. „ჰამბურგში" ფაქტობრივად ყველაფერი თავიდან იწყება და მიხარია, რომ მეც ამ პროექტის ნაწილი ვარ. ისიც ვიცი, რომ ჩემ წინაშე ურთულესი ამოცანაა."

იონინგს გუნდის შეთამაშება თავიდან ძალიან გაუჭირდება, რადგან როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, პირველივე ვარჯიშზე ტრავმების გამო 11 წამყვანი ფეხბურთელი დააკლდა. ასე განსაჯეთ, გუშინ „ჰამბურგის" არცერთ ნომინალურ თავდამსხმელს არ უვარჯიშია. **მლადენ პეტრიჩი** და **მარკუს ბერგი**, რომელიც განათხოვრების შემდეგ ისევ ჰამბურგში დაბრუნდა, ტრავმირებულები არიან. **პაულო გერერო** კი კოპა ამერიკაზე პერუს ნაკრებთან ერთადაა. მათ გარდა, პირველ ვარჯიშზე არ ჩანდნენ **მარსელ იანსენი** და **დენის აოგოც**. ჰამბურგში ჰოლანდიელ ახალწვეულ **ჯეფრი ბრუმას** ამ დღეებში ელიან, რომელთანაც ყველაფერი შეთანხმებულია, სამედიცინო შემოწმება კი ჯერ არ გაუვლია და არც კონტრაქტი გაუფორმებია. ეს უკანასკნელი ჰამბურგელებმა ასევე „ჩელსიდან" გადაიბირეს – **მაიკლ მანსიენთან, გიოქჰან ტიორესთან** და **ჯაკოპო სალასთან** ერთად. ოთხივე მათგანი „ჩელსის" 21-წლამდელთა გუნდის ღირსებას იცავდა.

მლადენ პეტრიჩი და მიხაელ იონინგი გუშინდელ ვარჯიშზე

ქალების მუნდიალი. I ტური. A ჯგუფი



გერმანელები, და მბაბი, ბრესონიკი და გარეფრეკასი კანადის დამარცხებას ზეიმობენ

ფავორიტმა მოგებით დაიწყო

გერმანელ ქალებს ფრანგებიც არ ჩამორჩნენ

ნიგერია-საფრანგეთი 0:1

ნიგერია (4-2-2-1-1): დედე – იკიდი (34. ჩუკვუნონიე), ოჰალე, ები, უკაონუ – იროკა, ჩიკველუ – მბაჩუ, ორჯი (78. სანდი) – ნკვოჩა – ოპარანოძიე.

საფრანგეთი (4-1-4-1): საპოვიჩი – რენარი (69. ლეპაილეუ), ჟორჟი, მეილერუ, ბომპასტორი – სოუბეირანი (46. ლე სომერი) – აბილი, თინეი (57. თომისი), ბუსალია, ნეციბი – დელი.

გოლი: 0:1 დელი (56)

მაყურებელი: 25 475

გერმანია-კანადა 2:1

გერმანია (4-2-3-1): ანგერერი – ბრესონიკი, კრანი, ბარტუსიაკი, პეტერი – კულიგი, ლაუდერი – გარეფრეკესი, ოკოინო და მბაბი (65. გრინგსი), ბერინგერი (71. ბაირამაი) – პრინცი (56. პოპი).

კანადა (4-1-2-2-1): მაკლეოდი – ვილკინსონი, ჩეპმენი, ზურერი, ნოლტი (46. გეილი) – შმიდტი – კილი (46. პარკერი), მათესონი – ტანკრედი (80. ტიმკო), ფილინიო – სინკლერი.

გოლები: 1:0 გარეფრეკესი (10), 2:0 ოკოინო და მბაბი (42), 2:1 სინკლერი (82)

მაყურებელი: 73 680

ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი გუშინ A ჯგუფის მატჩებით გაიხსნა. მუნდიალის მთავარმა ფავორიტმა გერმანიის ნაკრებმა, რომელიც მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონია და საერთოდ, ზედიზედ ორი მუნდიალი აქვს მოგებული, როგორც მოსალოდნელი იყო, გამარჯვებით დაიწყო. გერმანელმა მანდილოსნებმა ბერლინის „ოლიმპიაშტადიონზე", 73 680 მაყურებლის თვალწინ კანადელები 2:1 დაამარცხეს. აღსანიშნავია, რომ ქალთა ბუნდესგუნდის მთავარი მწვრთნელის, **სილვია ნაიდის** შეგირდებისგან ყველა უფრო დიდი ანგარიშით გამარჯვებას ელოდა.

ანგარიში **კერსტინ გარეფრეკესმა** მატჩის დებიუტშივე გახსნა და თამამად უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელი მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი იყო. გარდა იმისა, რომ მთელი შეხვედრა უმაღლეს დონეზე ჩაატარა, გოლთან ერთად საგოლე პასიც მიითვალა – კანადელთა მეორე გოლი **ჩელია ოკოინო და მბაბიმ** სწორედ გარეფრეკესის პასით გაიტანა. მასთან ერთად, უდავოდ გამორჩეული იყო ზემოთ ხსენებული და მბაბი და გერმანელთა მარცხენა მცველი **ბაბეტ პეტერიც**.

მატჩის მიწურულს კანადელებმა ერთი ბურთის გაქვითვა კი მოახერხეს (გოლი ერთადერთმა თავდამსხმელმა **კრისტინ სინკლერმა** გაიტანა), მაგრამ ნაიდის გოგონებმა მათ მეტი არაფერი გააბედინეს.

ჯგუფის მეორე მატჩში საფრანგეთის ნაკრებმა აფრიკის ჩემპიონი ნიგერია მინიმალური ანგარიშით, 1:0 დაამარცხა. ეს შეხვედრა ზინსჰაიმში, „რაინ ნეკარ არენაზე" შედგა და ბევრისთვის მოულოდნელად, 25 475 მაყურებელი დაესწრო. საფრანგეთის ნაკრებიდან ერთადერთი გოლი თავდამსხმელმა **მარი-ლორ დელიმ** გაიტანა, რითაც **ბრუნო ბინის** გუნდს მუნდიალზე სამქულიანი სტარტი აალებინა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფრანგებმა მეოთხედფინალისკენ პირველი ნაბიჯი გადადგეს.

ვოლფსბურგი

დიეგოს მაგათი შემოელანძღა

ფელიქსმა ბრაზილიელი ახლა უკვე ოფიციალურად გააგდო

„ვოლფსბურგის" მთავარმა მწვრთნელმა **ფელიქს მაგათმა** გასული კვირის მიწურულს უკვე ოფიციალურად დაადასტურა ის, რაც მანამდე ყველასათვის ცხადი იყო: **დიეგოს** „მგლებში" მომავალი აღარ აქვს. „დესპოტმა ფელიქსმა" ბრაზილიელი გამთამაშებელი გუნდიდან მოკვეთა და თქვა, მან ახალი კლუბი უნდა ეძებოსო. თუკი მანამდე ჩუმად იყო, გაიგო რა, რომ მაგათს ნაღდად აღარ სჭირდება, ბრაზილიელმა ხმა აიმაღლა და „ვოლფსბურგის" მწვრთნელი გააკრიტიკა.

„მწვრთნელების კრიტიკა არ მჩვევია, მაგრამ ფელიქს მაგათი ნაღდად განსაკუთრებული შემთხვევაა. მას თავისი, ძალიან ბევრი ფეხბურთელისთვის მიუღებელი სტილი აქვს და რაკი მე ფეხბურთელი ვარ, ის კი მწვრთნელია, ვალდებული ვარ, მისი გადაწყვეტილება მივიღო," - უთხრა დიეგომ ჩვენს გერმანელ კოლეგებს. შეგახსენებთ, რომ დიეგოსა და მაგათს შორის ურთიერთობა გასული სეზონის მიწურულს, უფრო კონკრეტულად, ბოლო ტურის წინ დაიძაბა, როცა ფეხბურთელმა მატჩისწინა სხდომა პროტესტის ნიშნად მას მერე დატოვა, რაც მწვრთნელისგან შეიტყო, რომ ბოლო ტურის მატჩში გუნდის ძირითად შემადგენლობაში ვერ მოხვდებოდა. პრინციპში, ექსპერტები გაცილებით ადრეც ვარაუდობდნენ იმას, რომ დიეგო ფელიქსის ხელში „ვერ მოძოვდა", რადგან 26 წლის ფლეიმეიკერი უდისციპლინო და ეგოისტი ფეხბურთელია, მაგათი კი ასეთ ფეხბურთელებს ვერ იტანს.

„შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ ფელიქსს შევხვდი. საუბრისას გამოჩნდა, რომ ჩვენი მოსაზრებები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდებოდა და მივხვდი, რომ „ვოლფსბურგში" დარჩენას აზრი არ აქვს," - ამბობს დიეგო.

გამორიცხული არაა, რომ დიეგო გერმანიაში დარჩეს – ყოველ შემთხვევაში, ამის დიდი სურვილი აქვს, მაგრამ მოისურვებს კი რომელიმე კლუბი მის აყვანას? საკითხავი აი, ეს არის. ორი-სამი წლის წინ მასზე დიდი მოთხვნა იყო, ბრაზილიელის ყიდვაზე თვით მიუნხენის „ბაიერნიც" სერიოზულად ფიქრობდა, რადგან მაშინ დიეგო „ვერდერში" დაფრინავდა, მაგრამ ტურინის „იუვენტუსს" მიაშურა, სადაც იმედები ვერ გაამართლა და მერე „ვოლფსბურგში" სცადა ბედი, სადაც ასევე ჩაფლავდა. შესაბამისად, დღეს დიეგო ფაქტობრივად არაფერს წარმოადგენს. ამ ყველაფერს კი ისიც ემატება, რომ „ვოლფსბურგი" ბრაზილიელს ძალიან იაფად ნაღდად არ დათმობს. ერთი წლის წინ „მგლებმა" „იუვენტუსს" 15 მილიონი ევრო გადაუხადეს და სავარაუდოა, რომ ფელიქსი მას 10 მილიონზე იაფად არ გაყიდის.

შალკე

აი, წმენდა: 14 უკვე წავიდა!

სიტყვას საქმე მოჰყვა: შალკე იტვირთება

დასრულდა თუ არა გასული სეზონი, „შალკეს" მენეჯერმა **ჰორსტ ჰელდტმა** მთავარ მწვრთნელ **რალფ რანგნიკთან** საუბრის შემდეგ თქვა, ზაფხულში ძალიან ბევრ ფეხბურთელს გავუშვებთ, რადგან ძალიან გადატვირთული შემადგენლობა გვყავს, ამდენი ფეხბურთელი არ გვჭირდებაო. ჰელდტმა სიტყვას საქმეც მოაყოლა – ჰორსტი „შალკეს" შემადგენლობის შემცირებას შეუდგა.

მანუელ ნოიერის ტრანსფერის გარდა, რომელიც „ბაიერნში" 25 მილიონ ევროდ გაიყიდა, გელზენკირხენული კლუბის 41 წლის მენეჯერმა მენეჯერმა კიდევ 13 ფეხბურთელი მოიშორა. **კრისტიან პანდერს** („ჰანოვერში" გადავიდა), **ალი ქარიმის, ანგელოს ხარისტეასს** (ორივე უგუნდოდაა), **დანილო ალვარს** (ლვოვის „კარპატიდან" არენდით იყო აყვანილი) და **მარვინ პახანს** კონტრაქტები დაუმთავრდათ. **ლუკას შმიტცი** ბრემენის „ვერდერში" ერთ მილიონ ევროდ გაიყიდა, **ჩიპრიან დეაცი** ბუქარესტის „რაპიდში" გაანათხოვრეს, **ტორე რეგინიუსენი** „ოდენსეში" გადავიდა, **ბოგდან მიულერი** „კარლსრუეში", **ვასილეოს პლიციკასი** „დუისბურგში" გაანათხოვრეს, **მარვინ პურიე** „სილკებორგმა" იყიდა, ხოლო **ნიკოლა პლესტანთან** კი უბრალოდ კონტრაქტი გაწყვიტეს და არც ისე დიდი ხნის წინ დიდი ზარ-ზეიმით ნაყიდი მცველი, რომელიც „შალკეს" დაცვის ახალი ბურჯი უნდა გამხდარიყო, ახლა უკლუბოდაა.

შაბათს „შალკესთან" კონტრაქტი **ჯერალდ ასამოამაც** გაწყვიტა. როგორც იცით, ეს უკანასკნელი გასულ სეზონში „ზანკტ პაულიში" იყო განათხოვრებული და რაკი კიცელები მეორე ბუნდესლიგაში გავარდნენ, ისევ გელზენკირხენში დაბრუნდა. ჯერჯერობით უცნობია, სად გააგრძელებს კარიერას 32 წლის ასამოა, რომელიც „შალკეს" ფანებს ძალიან უყვართ. გამორიცხული არც ისაა, რომ კარიერა დაამთავროს, თუმცა ჯერ საკმაო დრო აქვს საიმისოდ, რომ საინტერესო შემოთავაზებებს ელოდოს. **ლევან ყენიას** კლუბის წმენდა ამით არ დამთავრებულა - დიდი შანსია, რომ „შალკე" სხვა ფეხბურთელებმაც დატოვონ. წასვლის უპირველესი კანდიდატები არიან განელები **ჰანს სარპეი** და **ანტონი ანანი**, ასევე ჩინელი **ხუნმინ ჰაოც**.

რაც შეეხება ახალწვეულებს და პოტენციურ ახალწვეულებს. გადაწყვეტილია, რომ „შალკეში" მეორე ბუნდესლიგაში გავარდნილი „აინტრახტის" მეკარე **რალფ ფერმანი**, ავსტრიის ნაკრების მცველი **კრისტიან ფუხსი** (მაინციდან, 4.5 მილიონად), **ლუის ჰოლტბი** („მაინცში" იყო განათხოვრებული), **იან მორავეკი** („კაიზერსლაუტერნში" იყო განათხოვრებული) და ნახევარმცველი **მარკო ჰიოგერი** (აახენის „ალემანიადან", 1.5 მილინად) გადავლენ. გარდა ამისა, გელზენკირხენელებმა მეორე გუნდის წევრ **ანდრეს ვიგელს** პროფესიული კონტრაქტი (2013 წლამდე) გაუფორმეს. ჯერჯერობით გაურკვეველია **ჯერმეინ ჯონსის** საკითხი, რომელიც გასულ სეზონში „ბლექბერნში" იყო განათხოვრებული. რანგნიკს ეს უკანასკნელი არ სჭირდება და დიდი შანსია, რომ ჯონსი „ბლექბერნში" დარჩეს.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცი

● სევილია, ბილბაო და ატლეტიკო. სეზონის სტატისტიკური მიმოხილვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპალიგელები

ტოპფორვარდების სამი სამჭედლო

კუნ აგუერო

ფერნანდო ლორენტე

ალვარო ნეგრედო

ამ კლუბებს ორი რამ აერთიანებთ: მათ 58-58 ქულით დაასრულეს სეზონი და დაიკავეს მე-5-მე-7 ადგილები და ისინი ევროპალიგის გათამაშებაში ჩაებმებიან. „ბილბაო“ და „სევილია“ ევროპალიგის (ვფიქრობთ, ჩვენში დამკვიდრებული ტერმინი - ევროპის ლიგა არ არის სწორი) პლეი ოფის ეტაპიდან ითამაშებენ, ხოლო მადრიდის „ატლეტიკო“ - მესამე საკვალიფიკაციო რაუნდიდან. ამ სამეულიდან მიღწეულით კმაყოფილი მხოლოდ ბასკური კლუბი თუ იქნება, თორემ „სევილია“ და „ატლეტიკო“ ჩემპიონთა ლიგის საგზურს გეგმავდნენ, შესაბამისად, სეზონის ბოლოს მათ მთავარი მწვრთნელები შეეცვალათ.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ1
5. სევილია	38	17	7	14	62-61	58
6. ბილბაო	38	18	4	16	59-55	58
7. ატლეტიკო	38	17	7	14	62-53	58

შესანიშნავი ტრიო: ნეგრედო, აგუერო, ლორენტე

გოლი + პასი ამ სამ გუნდში „სევილიას“ ფორვარდი **ალვარო ნეგრედო** გამოირჩევა, რომლის ანგარიშზე 20 გოლი და 5 საგოლე პასია. შესანიშნავი შედეგია თავდამსხმელისთვის. 20 გოლი მადრიდელმა **სერხიო აგუერომაც** გაიტანა, 18 იკმარა მსოფლიოს ჩემპიონმა **ფერნანდო ლორენტემ**. ნეგრედო-**კანუტეს** წყვილმა ჯამში 32 გოლი გაიტანა, არადა, კანუტე ტრავმებმა გატანჯეს, თორემ მეტსაც მიაღწევდა. მოკლედ, იმის თქმა გვსურს, რომ „სევილიას“ შეტევაში ყველაფერი კარგად ჰქონდა (10 გოლის გატანა მოასწრო ბრაზილიაში გადაბარგებამდე ლუიზ ფაბიანომაც). პრინციპში, ამ მხრივ არც ორ დანარჩენ კლუბს უჭირდა.

„სევილიას“ და „ბილბაოს“ კარში ყველაზე მეტი გოლი ერთმა და იმავე ფეხბურთელმა გაიტანა - **კრიშტიანო რონალდომ**, მან 4-4 ჯერ აიღო ანდალუსიური და ბასკური კლუბების კარი. აი, „ატლეტიკო“ კი ყველაზე მეტად **ლეო მესიმ** გაამწარა - 4-ჯერ.

სევილია

გოლები: ნეგრედო (20), კანუტე (12), ლ. ფაბიანო (10), რაკიტიჩი (5), პეროტი (3), ალფარო (2), კონკო (2), ესკუდე (2), რენატო (2), ხ. ნავასი (1), რომარიკი (1), ფასიო (1), კასერესი (1).

საგოლე პასები: პეროტი (6), ნეგრედო (5), ხ. ნავასი (4), რომარიკი (3), რაკიტიჩი (2), კანუტე (2), დაბო (2), რენატო (2), კასერესი (2), გუარენტე (1), ლ. ალბერტო (1), ლ. ფაბიანო (1), როდრი (1), ალფარო (1), კაპელი (1), ს. სანჩესი (1), აკოსტა (1), ხ. კარლოსი (1), ზოკორა (1).

ბილბაო

გოლები: ფ. ლორენტე (18), ტოკერო (7), დ. ლოპესი (6). გაბილონდო (5), მუნიაინი (5), ირაოლა (4), ხ. მარტინესი (4), გურპეგი (2), სან ხოსე (2), ვერა (1), ორბაისი (1), სუსაეტა (1), ი. პერესი (1), ფასიო (სევილია) ს. კ. (1), დელ მორალი (ხეტაფე) ს.კ. (1).

საგოლე პასები: ირაოლა (7), დ. ლოპესი (6), სუსაეტა (3), გაბილონდო (3), ტოკერო (3), დე მარკოსი (2), მუნიაინი (2), ორბაისი (2), ფ. ლორენტე (2), ი. მარტინესი (2), იტურასპე (1), აურტენეჩე (1), ხ. მარტინესი (1), გურპეგი (1).

ატლეტიკო

გოლები: აგუერო (20), ფორლანი (8), რეიესი (6), დ. კოშტა (6), ტიაგო (4), სიმაო (3), კოკე (2), ელიასი (2), სუარესი (2), ა. დომინგესი (2), ხუანფრანი (1), ხურადო (1), ვალერა (1), რ. გარსია (1), ფილიპე (1), კოდინა (ხეტაფე) ს.კ. (1), მუნუა (ლევანტე) ს.კ. (1).

საგოლე პასები: რეიესი (7), სიმაო (5), ფორლანი (5), ხუანფრანი (3), ტიაგო (3), რ. გარსია (3), სუარესი (3), აგუერო (2), ფილიპე (2), უიფალუში (2), დ. კოშტა (2), ა. ლოპესი (2), ვალერა (1), მერიდა (1).

ზეუცვლელი დე ხეა

ყველაზე მეტი ფეხბურთელი „სევილიამ“ გამოიყენა - 32, მერე მოდის „ბილბაო“ - 29, ყველაზე ცოტა კი - „ატლეტიკომ“ - 24. ამათში მხოლოდ 2 ფეხბურთელია ისეთი, რომელთაც ლა ლიგის 38-ივე ტურში მიიღეს მონაწილეობა: ფერნანდო ლორენტე და **დავიდ დე ხეა**, თუკი ბასკ ფორვარდს ცვლიდნენ ხოლმე, „ატლეტიკოს“ მეკარემ მთელი ჩემპიონატი შეუცვლელად ითამაშა.

სევილია

მეკარეები: ვარასი (21), პალოპი (19).

მცველები: ფ. ნავარო (30), ესკუდე (28), კასერესი (25), დაბო (24), ალექსისი (21), ფასიო (19), კონკო (11), ს. სანჩესი (7), ლუნა (2), დრაგუტინოვიჩი (2), ესპინოსა (1).

ნახევარმცველები: კაპელი (27), რომარიკი (25), ზოკორა (24), რენატო (24), მედელი (15), ხ. ნავასი (15), რაკიტიჩი (13), გუარენტე (7), ჩიგარინი (6).

თავდამსხმელები: ნეგრედო (38), პეროტი (31), კანუტე (28), ლ. ფაბიანო (21), ალფარო (20), აკოსტა (10), ხ. კარლოსი (6), როდრი (5), ლ. ალბერტო (2), კონე (1).

სასტარტო 11 (ოპტიმალური): პალოპი - კონკო, ესკუდე, კასერესი, ფ. ნავარო - ხ. ნავასი, რომარიკი, ზოკორა, პეროტი - ლ. ფაბიანო, ნეგრედო.

სასტარტო 11 (სტატისტიკით): ვარასი - დაბო, ესკუდე, კასერესი, ფ. ნავარო - კაპელი, რომარიკი, ზოკორა, პეროტი - ნეგრედო, კანუტე.

ბილბაო

მეკარეები: ირაისოსი (37), რ. ფერნანდესი (1).

მცველები: ირაოლა (37), სან ხოსე (31), ეკიზა (21), ამორებიეტა (17), კოიკილი (16), კასტილიო (11), უსტარიცი (10), აურტენეჩე (10), ოსიო (4), ბალენზიაგა (1).

ნახევარმცველები: ხ. მარტინესი (35), გურპეგი (31), გაბილონდო (29), სუსაეტა (28), დ. ლოპესი (28), ორბაისი (26), იტურასპე (17), ი. გომესი (3), ი. პერესი (3).

თავდამსხმელები: ფ. ლორენტე (38), მუნიაინი (35), ტოკერო (30), დე მარკოსი (13), ი. მარტინესი (8), ი. ველესი (5), ვერა (5), დე სერიო (2).

სასტარტო 11 (ოპტიმალური): ირაისოსი - ირაოლა, სან ხოსე, ამორებიეტა, აურტენეჩე - გურპეგი, ხ. მარტინესი, გაბილონდო, მუნიაინი - ტოკერო, ფ. ლორენტე.

სასტარტო 11 (სტატისტიკით): ირაისოსი - ირაოლა, სან ხოსე, ეკიზა, კოიკილი - დ. ლოპესი, ხ. მარტინესი, გურპეგი, გაბილონდო, მუნიაინი - ფ. ლორენტე.

ატლეტიკო

მეკარეები: დე ხეა (38).

მცველები: უიფალუში (32), პერეა (28), ფილიპე (27), გოდინი (25), ა. დომინგესი (19), ა. ლოპესი (17), ვალერა (15), პულიდო (2).

ნახევარმცველები: ტიაგო (31), რ. გარსია (29), სუარესი (27), ასუნსაო (24), კოკე (17), მერიდა (17), ელიასი (15), ხუანფრანი (15), ნოგერა (2), ხურადო (1).

თავდამსხმელები: რეიესი (34), აგუერო (32), ფორლანი (32), დ. კოშტა (28), სიმაო (16).

სასტარტო 11 (ოპტიმალური): დე ხეა - უიფალუში, პერეა, ა. დომინგესი, ფილიპე - რეიესი, ტიაგო, რ. გარსია, ხუანფრანი - ფორლანი, აგუერო.

სასტარტო 11 (სტატისტიკით): დე ხეა - უიფალუში, პერეა, გოდინი, ფილიპე - რეიესი, ტიაგო, რ. გარსია, სუარესი - ფორლანი, აგუერო.

გურპეგი და უარესი

ამ სამ გუნდში მხოლოდ „სევილიას“ მარცხენა მცველი **ფერნანდო ნავარო** გააძევეს ორჯერ, ნავარომ ამ „მონაგარს“ 8 ყვითელი ბარათიც დაამატა. მაგრამ ის უხეშობით ახლოსაც ვერ მივა 30 წლის ბასკ **კარლოს გურპეგისთან**, რომელსაც ყვითელი ბარათი 16-ჯერ უჩვენეს! მიაქციეთ ყურადღება ანდალუსიელთა ჩილელ ლეგიონერ **გარი მედელსაც** - 1 წითელი და 7 ყვითელი ბარათი მან ზამთრის სატრანსფერო-ფანჯრის მერე მიიღო.

ფეხბ	გუნდი	წით	ყვ
ნავარო	სევილია	2	8
პერეა	ატლეტიკო	1	11
სან ხოსე	ბილბაო	1	11
უიფალუში	ატლეტიკო	1	10
გუპეგი	ბილბაო	-	16

როდესაც დეკემბერში ფეხბურთს **სერხიო სანჩესი** დაუბრუნდა, ეს ყველამ დიდ გმირობად შერაცხა - მართლაც, გულის დაავადების შემდეგ მოედანზე გასვლა დიდ სიმამაცესთან არის დაკავშირებული, როცა ამდენი უბედური შემთხვევა ხდება მოედნებზე. იმ დროისთვის, როცა სანჩესი დაბრუნდა, მას ზუსტად 354 დღე არ ჰქონდა ნათამაშები. ტრავმებმა ბილბაოელთა მოწინავე ფეხბურთელები დაინდო, რასაც ვერ ვიტყვით დანარჩენ ორ გუნდზე. განსაკუთრებით კი „სევილიაზე“. **ხესუს ნავასი, გუარენტე, დრაგუტინოვიჩი, რაკიტიჩი**... ... ეს ის ფეხბურთელებია, რომლებიც დიდი ხნით გამოაკლდნენ გუნდს ტრავმების გამო.

„სევილიას“ სასარგებლოდ დაინიშნა 12 პენალტი (10 გამოიყენეს), ხოლო მის კარში 5 (4 გამოიყენეს). „ბილბაომ“ 11 პენალტი დაარტყა (7 გამოიყენა), მის კარში კი 8-ვე პენალტი გავიდა. „ატლეტიკოს“ სასარგებლოდ 5 პენალტი დაინიშნა და მხოლოდ 2 გავიდა, მადრიდელთა კარში დანიშნული 7 პენალტიდან 4-მა მიზანს მიაღწია.

ათასი ნერვილმანი

	ს	ბ	ა
მოგ. დ/ანგარიშით:	4-1	3-0	4-0
წაგ. დ/ანგარიშით:	2-6	1-5	1-4
მეტი გოლი:	8	7	7
ხშირი სქემა:	4-4-2 (13)	4-3-1-2 (12)	4-4-2 (20)
მეტი დარტყმა:	24	23	26
მეტი ზუსტი დარ:	11	8	11
ნაკლები დარტყმა:	3	5	5
ნაკლ. ზუსტი დარ:	1	2	1
მეტი ჯარიმა:	25	27	21
ნაკლები ჯარიმა:	6	8	7
მეტი კუთხური:	11	13	11
ნაკლები კუთხური:	-	1	1
მეტი თამაშგარე:	7	14	8
ნაკლები თამაშგარე:	-	-	-
მეტი %:	69	64	63
ნაკლები %:	35	25	31
მეტი მაყურებელი:	81 ათ.	83,5 ათ.	84,8 ათ.
ნაკ. მაყურებელი:	8,4 ათ.	6 ათ.	10 ათ.

შენიშვნა: ს - სევილია, ბ - ბილბაო, ა - ატლეტიკო

მოგ. დ/ანგარიშით - მოგება დიდი ანგარიშით; წაგ. დ/ანგარიშით - წაგება დიდი ანგარიშით

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

● ლა ლიგა. უკანასკნელი ტრანსფერები

თარიღი	ფეხბ.	საიდან	სად	თანხა
22 ივნ.	ეძტორ მორენო (მეძს)	ალკმაარი	ესპანიოლი	4 მლნ. ევრო
22 ივნ.	ფაბრისიო აგოსტო	ვილიადოლიდი	გეტისი	თავ. აგენტი
22 ივნ.	ტომეუ ნადალი	მალიორკა	ხეტაფე	თავ. აგენტი
22 ივნ.	პიოსე დიასი	მალიორკა	დეპორტივო	თავ. აგენტი
22 ივნ.	რაფელ სასტრე	სპორტინგი	უესკა	თავ. აგენტი
23 ივნ.	სერხიო სანჩესი	სევილია	მალაგა	2,8 მლნ.
23 ივნ.	ხოაკინ სანჩესი	ვალენსია	მალაგა	4,2 მლნ.
24 ივნ.	ნაჩო ინსა	ვილიარეალი	სლტა	თავ. აგენტი
24 ივნ.	ფრან ნო	გეტისი	ვალიადოლიდი	თავ. აგენტი
25 ივნ.	სინამა პონგოლე (საფრ)	სარაგოსა	სპორტ. (პორტ)	ივჯარა დასრ.
25 ივნ.	ჯეფერსონ მონტერო	ვილიარეალი	გეტისი	ივჯარა

სევილიელი სერხიო სანჩესიც მალაგაში გადავიდა

● ევროპის ჩემპიონატი. U 21 ფინალი

მოზეიმე ესპანელები. უკანა პლანზე მარჯვნივ ნოდარ ახალკაცი

როხიტა როხას კვალზე

ტიაგო ალკანტარას სუპერგოლი

შვეიცარია-ესპანეთი 0:2

შვეიცარია (4-1-4-1): ზომერი - კოხი, კლოზე, როსინი, ბერარდი - ლუშტენბერგერი - შაჩირი, ჯაკა (67. კასამი), ფრაი (54. არბაში), ემეგარა (53. გავრანოვიჩი) - მეჰმედი.

ესპანეთი (4-1-4-1): დე ხეა - მონტოია, ბოტია, ა. დომინგესი, დიდაკ ვილა - ხ. მარტინესი - მატა, ტ. ალკანტარა, ანდერი (90. კაპელი), მუნიაინი (85. პარეხო) - ა. ლოპესი (80. ხეფრენი).

გოლები: 0:1 ანდერი (41), 0:2 ტ. ალკანტარა (81)

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ტიაგო ალკანტარა (ესპანეთი)

რაც „როხაა", ის „როხიტაც" - მსოფლიო ფეხბურთს ესპანური ხანა უდგას - შაბათს ესპანეთის 21-წლამდელთა ნაკრებმა ისტორიაში მესამედ მოიგო ევროპის ჩემპიონატი. დანიურ ორჰუსში **ლუის მილიას** გუნდმა 2:0 მოუგო სუპერორგანიზებულ შვეიცარიას. ახლაც არ გაგვნელებია ემოციები ბარსელონელი **ტიაგო ალკანტარას** გოლის შემდეგ, ასეთები ფეხბურთში იშვიათია, ტიაგოს გოლის აღწერას აზრი არა აქვს - ეს უნდა ნახოთ!

ადრიან ლოპესმა „ოქროს ბუცი" ჩაიბარა (5 გოლი)

შვეიცარიელებმა ფინალამდე სრული ტრიუმფით მოაღწიეს, ბოლოს **პიერლუიჯი ტამის** გუნდს საკვალიფიკაციო ეტაპზე ჯერ ქართველებმა და შემდეგ შვედებმა დააკარგვინეს ქულები. მას მერე ალპების შვილებს გოლიც კი არ გაუშვიათ. ფინალშიც კინაღამ შვეიცარია დაწინაურდა, მათმა ლიდერმა **ჯერდან შაჩირიმ** ტრიალში დაურტყა **დავიდ დე ხეას**, თუმცა ესპანელთა გოლკიპერმა სასწაულებრივ შეძლო გუნდის გადარჩენა. ტაიმის დასრულებამდე 4 წუთით ადრე კი, როგორც იქნა, **ზომერის** კარს „ჯადო აეხსნა" **დიდაკ ვილამ** მარცხენა ფლანგიდან ჩააწოდა და **ანდერ ერერამ** თავით გახსნა ანგარიში. ესპანელთა გამარჯვებას ბეჭედი ტიაგო ალკანტარამ დაუსვა, რომელმაც 40 მეტრიდან გაიტანა საჯარიმო - 2:0.

ლუის მილია (ესპანეთის მწვრთნელი): *„ძალიან გახარებული ვარ, ჩემმა ბიჭებმა ეს ტიტული დაიმსახურეს ამდენი ხნის შრომის შემდეგ. მინდა კომპლიმენტი ვთქვა შვეიცარიელთა ნაკრებზე, აღფრთოვანებული ვარ ამ გუნდის თამაშითა და ქცევით. შვეიცარია იყო ღირსეული მეტოქე. ვიცოდით, რომ გაგვიჭირდებოდა, რადგან ბურთის „დაჭერა" შვეიცარიასაც უყვარს. მათ კარგი მომენტი ჰქონდათ, თუმცა ჩვენმა მეკარემ შაჩირის დარტყმული მოიგერია. მეორე ტაიმში შევძელით ბურთის ფლობაზე კონტროლის დაწესება. ტიაგო ალკანტარას გოლი მოულოდნელი კი იყო, მაგრამ ეს მის ნიჭს არ ამცირობს".*

პიერლუიჯი ტამი (შვეიცარიის მწვრთნელი): *„პირველი 30 წუთი იყო თანაბარი თამაში, შემდეგ ესპანელებმა გვაჯობეს. მეორე ტაიმში ბევრი რამ შევცვალეთ, მაგრამ ფიზიკურად მზად არ ვიყავით და მეტოქეს ამით პრობლემები ვერ შევუქმენით. რა თქმა უნდა, ფინალში წაგება დიდი ტკივილია, მაგრამ ჩვენ სამშობლოში ამაყები მივდივართ".*

პლეი ოფი

ჩეხეთი-ბელარუსი 0:1

ჩეხეთი (4-1-4-1): ვაცლიკი - ჩელუსტკა, სუხი, მაზუხი, ლესიაკსი (13. კოვარუიკი) - გეცოვი - დოჩკალი, ვაჩა, ჰორავა, ჰლუშეკი (46. კოზაკი) - ხრამოსტა (83. კადლეცი).

ბელარუსი (4-4-2): გუტორი - ვერეტილო, ფილიპენკო, პოლიტევიჩი, მატვეიჩიკი (76. პოლიაკოვი) - პერეპეჩკო (34. ბაგა), დრაგუნი, სივაკოვი, ნეხაიჩიკი - ვორონკოვი, სკავიში (83. რეკიში).

გოლი: 0:1 ფილიპენკო (88)

გაძევება: ვაჩა (75)

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: იეგორ ფილიპენკო (ბელარუსი)

ბორისოვოს ბატე-ს ცენტრალური მცველი **იეგორ ფილიპენკო** სრულიად ბელარუსის გმირია - მან მატჩის დასრულებამდე 2 წუთით ადრე გაუტანა გოლი 10 კაცით მოთამაშე ჩეხეთს, რომლის წყალობითაც ბელარუსის ნაკრები 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადაზე ითამაშებს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● მანჩესტერ იუნაიტედი

ნანი ნანატრი

„მანჩესტერ იუნაიტედში" 25 წლის **ეშლი იანგის** გამოჩენის შემდეგ 24 წლის პორტუგალიელ **ნანის** საკუთარი მომავლის გარკვევა უნდა. როგორც ამბობენ, ვარსკვლავზე, რომელიც თანაგუნდელებმა გასული სეზონის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს, ძალიან იმოქმედა იმან, რომ სერ **ალექს ფერგიუსონმა** ჩემპიონთა ლიგის ფინალში არ ათამაშა. ამას „ასტონ ვილადან" 20 მილიონ ფუნტად იანგის გადმოყვანაც დაემატა და ფეხბურთელს ეჭვი გაუჩნდა, რომ ფერგიუსონი მის შესავიწროებლად ემზადება.

არადა, გასულ სეზონში ნანიმ მართლაც საუცხოოდ ითამაშა. პრემიერლიგის ფეხბურთელებიდან ყველაზე მეტი საგოლე პასი, 18, მან გადაანოდა. იმავდროულად პორტუგალიელმა 10 გოლიც შეაგდო, თუმცა **ჯი-სუნ პარკის** გამოჯანმრთელების შემდეგ ძალიან უცნაური რამ მოხდა — ფერგიუსონმა ის სათადარიგოთა სკამზე გადასვა.

ახლა ამბობენ, თითქოს გასული სეზონის შუაში ნანი თავად ეძებდა ახალ გუნდს, თუმცა „ბარსელონასთან" ფინალის წინ მან თქვა:

„აქ, „მანჩესტერ იუნაიტედში", თავს შესანიშნავად ვგრძნობ. გასული სეზონი ჩემს კარიერაში საუკეთესო იყო, თუმცა ჯერ ახალგაზრდა ვარ და მწამს, რომ კიდევ უფრო უკეთესი სეზონებიც მელის".

„იუნაიტედი" ბაზაზე 4 ივნისს იკრიბება და ნანიც, სავარაუდოდ, მაშინ გაარკვევს ხელმძღვანელებთან ურთიერთობას, მით უფრო, რომ რეალური მყიდველი გამოჩნდა — „ბაიერნმა" ინგლისის ჩემპიონს 22 მილიონი ევრო შესთავაზა. გერმანელთა რეკორდმაისტერის გამოჩენამდე ნანის სახელს უფრო იტალიურ გუნდებს, „ინტერსა" და „იუვენტუსს" უკავშირებდნენ.

შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში ნანის ისტორიის მსგავსი რამ გადახდა ბულგარელ თავდამსხმელ, 30 წლის **დიმიტარ ბერბატოვსაც**. მან, უარგონზე რომ ვთქვათ, სეზონის პირველ ნახევარში „მანჩესტერ იუნაიტედი" ზურგით ათრია, პრემიერლიგის ბომბარდირთა დავაში სხვებთან შედარებით დიდი უპირატესობით ლიდერობდა კიდეც, მაგრამ ფერგიუსონმა გაზაფხულიდან მოყოლებული სათადარიგოთა სკამზე დასვა და შედეგად, ბოლოს, გოლების რაოდენობით „მანჩესტერ სიტის" თავდამსხმელი **კარლოს ტევესი** დაეწია.

ილია ბაბუნაშვილი

● ოქროს თასი. კონკაკაფი

ფინალური თრილერი

აშშ-მექსიკა 2:4

აშშ (4-4-2): ჰოვარდი - ბოკანეგრა, ჩერუნდოლო (11. ბორნსტეინი), ლიჩაი, გუდსონი - ბრედლი, დემპსი, ჯონსი, ბედოია (63. აგუდელო) - დონოვანი, ადუ (86. კლიესტანი).

მექსიკა (4-4-2): ტალავერა - სალსიდო (28. ხ. ტორესი), მარკესი (43. რეინოსო), მორენო, ხუარესი - ტორადო, ბარერა (75. სავალა), კასტრო, გუარდადო - დოს სანტოსი, ხ. ერნანდესი.

გოლები: 1:0 ბრედლი (8), 2:0 დონოვანი (23), 2:1 ბარერა (29), 2:2 გუარდადო (36), 2:3 ბარერა (50), 2:4 დოს სანტოსი (76)

კონკაკაფის რეგიონის (ცენტრალური და ჩრდილოეთი ამერიკა) ჩემპიონი მექსიკის ნაკრები გახდა, რომელმაც „ოქროს თასი" ფინალში ამერიკის ნაკრებს წაართვა. „როუზ ბოულზე" მექსიკელებმა ნამდვილი სასწაული მოახდინეს, აგებდნენ, მაგრამ საბოლოოდ ამერიკელებს 4:2 მოუგეს. ამერიკელები **მაიკლ ბრედლისა** და **ლენდონ დონოვანის** გოლებით დაწინაურდნენ, თუმცა შემდეგ მათმა სამხრეთელმა მეზობლებმა იმძლავრეს **პაბლო ბარერას** (დუბლი), **ანდრეს გუარდადოსა** და **ჯოვანი დოს სანტოსის** გოლების წყალობით. კალიფორნიაში ამ თამაშს 93 ათას მაყურებელზე მეტი დაესწრო.

ნიკოლოზ ნეფარიძე

მექსიკელთა ტრიუმფი



ეროვნული ბიბლიოთეკა

● ოლიმპიზმი

ოლიმპიური დღე საქართველოში

საერთაშორისო ოლიმპიური დღისადმი მიძღვნილი ტრადიციული გარბენი სოკ-ის მიერ აღიარებულ 200-ზე მეტ ქვეყანაში ყოველწლიურად ივნისის ბოლო იმართება. სეოკ-ისა და ქალაქის მუნიციპალიტეტის ერთობლივი ორგანიზებით გარბენი გუშინ თბილისშიც მოეწყო სასტუმრო „რედისონიდან" თავისუფლების მოედნამდე. მასში სეოკ-ის პრეზიდენტი **გია ნაცვლიშვილი,** ოლიმპიური ჩემპიონები, ვეტერანი თუ მოქმედი სპორტსმენები, საზოგადოებისათვის სხვა ცნობილი ადამიანები და ინვალიდები მონაწილეობდნენ. გარბენის მთავარი მიზანი ჯანსაღი ცხოვრების წესის და ხალხთა შორის მშვიდობის დანერგვაა, მაგრამ გუშინდელ თბილისურ გარბენს სხვა სიმბოლური დატვირთვაც ჰქონდა - როგორც ცნობილია, 2015 წელს საქართველოს დედაქალაქი ევროპის ახალგაზრულ ოლიმპიურ ფესტივალს უმასპინძლებს და გარბენის მონაწილენიც ამ ღონისძიების მაისურებით იყვნენ შემოსილნი. **(„ლელოს" კორ.)**

● ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ევროპის ახალგაზრდული პირველობა

მედლებით, ოღონდ უჩემპიონოდ



ქვარცხლბეკი

50 კგ. 1. ვილაიათ გარამანლი (აზერბაიჯანი), **2. ნიკოლოზ ცეცხლაძე (საქართველო),** 3. დენიზ მენეკსე (გერმანია), ტოლგაჰან კარატასი (თურქეთი).

55 კგ. 1. ელდანიზ აზიზლი (აზერბაიჯანი), 2. ანდრეი პიკუზა (ბელარუსი), 3. მარკ ხაჩატრიანი (სომხეთი) და ნიკოლაი ვიჩევი (ბულგარეთი).

60 კგ. 1. ასკერ ორშოკდუგოვი (რუსეთი), 2. როვშან ტაგიევი (აზერბაიჯანი), 3. მატე კრასნჩანი (უნგრეთი), ემრე ასლანი (თურქეთი), **5. გოგიტა გოგიბერაშვილი (საქართველო).**

66 კგ. 1. მაგომედ ჩუკალოვი (რუსეთი), **2. საჩინო დვითაია (საქართველო)** 3. რასულ ჩუნაიევი (აზერბაიჯანი) და დოგან გოკტასი (თურქეთი).

74 კგ. 1. ისლამ ჩარაევი (რუსეთი), 2. ისმაილ კოცასლანი (თურქეთი), **3. ზურაბ დათუნაშვილი (საქართველო),** კაზბეგ კილოუ (ბელარუსი).

84 კგ. 1. უან ბელენიუკი (უკრაინა), 2. რამზინ აზიზირი (გერმანია), 3. მოვსარ დუგუშიევი (რუსეთი) და ასლან ატემი (თურქეთი).

96 კგ. 1. გიორგი რიზმაიერი (უნგრეთი), 2. არტურ ალექსანიანი (სომხეთი), **3. სანდრო დიხამინჯია (საქართველო),** მეტეჰან ბასარი (თურქეთი).

120 კგ. 1. ვასილი პარშინი (რუსეთი), 2. ბაირამ ნიჯარი (თურქეთი), 3. იგორ დიდუკი (უკრაინა) და ლამ ბალინტი (უნგრეთი).

სერბულ ზრენჯანინში დასრულდა ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდებში, რომელშიც სულ ბოლოს - შაბათ-კვირას ბერძენ-რომაელები ჩაებნენ. ჩვენმა ნაკრებმა წარმატებული სტარტი აიღო - შაბათს ლეიბზე გასულმა ოთხივე ქართველმა მედლისთვის იჭიდავა, საბოლოოდ კი სამმა მოიპოვა - 1 ვერცხლი და 2 ბრინჯაო. კონტინენტის ვიცე-ჩემპიონი **ნიკოლოზ ცეცხლაძე** (50) გახდა, **ზურაბ დათუნაშვილმა** (74) და **სანდრო დიხამინჯიამ** (96) კი ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს.

ერთი სიტყვით, დასაწყისი ამ ნაკრებისთვისაც ზუსტად ისეთივეა, როგორიც „თავისუფლებისა" იყო - პირველ დღეს იმათაც 3 მედალი მოიპოვეს და ზუსტად ამავე ხარისხისა, ერთი კაცი დაურჩათ უმედლოდ და ისიც მეხუთეზე გავიდა. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ბერძენ-რომაელთაგან შაბათს ოთხივემ იასპარეზა ნახევარფინალში... „თავისუფლებისა" არ იყოს, თაობა ამათაც კარგი მოუდით, ოღონდ განსხვავებაა ისაა, რომ თაობათა ცვლის პროცესი საოლიმპიადოდ ცოტა გვიან დაიწყო და რადიკალურ საკადრო ცვლილებებს ველარ მოასწრებენ, თუმცა არ გამოვრიცხავთ, ვინმე მათგანაც ვიხილოთ ლონდონის ოლიმპიადაზე.

ცეცხლაძემ თავიდან ორი წრე იოლად გაიარა - სერბ **დანიელ სპოლიარიჩსა** და სომეხ **რუდიკ მკრტიჩიანს** იოლად, ძირითად დროშივე მოუგო. ცოტა გაუჭირდა ნახევარფინალში გერმანელ **დენიზ მენეკსესთან** - პირველი პერიოდი 1:4 დათმო, მაგრამ მომდევნოები დამაჯერებლად, ერთნაირი ანგარიშით - 2:0 მოუგო. ფინალში აზერბაიჯანელ **ვილაიათ გარამანლის** შეხვდა და დაძაბულ, თან ცოტა უცნაურ შეხვედრაში წააგო. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში დღეს ქულები შედარებით იშვიათად მოსაპოვებელია, აქ კი ორივე მეტოქემ გახსნილი, შემტევი სტილი აირჩია და ქულებიც ბლომად იყო. ცუდი ისაა, რომ უპირატესობას აზერბაიჯანელი ფლობდა - მან პირველი პერიოდი 6:3 მოიგო, მეორე - 7:5 და ცეცხლაძე ვერცხლს დააჯერა.

დათუნაშვილმა ოთხი შეხვედრა მოიგო და ყველა ძირითად დროში. იქნებ მისი სტატისტიკა ქულებით იმდენად შთამბეჭდავი არაა, მაგრამ ოთხივე ორთაბრძოლაში ერთ პერიოდში მაინც აგროვებდა ბლომად მონაგარს. პოლონელ **ლუკაშ ჩარზევსკისთან,** ჩეხ **ოლდრიჩ ვარგასთან,** მოლდოველ **იგორ ბასლეაგასთან** და ბრინჯაოსთვის ბრძოლაში უნგრელ **პატრიკ საბოსთან** პრობლემები არ შექმნია, ისე მოიგო. მას სიძლიერეები მხოლოდ მომავალ ჩემპიონთან, რუს **ისლამ ჩარაევთან** შეხვდა ნახევარფინალში, სადაც ასევე ორ პერიოდში დამარცხდა.

დიხამინჯია ჩინებულად ატარებს სადებიუტო სეზონს - ჯერ იყო და ყველასათვის მოულოდნელად მოიგო საქართველოს პირველობა უფროსებში, მერე - ახალგაზრდებშიც, თუმცა ეს უკვე არავის გაჰკვირვებია, ახლა კი მორიგი მედალი. შარშან ამ წონაში ევროპის ჩემპიონი გვყავდა - **ვასილ იმერლიშვილი.** საინტერესოა, რომ ორივე **რამაზ ნოზაძის** აღმზრდელ **ოთარ ტატიშვილის** შეგირდია.

დიხამინჯიამ სერბეთში მშვენიერი სტარტი აიღო - სლოვენიელ ტილენ პესერლის ჯერ 4:0 მოუგო, მეორე პერიოდი კი ქულებით წმინდად დაუმთავრა - 6:0. რუს **ზელიმხან ბელხაროევთან** პირველი პერიოდი 1:1-ზე ბოლო ქულის გამო დათმო, მაგრამ მერე მომდევნოებში მინიმალური ანგარიშით სძლია, სომეხ **არტურ ალექსანიანთან** კი ვერაფერს გახდა - ორი პერიოდის ჯამში 0:10 წააგო. ბრინჯაოსთვის ბრძოლაში ნორვეგიელი **მარტინ ჰამლეტ ნილსენი** კვლავაც საგრძნობი უპირატესობით დაჯაბნა.

ჩემპიონატი კარგად დაიწყო **გოგიტა გოგიბერაშვილმაც** (60) - უკრაინელ **დმიტრო ციმბალინკს,** ნორვეგიელ **პეტერ კარლსენს,** მოლდოველ **მაქსიმ მამულატს** ძირითად დროში, საკმაო უპირატესობით სძლია და ნახევარფინალში გავიდა. იქ მომავალ ჩემპიონს, რუს **ასკერ ორშოკდუგოვს** გვარიანი ბრძოლაც გაუმართა, მეორე პერიოდი მოუგო კიდეც, მაგრამ დამატებითში 0:1 დამარცხდა და ფინალის საგზური მეტოქეს გადაულოცა. სამწუხაროდ, ჩვენებურმა ბრინჯაოსთვის გამართულ ბრძოლაში ბოლომდე ვერ ივარგა, თორემ თავიდან ეს შეხვედრაც რიხით დაიწყო - თურქ **ემრე ასლანს** 4:0 მოუგო. აი, მომდევნოები 2:3; 1:4 დათმო და უმედლოდ დარჩა.

ირაკლი თავაძე

● ძიუდო. ევროპის ჭაბუკთა პირველობა

აი, დებიუტი!

გიორგი ვაზაგაშვილის შეგირდებმა 7 მედალი დაიმსახურეს

საქართველოს ნაკრებმა მალტურ კოტონერაში მიმდინარე ჭაბუკ ძიუდოისტთა ევროპის პირველობის მეორე დღესაც გააგრძელა წარმატებული გამოსვლა. მართალია, შაბათის მონაგარი მხოლოდ ერთი ბრინჯაოა და პარასკევის ოქრო-ვერცხლს ვერ მიედრება, მაგრამ გუნდის საერთო შედეგი მაინც საყურადღებოა. თანაც, შაბათს მოჭიდავე ოთხი ქართველიდან ერთი მეხუთეზე გავიდა, ერთიც - მეშვიდეზე, ეს კი სამომავლოდ ჩადებული დივიდენდია, ანუ ეროვნულ ნაკრებს კარგი თაობა ეზრდება.

შეგახსენებთ, რომ პარასკევს ევროპის ჩემპიონი **ივანე მამისაშვილი** (55) გახდა, **თამაზ კირაკოზაშვილი** (60) კი მეორეზე გავიდა. შაბათს ბრინჯაოს მედალი **ლევან გუგავამ** (73) მოიპოვა, ამავე წონაში კი **ბექა დონღვანი** მეხუთეზე დარჩა. კვირას კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა **ბექა ღვინიაშვილი** (81), მეორე ადგილები **შალვა ჩოჩელმა** (90) და **გიორგი ლაზუაშვილმა** (+90) დაიკავეს, **გურამ თუშიშვილს** (90) კი ბრინჯაო ერგო.

შაბათი აშკარად რუსებისა გამოდგა - იმ დღეს მათგან მხოლოდ ორი წონის წარმომადგენლებმა იჭიდავეს და ორივე ფინალში გავიდა. 73-ში ნახევარფინალური ეტაპი სულაც ქართულ-რუსული იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ორივე დავთმეთ - გუგავა მომავალ ჩემპიონ **სულეიმან ვიშეგუროვთან** დაძაბულ და დრამატულ ბრძოლაში გაფრთხილებებით დამარცხდა, დონღვანმა კი **რუსტამ გერეკოვთან** წმინდად წააგო. ამ დუეტიდან დონღვანი საქართველოს ჩემპიონია, გუგავა - ბრინჯაოს მედალოსანი. ისინი ქვეყნის პირველობაზე არ შეხვედრიან ერთმანეთს, მაგრამ უცხოეთში - კიევსა და ანთალიაში გუგავამ ორივეჯერ ფინალში მოუგო თანაგუნდელს. კირაკოზაშვილისა არ იყოს, საწყენია, რომ უცხოეთში ყველაფრის მომგებმა გუგავამ ყველაზე მთავარი ნაგო, თუმცა რუსთან შეხვედრაში ყველაფერი ერთადერთმა გაფრთხილებამ გადაწყვიტა...

ფინალამდე გუგავა ძლევამოსილად, ორი სუფთა მოგებით მივიდა - პოლონელ **მიესკაკო პოლგრაბსკის** იუკოების კასკადი ხომ დაატეხა თავს, ზედაც ორი ვაზარი დააყოლა, ესტონელი **მარტინ ვისტი** კი ჯერ ვაზარიზე დაადგო, მერე - იპონზე. შედარებით გაუჭირდა აზერბაიჯანელ **ფირუდინ დადაშოვთან** - ჯდება ვერ შეასრულა, თუმცა მეტოქე მთელი შეხვედრა დიდ წნეხში ჰყავდა და ორი გაფრთხილება დამსახურებულად მიაღებინა, ამას კი ნახევარფნალი მოჰყვა, რომლის ბედიც ასევე გაფრთხილებებმა გადაწყვიტეს, ოღონდ - უკვე ჩვენებურის საწინააღმდეგოდ.

ერთი გაფრთხილება რუსსაც მიაღებინა, მაგრამ მოსაგებად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. სამაგიეროდ, კვლავ მოწოდების სიმაღლეზე დადგა ბრინჯაოსთვის შეხვედრაში უკრაინელ **ვიტალი დერემიანკოსთან** და იუკოს მოპოვების შემდეგ დააიპონა.

ნახევარფინალამდე დონღვანიც ზუსტად ასეთივე გზით მივიდა - სამი შეხვედრიდან ორი წმინდად მოიგო. თუმცა პირველ ორთაბრძოლაში ჰოლანდიელ **ბოიდ დერკსთან** ძლივს გადაურჩა მარცხს - მეტოქე ვაზარის იგებდა, მაგრამ ჩვენებურმა შეხვედრის მინურულს მისი იპონზე დაგდება შეძლო. ხორვატ **სტიეპო როკოსთან** მხოლოდ იუკო იკმარა, ხოლო ზემოხსენებული უკრაინელი დერემიანკო კი ბეჭებზე დააგდო. სამწუხაროდ, მეტის გაკეთება ველარ შეძლო - ნახევარფინალში თვითონაც სუფთაზე დავარდა, ბრინჯაოსთვის შეხვედრაში კი დადაშოვმა გუგავას ჯავრი ამაზე იყარა - ვაზარ-იპონით მოუგო.

66-ში **ლაშა ზურაბიანი** პირველივე წრეში დამარცხდა აზერბაიჯანელ **მიხაილ ანანიევთან, გიორგი მუზაშვილმა** კი მედლისკენ გაიწია, თუმცა მას წილისყრამაც გაუმართლა - პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში კი მოლდოველი **სერგიუ სპაცი** დააიპონა და მეოთხედფინალში გავიდა. ამ ეტაპზე ისიც რუსთან და ასევე მომავალ ჩემპიონთან დამარცხდა - **მიხაილ იგოლნიკოვთან** მსაჯებმა პასიურობისთვის მოხსნეს. სანუგეშოში პირველივე შეხვედრა ორი ვაზარით დათმო აზერბაიჯანელ **ჰუსეინ რაჰიმლისთან** და მეშვიდეზე დარჩა.

სამწუხაროდ, ბიჭებს ვერაფრით აუბეს მხარი გოგოებმა. ოთხივე ჩვენებური შაბათს ჭიდაობდა და ყველა პირველივე წრიდან გავარდა. თან ყველამ - **გურანდა შოთაძე, მარიამ ციხელაშვილი** (ორივე - 52), **მარიამ ჯანაშვილი** (57), **ანი მინდიაშვილი** (63) იპონით წააგო.

ირაკლი თავაძე

ქვარცხლბეკი

50 კგ. 1. ელიოს მანზი (იტალია), 2. ვალოდ ხიარი, 3. ლუის მასუ (ორივე - საფრანგეთი), ლუკა კავალო (იტალია).

55 კგ. 1. ივანე მამისაშვილი (საქართველო), 2. ისკანდერ ტალიშინსკი, 3. ელბრუს ზამანოვი (ორივე - აზერბაიჯანი), 3. ალექსანდრ იემჩენკო (უკრაინა).

60 კგ. 1. ელდარ გაზიმაგომედოვი (რუსეთი), 2. თამაზ კირაკოზაშვილი (საქართველო), 3. ვლადისლავ აზოვცევი (რუსეთი), რაშად რუფულლაიევი (აზერბაიჯანი)

66 კგ. 1. მიხაილ იგოლნიკოვი, 2. რამაზან კოძაკოვი (ორივე - რუსეთი), 3. მურატ ბეკტასი (თურქეთი), ჰუსეინ რაჰიმლი (აზერბაიჯანი), **7. გიორგი მუზაშვილი (საქართველო).**

73 კგ. 1. სულეიმან ვიშეგუროვი, 2. რუსტამ გერეკოვი (ორივე - რუსეთი), **3. ლევან გუგავა (საქართველო),** ფირუდინ დადაშოვი (აზერბაიჯანი), **5. ბექა დონღვანი (საქართველო).**

81 კგ. 1. ბექა ღვინიაშვილი (საქართველო), 2. ბოგდან ზუსკო (უკრაინა), 3. დავით ხარებავა (უკრაინა) და აბდულ-ბალიკ ელმარკიევი (რუსეთი), 5. ადამ ვარაზიშვილი (საქართველო)

90 კგ. 1. გლებს ტალალუჯევსი (ლატვია), 2. შალვა ჩოჩელი (საქართველო), 3. გურამ თუშიშვილი (საქართველო) და ლი კიხმანი (ისრაელი)

+90 კგ. 1. ოლეგ აბაევი (რუსეთი), 2. გიორგი ლაზუაშვილი (საქართველო), 3. ალექსეი საპუნოვი (რუსეთი), მატეუშ კვიატკოვსკი (პოლონეთი)

● წყალბურთი

საქართველოს ნაკრები სასიამოვნო აღმოჩენა

გასულ უქმეებზე „ოლიმპიკის“ აუზში თბილისის საერთაშორისო ტურნირის მონაწილეებმა ორ-ორი მატჩი გამართეს. სხვებზე უკეთ საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა იასპარეზა, რომელმაც ჯერ აზიის თამაშების გამარჯვებულ ყაზახეთის ნაკრებს სძლია 11:6, შეჯიბრების ბოლო დღეს კი საქართველოს ახალგაზრდულ გუნდს მოუგო 12:2, მოაგროვა 9 ქულა და, როგორც შარშან, მთავარი პრზი დაიმსახურა, რაც მთავარია, გენერალური რეპეტიცია გაიარა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფის ბოლო მატჩის წინ, რომელიც 2 ივლისს მანჩესტერში დიდი ბრიტანეთის ნაკრებთან გაიმართება.

საქართველო (ერ.)-ყაზახეთი 11:6

2:1, 3:1, 2:2, 4:2

საქართველო: ჭუმბურიძე, ლაითაძე (1), იელაჩა (1), პოპოვიჩი, კორდიჩი (4), ხვედელიანი, ჩომახიძე (2), ბაღათურია, რურუა (1), ქენქაძე, ნიკოლეიშვილი (1), ფრანიჩევიჩი (1), სტრუიჩი, მთავარი მწვრთნელი დავითიანი.

ყაზახეთი: შვედოვი, შმიდერი, მ. შაკენოვი, ფილიპენკო (1), პანფილი (2), ფენორკო, ა. შაკენოვი, უკუმანოვი (1), რუფაუ (2), მანაფოუ, ტემრხანოვი, დემჩენკო, მთავარი მწვრთნელი დროზდოვი.

ანგარიში მე-5 წუთზე პანფილიმ გახსნა, ორიოდე წუთში კი რურუამ წონასწორობა აღადგინა. პირველი პერიოდის მიწურულს კორდიჩმა დააწინაურა მასპინძლები. აქედან მოყოლებული საქართველოს ნაკრებს უპირატესობა ხელიდან არ გაუშვია და საბოლოო წარმატებასაც მიაღწია - 11:6.

მეორე ტურში ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდულმა გუნდმაც იყოჩაღა: ქართველმა წყალბურთელებმა ბელარუსებს აჯობეს 9:8, არადა, მესამე 8-წუთიანი მონაკვეთის დასაწყისში სტუმრები შეხვედრას სამბურთიანი სხვაობით (5:2) იგებდნენ.

ბელარუსი-საქართველო (ახ.) 8:9

3:2, 1:0, 3:2, 1:5

ბელარუსი: აპხიპაუ, შიპლიაშინი, ფრანჩოკი (2), ხარლაპი (1), მანუჩუ (1), მინოტსკი, ივანოვი (1), ბიჩკოვი, პრაზდოვი, ჩუპრინა, შარბაშანი (3), ტარზიაკოვი, შანტური, მთავარი მწვრთნელი თერალოვი.

საქართველო (ახალგ.): ფავლენიშვილი, ჩიქვინიძე, ბაბუნაშვილი (1), დავითური, ცანკაშვილი, სხილაძე, ქართველიშვილი (1), გელაშვილი (1), ურუშაძე (2), ქავთარაძე (1), ყაზახიშვილი (1), კაკულია (2), შუბლაძე, მთავარი მწვრთნელი ჩომახიძე.

ბოლო პერიოდში ჩვენმა ბიჭებმა აშკარად დაჯაბნეს სლავები და ამ გამარჯვებით ტურნირში მე-3 ადგილი დაიკავეს. მართალია, გუშინ ჩომახიძის შეგირდებმა ეროვნულ ნაკრებთან დათმეს მატჩი 2:12, მაგრამ ბელარუსებიც დამარცხდნენ ყაზახებთან 7:14.

საქართველო (ერ.)-საქართველო (ახ) 12:2

3:0, 3:0, 3:2, 3:0

საქართველო (ეროვნული): ნამორაძე, ლაითაძე (1), იელაჩა, პოპოვიჩი, კორდიჩი, ხვედელიანი (1), ქენქაძე, ბაღათურია (2), რურუა (4), გეგელაშვილი (1), ნიკოლეიშვილი (1), ფრანიჩევიჩი (2), ჭუმბურიძე, მთავარი მწვრთნელი დავითიანი.

საქართველო (ახალგაზრდული): ფავლენიშვილი, ჩიქვინიძე, ბაბუნაშვილი (1), დავითური, ცანკაშვილი, სხილაძე, ქართველიშვილი, გელიაშვილი, ურუშაძე (1), ქავთარაძე, ყაზახიშვილი, კაკულია, შუბლაძე, მთავარი მწვრთნელი ჩომახიძე.

სამდღიანი პაექრობების შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ, ქულათა მაქსიმუმით პირველი ადგილი საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა დაიკავა. ორი გამარჯვებით მეორე ადგილი ყაზახეთის გუნდს ხვდა, სამი ქულით მესამე ადგილზე ჩვენი ახალგაზრდა წყალბურთელები გავიდნენ, ბელარუსებმა სამივე ორთაბრძოლა დათმეს.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ კომენტარი ყაზახეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **სერგეი დროზდოვს** ვთხოვეთ:

- ტურნირი შესანიშნავად იყო ორგანიზებული, მასპინძლებმა თამაშისა და დასვენების კარგი პირობები შეგვიქმნეს. როგორც საქართველოს ეროვნული გუნდისთვის, ისე ჩვენთვის ამ ასპარეზობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნაკრების დღევანდელი მდგომარეობის შესამოწმებლად. შარშან აზიის თამაშები მოვიგეთ და მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მოვიპოვეთ. იქ ჩერნოგორიელებთან, უნგრელებთან და ესპანელებთან მოგვიწევს დაპირისპირება ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის საგზურისთვის. ივლისისთვის სამი ლეგიონერი დაგვემატება, ამ ტურნირის გათვალისწინებით ზოგ ხარვეზსაც გამოვასწორებთ და ჩინეთში სულ სხვა გუნდით წარვდგებით.

- საქართველოს ნაკრებზე რას იტყვით?

- თქვენი გუნდი ჩემთვის სასიამოვნო აღმოჩენა იყო. საქართველოს ნაკრები საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის შემდეგ არ მინახავს. ერთ მუშტად შეკრული კოლექტივია. ბევრი ახალგაზრდა წყალბურთელი თამაშობს. ცოტა მეტ გამოცდილებას რომ შეიძენენ, საერთაშორისო სარბიელზე ანგარიშგასაწევი ძალა გახდება. კვლავ გამოაცა რევაზ ჩომახიძემ. მისი კარიერის საუკეთესო წლები გამახსენდა, აი, „შტურმში“ რომ თამაშობდა. მაშინ მეც რუსეთის ჩემპიონატში გამოვდიოდი და ჩომახიძის წინააღმდეგაც მითამაშია. იმ პერიოდიდან ვიცნობთ ერთმანეთს და ვმეგობრობთ. მიხარია, სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც დიდ წყალბურთს თავი რომ არ დაანება.

ვიცი, რომ საქართველოს ნაკრებს 2 ივლისს პასუხსაგები მატჩი ელის დიდ ბრიტანეთში. 2009 წელს პოლონეთის საერთაშორისო ტურნირზე ორჯერ შევხვდით ინგლისელებს. მართალია, მას შემდეგ ორი წელიწადი გავიდა, ალბათ, წყალბურთელებიც გაიზრდებოდნენ და ნაკრების თამაშის ტაქტიკაც შეიცვლებოდა. ამის მიუხედავად, არ მგონია, კუნძულელებმა თქვენს გუნდს მოუგონ. მე საქართველოს ნაკრებს ვუქომაგებ და წარმატებას ვუსურვებ.

ვაჟა დანელია

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



● საქართველო და ევრობასკეტი. დარჩა 65 დღე

„ფიბაევროპის“ ოფიციალურ საიტზე ხშირად იწერება ევროპული ნაკრებების ნევრთა კომენტარებზე აწყობილი სტატიები. მაგალითად, რუსეთის შესახებ **საშა კაუნი** ლაპარაკობდა, ბოსნიის შესახებ **ნიჰად დედოვიჩი**... საქართველოს ნაკრები კი ევროპას ჯერ **ნიკა ცქიტიშვილმა** გააცნო, ახლა **გიორგი შერმადინმა.** გთავაზობთ გიორგის შესახებ გამოქვეყნებული სტატიის სრულ ვერსიას.

„პირველის დავიწყება შეუძლებელია...

- საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე პირველად წლეულს ითამაშებს, რაც საოცარი ამბავია და პირადად მე არასოდეს დამავიწყდება, - ამბობს შერმადინი, - *კალათბურთელების მსგავსად ქართველი გულშემატკივარიც მოუთმენლად ელის ევროპის ჩემპიონატის დაწყებას, რათა კლაიპედაში წამოგვყვეს და იქ დაგვიჭიროს მხარი. დიდი ხანია, ქართველი ქომაგი ამ ამბავს ელის...*

შერმადინმა პირველად საქართველოს ნაკრების მატჩი 90-იან წლებში ნახა. მას მერე ქართველებმა არაერთი მატჩი წააგეს და მოიგეს, თუმცა უმაღლეს მიზანს - ევრობასკეტს 2011 წელს მიაღწიეს.

გიორგი შერმადინი: სამეულში...

შერმადინის თქმით ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებს შეუძლია მსოფლიოს დაანახვოს, რაოდენ დიდი პროგრესი განიცადა ბოლო წლებში ქართულმა კალათბურთმა.

- შეიძლება დღესაც ჩამოვრჩებით სლოვენიისა და საბერძნეთის ნაკრებებს და შიდა ჩემპიონატში მეტი წინსვლა გვჭირდება, მაგრამ ფაქტია, რომ ქართული კალათბურთი სწორ გზას ადგას და ვითარდება.

შერმადინმა 2010-11 წლების სეზონი ნიჭიერი კალათბურთელებით სავსე სლოვენიურ „ოლიმპიაში“ გაატარა. საქართველოს ნაკრებში ასევე თამაშობენ **ნიკა მეტრეველი** „რიმინიდან“, **მანუჩარ მარკოიშვილი** „კანტუდან“, **ლაშა გამყრელიძე** გერმანული „გისენიდან“... (ძნელი სათქმელია, ამ სტატიის ავტორმა მხოლოდ ეს სამი კალათბურთელი რატომ ჩამოთვალა - ვ.ს.)...

- თამაში 16 წლისამ დავიწყე. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ კალათბურთელად საქართველოში ჩამოვყალიბდი. სამი წელი თბილისის „მაქაბიში“ გავატარე. ამ გუნდში ბევრი ვიშრომე და მივაღწიე ჯერ საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებს, შემდეგ ახალგაზრდულს, ბოლოს - ეროვნულს, - განაგრძობს შერმადინი.

იგი გასულ სეზონში ევროლიგაზე საშუალოდ 7.4 ქულას აგროვებდა და ერთ-ერთ იმედისმომცემ ცენტრად ითვლებოდა. ასევე, არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველოს ნაკრებში თამაშობს „ატლანტა ჰოქსის“ ცენტრი **ზაზა ფაჩულია,** რომელიც გუნდის სასტარტო მეფარეა.

- ვცდილობ ჩემი გუნდისთვის მაქსიმუმი გავიღო, მაგრამ საქართველოს ნაკრებში არაერთი მაღალი დონის კალათბურთელია. ეს კარგია, რადგან ერთი მიზნისკენ ვისწრაფვით და რაც უფრო ძლიერი მოთამაშეები დაგვეხმარებიან, მით მეტს მივაღწევთ. ევრობასკეტზე ჯგუფში კარგი შედეგის ჩვენებას ვაპირებთ... ჩემზე რაც იქნება დამოკიდებული, ყველაფერს გავაკეთებ, რომ მიზანს მივაღწიოთ.

შერმადინს ცალკე ვკითხეთ ზაზა ფაჩულიას შესახებ. გიორგიმ აღნიშნა, რომ ზაზა ამერიკაში წასვლის შემდეგ ქართველთა კერპად იქცა...

- ფაჩულია საქართველოს ნაკრებში მნიშვნელოვანი ფიგურაა. იგი საუკეთესო კალათბურთელიცაა და შესანიშნავი პიროვნებაც. ზაზა ნამდვილი ლიდერია...

გიორგი შერმადინი საქართველოს ნაკრების მეტოქეებზეც ლაპარაკობს:

- დარწმუნებული ვარ, ჯგუფის საუკეთესო სამეულში მოვხვდებით. ეს მხოლოდ ჩვენი ნიჭიერების შედეგი არ იქნება - ევრობასკეტამდე სათანადოდ მოვემზადებით და პირველობას სათანადო კონდიციებში შევხვდებით. მნიშვნელოვანი იქნება რუსეთის ნაკრებთან თამაში. რუსები ხომ სლოვენიელებთან ერთად ჯგუფის ფავორიტები არიან. ბელგიელების, უკრაინლებისა და ბულგარელების წინააღმდეგ შარშან ვითამაშეთ, მათ შესაძლებლობებს ვიცნობთ და ამიტომ მიმაჩნია, რომ მათი ძლევა შესაძლებელია. თუმცა ამის მიღწევა არცთუ იოლი იქნება.

როგორც შერმადინი ამბობს, ევროპის ჩემპიონატს მოუთმენლად ელის და მზადაა საქართველოს სახელი საერთაშორისო არენაზე ღირსეულად გაიტანოს.“

ვაჟა სიმონიშვილი

● სუპერლიგა. არმია

ბულუშს დაეხმარებიან: კვიმსაძე მოედანზე, კაზანჯიანი სათადარიგოთა სკამიდან

ჯერ ოფიციალურად არ დადასტურებულა, მაგრამ ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ „არმიაში“ მწვრთნელად **გია კაზანჯიანი** იმუშავებს.

იგი მთავარი მწვრთნელის **კოტე ტულუშის** ასისტენტის ფუნქციას შეასრულებს. გია კაზანჯიანი წლების განმავლობაში საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრების თავკაცია და კადეტებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის წლეულსაც ამზადებს. ასევე საყურადღებოა, რომ გია კაზანჯიანი ზედიზედ ორ სეზონში სომხურ ქალთა გუნდ „ჰატისს“ წვრთნიდა და ევროთასზე ათამაშა.

2009-10 წლების სეზონში იგი „აკადემიას“ სუპერლიგაში შეუძლვა, ხოლო მომდევნო წელს, მე-20 ჩემპიონატში, „აგრარულის“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა - **მიხეილ კობეშავიძე** შეცვალა.

ასევე ცნობილი გახდა, რომ „არმიაში“ კარიერას გააგრძელებს „ქუთაისის“ უკანახაზელი **ბუბა კვიმსაძე**. სხვათა შორის, გასულ სეზონში სამმაგი დუბლი მხოლოდ ბუბამ და არმიელთა კაპიტანმა კოტე ტულუშმა შეასრულეს. კვიმსაძე ქუთათურთა ლიდერი იყო და გუნდმა საქართველოს ჩემპიონატში მესამე ადგილი რომ დაიკავა მისი დიდი წვლილიცაა.

გასულ სეზონში ჩატარებულ 26 მატჩში კვიმსაძე საშუალოდ 33.8 წუთში 15.8 ქულას, 5.4 მოხსნას, 5.6 პასსა და 1.8 ჩაჭრას აგროვებდა.

ქუთაისამდე ბუბა „სოხუმსა“ და „ავიამშენში“ გამოდიოდა, სუპერლიგაში კი დებიუტი ბათუმის „ბასკოში“ **ნუგზარ კანდელაკის** ხელმძღვანელობით ჰქონდა.

ვაჟა სიმონიშვილი

ჩოგბურთი

მთავარი პრიზები ერისთავსა და მეფარიძეს

თელავის კორტებზე დამთავრდა 14 და 16 წლის ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი „რენას და დათოს თასზე“. შეჯიბრებაში 10 ქვეყნის 130-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა.

14 წლის გოგონებში შესანიშნავად ითამაშა **მარიამ ბოლქვაძემ,** რომელიც ტურნირზე მე-5 ნომრად იყო განთესილი. საგულისხმოა, რომ მეოთხედფინალში მან თასის გათამაშების ფავორიტი სომეხი **არევიკ თუმანიანის** მძლეველი (6:3, 6:0) თანამემამულე **ნანო ჯანელიძე** ჩამოაშორა (6:3, 7:6) კვარცხლბეკისკენ მიმავალ გზას. მარიამმა ნახევარფინალში **ქრისტინე გეგეშიძეს** მოუგო (6:3, 6:2), გადამწყვეტ პაექრობაში კი რუსეთის სახელით მოთამაშე **ანა ყიფიანს** აჯობა - 6:2, 6:2.

ამ ასაკის ვაჟებში საუკეთესო იყო რუსი ტიმურ იგამბერდიევი. ფინალში მან თანამემამულე პაველ კოტოვი დაამარცხა - 6:2, 6:1. არადა, ერთი კვირის წინათ თბილისის თასის გათამაშებაზე იგამბერდიევმა **ალექსანდრე ბაქშისთან** წააგო. ამ უკანასკნელმა ამჯერად 16-წლიანებში მოსინჯა ძალები, როგორც გაუწყეთ, ნახევარფინალში იგი **შოთა მეფარიძესთან** დამარცხდა (2:6, 4:6), შოთამ გადამწყვეტ პაექრობაშიც იყოჩაღა - სამ სეტში პირველ ნომრად განთესილი **გიორგი ჯავახიშვილი** დაჯაბნა (6:7, 6:1, 7:5) და რენა აბჟანდაძის ტრაგიკულად დაღუპული ვაჟის - დათოს სახელობის თასი დაისაკუთრა. რენას თასი კი 16-წლიან გოგონებში გამარჯვებულ **ბარბარე ერისთავს** ერგო. ბარბარე ტურნირზე პირველ ნომრად იყო განთესილი და ფავორიტობაც დაამტკიცა: ნახევარფინალში **ალინა ზუბკოვას** (ბელარუსი) დააყრევინა ფარ-ხმალი (6:3, 6:2), დასკვნით შეხვედრაში კი მოლდოველ **იანა მინასიანს** აჯობა - 2:6, 6:4, 7:5.

აქვე გაუწყებთ წყვილთა ფინალური ორთაბრძოლების შედეგებს:

14-წლიანები: ანტონ ბანდარუკი (ბელარუსი), **პაველ კოტოვი** (რუსეთი)-გიორგი დათაშვილი (საქართველო), მაქსიმ ზუბკოვი 6:2, 6:2, **მარიამ ბოლქვაძე, ქრისტინე გეგეშიძე** (ორივე-საქართველო)-ლიზა ლუკინსკაია, ვალერია ზელევა (ორივე-რუსეთი) 6:1, 6:7, 10:4.

16-წლიანები: გიორგი ჯავახიშვილი, შოთა მეფარიძე-ალექსანდრე ბაქში, ალექსანდრე დავლიანიძე (ოთხივე-საქართველო) 6:4, 4:6, 12:10; **ეკატერინა გუბანოვა** (ყაზახეთი), **ელი ზავეტა ვორონოვა** (რუსეთი)-იანა მინასიანი (მოლდოვა), ალინა ზუბკოვა (ბელარუსი) 7:6, 6:2.

ვაჟა დანელია

შაფათავამ რომი უგიგულოდ დაასრულა

რომის საერთაშორისო ტურნირში (25 ათასი დოლარი) ტიტულს ვერ შესწვდა **სოფიო შაფათავა** (292), რომელიც **მარინა შამაიკოსთან** (რუსეთი, 408) ერთად წყვილთა ბადის ფინალში იყო გასული. ქართულ-რუსულმა დუეტმა გადამწყვეტი მატჩი სამხრეთამერიკულთან წააგო (პარაგვაელი **ვერონიკა სეპედე როიგი** (321) და არგენტინელი **პაულა ორმაეჩეა** (236)) - 5:7, 4:6.

შვეიცარიულ ლენცჰაიდეში (25 ათასი დოლარი) ნახევარფინალამდე მიაღწია **ეკა გორგოძისა** (552) და იაპონელი **ჩიჰირო ტაკაიამას** (1071) დუეტმა, იქ კი ავსტრიელი **ნიკოლა ჰოფმანოვასა** (280) და სლოვაკი **რომანა ტაბაკის** (717) წყვილთან წააგო - 6:7 (10), 1:6.

თურქულ იზმირში ერთი 10-ათასიანი ტურნირის დასრულების შემდეგ ანალოგიური გათამაშება დაიწყო. საკვალიფიკაციო ბადეში კვლავ სამმა ჩვენებურმა ითამაშა. პირველ წრეში **ნათია გეგიამ** 6:2, 6:3 მოუგო რუს **ამინა ბერდიევას**. სამწუხაროდ, **თამარ ცხაკაიამ** და **ვიქტორია ჟორჟოლიანმა** წააგეს. ცხაკაიამ ფრანგ **ლუ ბრულოსთან** დათმო - 2:6, 1:6, ხოლო ჟორჟოლიანი იტალიელმა **მარიალეტიცია ძავალიმ** „მშრალად“ დაამარცხა - 6:0, 6:0. ფინალურ წრეში გეგია მე-3 ნომრად განთესილ იტალიელ **ელენა ბერტოიას** (1092) ხვდება.

ნიკოლოზ ნეფარიძე



1956-66 წლების თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კალათბურთელები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე უნივერსიტეტის ვაჟ კალათბურთელთა გუნდის უცვლელი კაპიტანი, ქუთაისის საკალათბურთო სკოლის ღირსეული წარმომადგენელი, საქართველოს ნაკრებისა და თბილისის „ქარიშხალას“ მოთამაშე, ბრწყინვალე ქართველი ვაჟკაცი, განუმეორებელი მეგობარი

მურმან ნოეს ძე ხაჭაპურიძე

და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.
პანაშვიდი 26, 27. 06. 17.00 სთ. დაკრძალვა 28. 06. 15.00 სთ.
მისამართი: ერისთავ-ხოშტარიას 2.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 4. ტრეკი; 5. მეტსოუ; 6. სპიცი; 9. ისლა; 10. სპრინტი; 11. ფიბა; 14. ფიშერი; 15. "პორტუ"; 16. ილარიუ; 17. „სლავია“; 18. "ინტერი"; 20. ანელკა; 24. ლიპი; 25. კრიკეტი; 27. „ვილა“; 30. იეპესი; 31. ონილი; 32. ოზილი.

შვეულად: 1. ბასბი; 2. ფერარი; 3. ლაპტა; 4. ტულუპი; 5. მიქსტი; 7. ინსბრუკი; 8. ჰიტი; 12. არბიტრი; 13. ფორლანი; 14. ფრიცი; 19. ნოიერი; 21. კოლერი; 22. "გრემიო"; 23. ეტოო; 26. კოკაია; 28. ალენ; 29. სენა.

შავი ზღვის თასი

ბრიუმფით ბუქარესტიდან

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ბუქარესტში გამართული „შავი ზღვის თასის“ გათამაშება მოიგო. „პატარა ბორჯღალოსნებმა“ ფინალში მასპინძელთა ნაკრებს დამაჯერებლად სძლიეს 27:8.

მატჩი ქართველი მორაგბეების აშკარა უპირატესობით წარიმართა და უკვე 23-ე წუთისთვის 15:0 იგებდნენ. ანგარიში პირველი ნახევრის მე-4 წუთზე ლელოთი გარემარბმა **მურაზ გიორგაძემ** გახსნა, გარდასახვა ფულბეკმა გიორგი აფციაურმა გაიტანა - 7:0.

მორიგი ლელო ჩვენმა მორაგბეებმა 11 წუთის შემდეგ მიითვალეს. ამჯერად შუამარბმა **გიორგი ნათელაშვილმა** იყოჩაღა, აფციაურს გარდასახვა გაუცუდდა, თუმცა 23-ე წუთზე მანვე საჯარიმო გაიტანა და ანგარიშში სხვაობა საკმაოდ სოლიდური გახდა - 15:0.

რუმინელები მხოლოდ ამის შემდეგ გამოცოცხლდნენ და სამ წუთში ლელო გაგვიტანეს, შესვენების შემდეგ კი მონაგარს ერთი ზუსტი საჯარიმოც შემატეს - 8:15. საქართველოს ნაკრები ამან კიდევ უფრო აგრესიული გახადა. 50-ე წუთზე ჯერ გარემარბმა **გიორგი ფრუიძემ** დაამწუხრა მასპინძლები, 16 წუთის შემდეგ კი გიორგაძემ მატჩში მეორე ლელო მიითვალა. აფციაურმა ორიდან მხოლოდ ერთი გარდასახვის რეალიზება შეძლო, თუმცა ესეც საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ ჩვენს ბიჭებს შავი ზღვის თასი საქართველოში წამოეღოთ - 27:8.

შეგახსენებთ, რომ ნახევარფინალში საქართველოს ნაკრებმა უკრაინელ თანატოლებს 68:0 მოუგო. ტურნირისთვის გუნდი მწვრთნელებმა **დავით ჩავლეიშვილმა** და **მამუკა ტყეშელაშვილმა** მოამზადეს.

მესამე ადგილისთვის მატჩში რუსეთის ნაკრებმა უკრაინელთა გუნდს 52:3 სძლია.

საქართველო-რუმინეთი 27:8

საქართველო: 15. **გიორგი აფციაური, 14. მურაზ გიორგაძე, 13. ლაშა ლაშხია, 12. გიორგი ნათელაშვილი, 11. გიორგი ფრუიძე, 10. რევაზ ჯინჭველაშვილი, 9. რევაზ ბროძელი. 1. რამაზ მაზმიშვილი, 2. ბექა ფირიაშვილი, 3. ალექსი ცისკარიშვილი, 4. მიხეილ მასხარაშვილი, 5. შალვა შაშიაშვილი, 6. საბა შუბითიძე, 7. გიორგი გოგლიძე, 8. შოთა თევზაძე.**

16. **მიხეილ ბოდოკია, 17.ბექა კარაგეზოვი, 18. ჟორჟ სალდაძე, 19. ონისე მოგელაშვილი, 20. თემურ თუთბერიძე, 21. იოსებ ტუკვაძე, 22. ილია მელაძე, 23. დვინ დევსურაშვილი, 24. ზურაბ ცუცქირიძე.**

4ლ: **გიორგაძე (2), ნათელაშვილი, ფრუიძე. 2გ,ს: აფციაური.**

ბესიკ ჯანგავაძე

ლეგიონერები

ბეზიემ ფედერალ 1 მოიგო

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონის გათამაშება ყველაზე გვიან დასრულდა. აქ ფინალში ერთმანეთს ქართველ მორაგბეთა გუნდები „პერიგო“ და „ბეზიე“ დაუპირისპირდნენ. ორივე გუნდს ელიტური, მეორე დივიზიონის საგზური მოპოვებული აქვს და, ცხადია, ფინალში მხოლოდ პრესტიჟისთვის იბრძოდნენ.

ლაშა მალაღურაძის და **გიორგი მჭედლიშვილის** „ბეზიემ“ მეტოქის ორ საჯარიმოს ამდენივეთი უპასუხა და ზედ ერთი გარდასახული ლელოც მიაყოლა - 13:6. ამრიგად, ლანგედოკელები ფედერალ1 დივიზიონის გამარჯვებულები გახდნენ.

„პერიგოს“ შემადგენლობაში ოთხივე ქართველმა, **თედო ზიბზიბაძემ, ალექსანდრე მარგველაშვილმა, ირაკლი ნინიძემ** და **დავით დადუნაშვილმა** ითამაშა.

ჯერჯერობით უცნობია, ზემოთ ჩამოთვლილი მოთამაშეებიდან რომელი გააგრძელებს კონტრაქტს კლუბებთან და რომელი სხვა გუნდში გადაბარგდება.

სამაგიეროდ, უკვე ცნობილი გახდა რამდენიმე ქართველი მორაგბის მომავალი კლუბის ვინაობა. საქართველოს ნაკრების გარემარბმა **ირაკლი მაჩხანელმა,** რომელმაც გასული სეზონი „მაკონში“ გაატარა, ხელშეკრულება ელიტური, მეორე დივიზიონიდან გავარდნილ „სენტ ეტიენთან“ გააფორმა. „მაკონი“ დატოვა მესამეხაზელმა **ბესო უდესიანმაც.** სად განაგრძობს ის კარიერას, ჯერჯერობით უცნობია.

გია ლაბაძისა და **რეზო ბელქანიას** „ლე სეინში“ ჩაირიცხა საქართველოს ნაკრების მეორეხაზელი **ვახტანგ მაისურაძე,** რომელიც აქამდე „სენ ნაზერში“ ასპარეზობდა.

„ფიჟაკი“ დატოვა და „სენ ჟუნიენში“ გადაბარგდა საქართველოს ნაკრების მგზავი **მერაბ კვირიკაშვილი.** ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გუნდი ფედერალ1 დივიზიონში ასპარეზობს.

ბესიკ ჯანგავაძე

შვიდკაცა რაგბი. ევროპის გრან პრი

მოსკოვში სამი საფეხურით წინ

მოსკოვში დასრულდა შვიდკაცა რაგბის გრან პრის მეორე ეტაპი, სადაც საქართველოს ნაკრებმა მეოთხე ადგილი დაიკავა. „შვიდკაცა ბორჯღალოსნებმა“ პირველი ეტაპისგან განსხვავებით, რომელიც ერთი კვირის წინ საფრანგეთის ქალაქ ლიონში გაიმართა, ჯგუფურ ტურნირში შესანიშნავად იასპარეზეს, ხუთიდან ოთხი თამაში მოიგეს, მეორე ადგილი დაიკავეს, რითაც ტურნირზე პირველობისთვის ბრძოლის გაგრძელების უფლება მიიღეს.

საქართველოს ნაკრებმა სტარტზე საკმაოდ ძლიერი საფრანგეთის ნაკრები დაამარცხა 12:7, მომდევნო მეტოქე რუმინეთის გუნდი იყო, რომელსაც შედარებით იოლად ვძლიეთ 21:12. ძალიან გაგვიჭირდა უკრაინასთან შეხვედრაში, აქ ჩვენმა გუნდმა ორი ქულის სხვაობით იძალა.

ერთადერთი მარცხი „შვიდკაცა ბორჯღალოსნებმა“ ესპანეთის ნაკრებისგან იგემეს - 5:24. თუმცა ჯგუფური ტურნირი უელსის ძლიერი გუნდის მშრალი ანგარიშით დამარცხებით დაასრულეს - 14:0.

სამწუხაროდ, ჩვენმა ნაკრებმა, რომელიც მოსკოვში რადიკალურად სახეცვლილი წარდგა, ნახევარფინალი და მესამე ადგილისთვის მატჩები, შესაბამისად, პორტუგალიისა და ესპანეთის ნაკრებებთან დათმო და, როგორც უკვე ვთქვით, მოსკოვურ ეტაპზე მე-4 ადგილს დასჯერდა. შეგახსენებთ, რომ წინა ლიონის ეტაპზე საქართველოს ნაკრები მე-7 იყო.

საქართველოს ნაკრები

დავით ჩიტიძე, გიორგი კობერიძე, ალექსანდრე ტჩაშვილი, ირაკლი ღვინჯილია (ოთხივე-ლოკომოტივი), ირაკლი გეგენავა, შალვა მახარაშვილი (ორივე-ყოჩები), გიორგი თხილაიშვილი (ბათუმი XV), მერაბ შარიქაძე, ლევან გოგოლაშვილი (ორივე-აკადემია), გიორგი კალმახელიძე, ბექა შიწაძე (ორივე-არმია), ზაქარია ზირაქაშვილი (ხარები).

B ჯგუფი

საქართველო-საფრანგეთი 12:7, საქართველო-რუმინეთი 21:12, ესპანეთი-საქართველო 24:5, საქართველო-უკრაინა 14:12, საქართველო-უელსი 14:0

ნახევარფინალი

საქართველო-პორტუგალია 10:24, ინგლისი-ესპანეთი 24:14

III ადგილისთვის

საქართველო-ესპანეთი 0:27

ფინალი

ინგლისი-პორტუგალია 24:14

საბოლოო მდგომარეობა

1. ინგლისი, 2. პორტუგალია, 3. ესპანეთი, 4. საქართველო, 5. საფრანგეთი, 6. უელსი, 7. რუსეთი, 8. იტალია, 9. რუმინეთი, 10. უკრაინა, 11. მოლდოვა, 12. ჰოლანდია.

ბესიკ ჯანგავაძე

msy.gov.ge

ჩოგბურთი. ინტერვიუ ანა ტატიშვილთან

ამერიკაში ცხოვრება მარტივია



ანა ტატიშვილმა საქართველო 13 წლის ასაკში დატოვა. მისი მშობლები ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდნენ საცხოვრებლად და ანა, რომელიც იმ დროს უკვე აქტიურად იყო დაკავებული ჩოგბურთით, კრის ევერტის აკადემიაში მოხვდა. WTA-ის ტურში პირველი მატჩი 2008 წელს ჩაატარა და ცინცინატის ტურნირში **საბინ ლისიცკისთან** დამარცხდა. სადებიუტო გამარჯვებას მხოლოდ 2010 წელს მიაღწია - პონტე ვედრაში **მაგდალენა რიბარიკოვას** მოუგო. სამი თვის შემდეგ პირველად მიაღწია WTA-ის ტურნირის მეოთხედფინალამდე. ეს პრაღაში მოხდა, სადაც მან კვლავ რიბარიკოვა და ჩეხი **ევა ჰრდინოვა** დაამარცხა.

ანამ წელს პირველად ითამაშა „დიდი სლემის" ტურნირზე - როლან გაროსზე პირველ წრეში წააგო **მარიონ ბარტოლისთან,** თუმცა პირველი სეტი მას დარჩა - 6:1. უიმბლდონის პირველ წრეში ტატიშვილს მეტოქედ რუსი **ანასტასია პივოვაროვა** ერგო და მას სამ სეტში აჯობა - 3:6, 6:2, 6:3, რითაც კარიერაში პირველად გავიდა „დიდი სლემის" ტურნირის მეორე წრეში. იქ კი ბელგიელ **იანინა ვიკმაიერთან** მატჩში ისევ მოიგო პირველი სეტი, მაგრამ მომდევნო ორი პარტია უფრო გამოცდილ მეტოქეს დარჩა.

ეს ინტერვიუ უიმბლდონის წინ WTA-ის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

- როგორ მოხვდით ჩოგბურთში?

- ოთხი წლისა და რვა თვის ასაკში დავიწყე თამაში. ჩემი და - თამთა, რომელიც ჩემზე ორი წლით უფროსია, ჩოგბურთით იყო გატაცებული, დავაკვირდი მას და გამოვაცხადე, რომ მეც მინდოდა ჩოგანი! 13 წლის ვიყავი, როცა ამერიკაში გადავედით და კრის ევერტის აკადემიაში ჩავირიცხე.

- სად და ვისთან ვარჯიშობთ დღეს?

- იან მაიერთან და მამაჩემთან. მამა ჩემთან ერთად მოგზაურობს ტურნირებზე, დედა კი შინ - ფლორიდაში რჩება. კვლავაც ევერტის აკადემიაში ვვარჯიშობ. მართალია, აკადემიაში აღარ ვსწავლობ, მაგრამ მაინც მაძლევენ იქაური კორტების გამოყენების საშუალებას.

- გქონდათ კრის ევერტთან თამაშის საშუალება?

- რა თქმა უნდა! მე მას დიდი ხანია ვიცნობ და ადრე პერიოდულად კორტზე ვხვდებოდით ერთმანეთს. ახლა ჩვენ მეგობრები ვართ.

- როგორ შეგიძლიათ დაახასიათოთ თქვენი სათამაშო სტილი?

- დროის დიდ ნაწილს უკანა ხაზზე ვატარებ, მაინცდამაინც არ მიყვარს მოწოდება. დღეისთვის ბევრს ვმუშაობ ბადესთან გასვლებზე.

- ვინ იყო ბავშვობაში თქვენი კერპი?

- შტეფი გრაფი.

- ნებისმიერი ჩოგბურთელისგან რომელიმე ილეთის გადაღება რომ შეგეძლოთ, რას აირჩევდით?

- ავიღებდი გრაფის მოწოდებას. მაგრამ თუ მოქმედ ჩოგბურთელებზე მეკითხებით, ფედერერის მოწოდება მინდა მქონდეს, თუმცა არც სერენა უილიამსის მოწოდებაზე ვიტყოდი უარს.

- ვინ იყო თქვენი ყველაზე რთული მოწინააღმდეგე?

- კონკრეტულად ერთი ჩოგბურთელის გამოყოფა მიჭირს. ბევრი რთულია მატჩი მქონია.

- განტვირთვისთვის რა საშუალებას იყენებთ?

- მიყვარს კინოში სიარული, შოპინგი, ხშირად პლაჟზე გავდივარ.

- ერთი სიტყვით დაახასიათეთ საკუთარი თავი.

- ეს რთულია. იქნებ, მხიარული გოგონა, ხანდახან ზედმეტადაც კი.

- მოგვიყევით თქვენი განათლების შესახებ.

- სკოლა დავამთავრე, მაგრამ ჩოგბურთის გამო უნივერსიტეტში არ ჩამიბარებია. იმედი მაქვს, უახლოეს მომავალში დისტანციური სწავლების საშუალება მექნება. არ ვიცი, რა მიმართულებას ავირჩევ, მაგრამ ეს არ იქნება ფიზიკა ან სხვა ზუსტი მეცნიერება. მე უფრო ისტორია და ენები მიზიდავს.

- რამდენ ენაზე ლაპარაკობთ?

- ქართულად, რუსულად და ინგლისურად.

- ცხოვრების დიდი ნაწილი აშშ-ში გაატარეთ. გრძნობთ თავს ამერიკელად?

- შესაძლოა, მაგრამ მე საქართველოში დავიბადე და ჩემში ქართული სისხლი ჩქეფს. დიახ, უკვე დიდი ხანია აშშ-ში ვარ. იქ არის თავისუფლება და ცხოვრება უფრო მარტივი ჩანს. უკვე თვე-ნახევარია ევროპაში ვიმყოფები და დარწმუნებული ვარ, აქ ყველაფერი გაცილებით რთულია. ამერიკაში ყველა უფრო კომფორტურად გრძნობს თავს.

- ადამიანის რა თვისება იწვევს თქვენში აღფრთოვანებას?

- პატიოსნება.

- პლანეტის ნებისმიერ ადამიანთან შეხვედრის საშუალება რომ გქონდეთ, ვის აირჩევდით?

- პარიზში ვიყავი, ლუვრს ვესტუმრე და „მონა ლიზა" ვნახე. ამიტომაც ვისურვებდი ლეონარდო და ვინჩისთან შეხვედრას.

- რისი შესწავლა გსურთ?

- ორატორული ხელოვნების, მაგრამ ამ სფეროში არანაირი ნიჭი არ გამაჩნია.

- რა ნივთს წაიღებდით პირველ რიგში დაუსახლებელ კუნძულზე?

- კარგ წიგნს, მოწყენილობისგან რომ არ მოვკვდე. ბევრი წიგნი წავიკითხე. ბოლო იყო „დორიან გრეის პორტრეტი".

- სად ისურვებდით არდადეგების გატარებას?

- ვოცნებობ ირლანდიაში მოგზაურობაზე, სადაც არასოდეს ვყოფილვარ, თუმცა ვგეგმავ იქ გამგზავრებას.

- თქვენი მიზნები ჩოგბურთში?

- ამჟამად ეს არის ტოპ-ასეულში მოხვედრა, აგრეთვე ნებისმიერ მატჩში გამარჯვება. გარდა ამისა, სტაბილურობას მინდა მივაღწიო.

- ჩოგბურთი რომ არა, რა გზას აირჩევდით?

- ამაზე არ მიფიქრია, რადგან ბავშვობიდან მხოლოდ ჩოგბურთზე ვფიქრობდი.

უიმბლდონის 10 დიადი მატჩი

ლამაზი ჯადოსნური ზღაპარი



90-იანი წლების ბოლოს ავსტრალიელი **პატრიკ რაფტერი** ბადესთან თამაშის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი იყო. მას შესანიშნავი მოწოდება და სასტარტო სისწრაფე ჰქონდა, კარგად შეეძლო კოორდინაცია და ბრწყინვალედ მოქმედებდა ბადესთან. პატრიკს წლები დასჭირდა მსოფლიოს საჩოგბურთო ელიტაში შესასვლელად და სხვათა შორის, ისტორიაშიც მოხვდა - ყველაზე მცირე ხანი ლიდერობდა მსოფლიო რეიტინგს.

2000 წელს რაფტერი საუკეთესო ათეულის მიღმა აღმოჩნდა, მაგრამ ნებისმიერისთვის მრისხანე მეტოქედ რჩებოდა. მისი ძალა საკუთარ თავზე იწვნია **ანდრე აგასიმ**, რომელმაც ავსტრალიელთან უიმბლდონის ნახევარფინალში წააგო. განსხვავებული სათამაშო სტილის მოთამაშეთა შესანიშნავი ხუთსეტიანი მატჩი ტურნირის კლასიკად იქცა. ფინალში პატრიკმა კარგი ჩოგბურთი აჩვენა, მაგრამ სარეკორდო მეშვიდე ტიტულისკენ მიმავალი **პიტ სამპრასი** ვერ შეაჩერა.

2001 წლის უიმბლდონზე რაფტერი მესამე ნომრად იყო განთესილი - სამპრასისა და აგასის შემდეგ. მან იოლად გაიარა ორი ჩეხის - **ვაჩეკისა** და **დოსედალის** ბარიერი, დაამარცხა მაროკოელი **ჰიშამ არაზი**, გატეხა რუსი **მიხაილ იუჟნის** წინააღმდეგობა. მეოთხედფინალში შვედმა **ტომას ენკვისტმა** მხოლოდ მესამე სეტში მიაღწია ტაიბრეიკს, მაგრამ ავსტრალიელი აქაც ძლიერი იყო და ისევ ანდრე აგასიზე გავიდა. და ამჯერადაც გამარჯვებულის გამოსავლენად ხუთი სეტის ჩატარება გახდა საჭირო. ანდრემ შარშანდელი წაგებისთვის რევანში ვერ აიღო - რაფტერმა ზედიზედ მეორედ მოუგო ამერიკელს და ფინალში გავიდა.

გადამწყვეტ მატჩში ავსტრალიელის მეტოქე უიმბლდონზე უაილდ-ქარდით მოხვდა. ტურნირის სამგზის ფინალისტი (ორი წაგება სამპრასისგან და ერთი - აგასისგან), მსოფლიოს ყოფილი მეორე ჩოგანი და ტურის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული ფიგურა **გორან ივანიშევიჩი** იმ მომენტში 225-ე ადგილს იკავებდა ATP-ის რეიტინგში. უიმბლდონის ორგანიზატორებს დიდხანს არ უფიქრიათ და ხორვატ ლეგენდას მორიგი შანსი მისცეს.

თავიდან ივანიშევიჩს სატურნირო ბადის მხრივ გაუმართლა. მისი პირველი მეტოქე იყო კვალიფიკაციის გამარჯვებული შვედი **ფრედრიკ იონსონი**, რომელსაც გორანმა იოლად მოუგო, მეორე მონინააღმდეგე - მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **კარლოს მოია**. მაგრამ ესპანელი ბალახზე არასოდეს ბრწყინავდა, ასე რომ, მან ღირსეული წინააღმდეგობა ვერ გაუწია აგრესიულ გორანს. შემდეგ უფრო საინტერესო მეტოქეები წამოვიდნენ - **ენდი როდიკიცა** და **გრეგ რუსეკიც** იმავე სტილს მისდევდნენ, რომლითაც ხორვატი თამაშობდა და, შესაძლოა, უფრო ძლიერი მოწოდებაც ჰქონდათ. მაგრამ ივანიშევიჩი უკვე ბრწყინვალე ფორმაში იყო შესული და ამერიკელს ოთხ სეტში მოუგო, ბრიტანელს - სამში. გორანი ვერც **მარატ საფინმა** შეაჩერა. ნახევარფინალში, დრამატულ ხუთსეტიან მატჩში ივანიშევიჩმა ინგლისელი გულშემატკივრების იმედები დაამსხვრია, როცა **ტიმ ჰენმანი** დაამარცხა. თუმცა გორანი ლონდონში მაინც უყვარდათ და ფინალის დღეს ცენტრალური კორტის პუბლიკის ორი-მესამედი ხორვატულ დროშებს აფრიალებდა.

პირველ პარტიაში ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ ხორვატი უკეთ იყო განწყობილი ბრძოლისთვის - რაფტერის მოწოდებაზე უკანა ხაზთან ჩარჩენილი ივანიშევიჩი ახერხებდა ბადესთან გასული მეტოქისთვის ქულების ართმევას. პატრიკს თავისი შთამბეჭდავი კოორდინაციაც არ შველოდა - დასამახსოვრებელი იყო ერთი ლამაზი მომენტი, როცა რაფტერმა საცირკო ილეთით მოიგერია ივანიშევიჩის „სმეში", მაგრამ ხორვატი ყურადღებით იყო და განმეორებითი დარტყმით ქულა აიღო. ერთადერთი ბრეიკი, რომელიც ივანიშევიჩმა მეორე გეიმში აიღო, გადამწყვეტი აღმოჩნდა და გორანმა პირველი სეტი 6:3 მოიგო.

ცხადი იყო, რომ ერთნაირი სტილის მოთამაშეთა მატჩში ბრეიკების მინიმალური რაოდენობა იქნებოდა. და კვლავ ყველაფერი მეორე გეიმმა გადაწყვიტა. ივანიშევიჩმა ორი ორმაგი შეცდომა დაუშვა, პატრიკმა კი მოულოდნელად მიღებული ბრეიკ-პოინტი კროსით მოიგო. საერთოდ, რაფტერმა მეორე სეტში მნიშვნელოვნად მოუმატა თამაშს და თავის მოწოდებაზე შეუჩერებელი იყო. ხუთი საკუთარი გეიმის განმავლობაში ავსტრალიელმა მეტოქეს მხოლოდ სამი ქულა დაანება. სეტი მან 6:3 მოიგო.

მესამე პარტიისთვის ორივე ჩოგბურთელმა იპოვა საკუთარი თამაში და მაყურებელს შეეძლო მაქსიმალური სიამოვნება მიეღო ბალახისთვის დამახასიათებელი კლასიკური ჩოგბურთით. და კვლავ სეტის ბედი ერთადერთმა ბრეიკმა გადაწყვიტა. ამჯერად რაფტერი ჩავარდა - მეექვსე გეიმში მან რამდენიმე შეცდომა დაუშვა, გადამწყვეტი ქულა კი გორანმა ლამაზად მოიგო - მიღებისთანავე თავზე გადაუგდო ბურთი ბადესთან გასულ მეტოქეს. ივანიშევიჩმა უპირატესობა ძლიერი მოწოდებებით განამტკიცა, რომლებსაც ავსტრალიელი უბრალოდ ვერ წვდებოდა. ბოლო გეიმში რაფტერმა მაინც გაუმართა ბრძოლა ივანიშევიჩს, მაგრამ ხორვატი ისევ მთავარმა იარაღმა - მოწოდებამ გადაარჩინა. სეტბოლი მან მეორე მოწოდებით მოიგო - ავსტრალიელი ძლიერ დარტყმას არ ელოდა და ბადეს გაარტყმა ბურთი - 6:3.

რაფტერს უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდა. მეოთხე სეტი მან ერთი ამოსუნთქვით ჩაატარა. ავსტრალიელი მეტოქეზე უკეთაც კი აწვდიდა, არადა, ეს თითქმის შეუძლებელი იყო. მეექვსე გეიმში ბრეიკ-პოინტის მოგერიების შემდეგ რაფტერმა აიღო მეტოქის მოწოდება. ივანიშევიჩმა იგრძნო, რომ შეიძლება კარიერაში მეოთხე ფინალიც წაეგო და ანერვიულდა. 2:5-ზე მან ეისით მოიგერია ბრეიკ-პოინტი, შემდეგ პირველი მოწოდებისას შეცდა, მეორე კი ხაზის გაყოლებაზე ჩაანოდა, მაგრამ კვადრატში ვერ მოახვედრა. მსაჯმა დაიძახა: Out! და მაყურებელმა ისევ იხილა „ძველი" ივანიშევიჩი - მან კორტზე ჩოგანი დაახეთქა და მსაჯთან კამათი დაიწყო. საუბარი რამდენიმე წუთი გაგრძელდა, მაგრამ გორანმა ვერაფერს მიაღწია, შემდეგ გათამაშებაში კი რაფტერმა სეტბოლი გამოიყენა.

მეხუთე სეტში ორივე ჩოგბურთელი ფრთხილ თამაშს ამჯობინებდა. მეტოქეებმა შვიდ-შვიდი საკუთარი გეიმი აიღეს და ერთმანეთის შეცდომის მოლოდინში იყვნენ. მიდიოდა ნერვების თამაში და რაოდენ საოცარია, მას რაფტერმა ვერ გაუძლო. საკუთარი მოწოდების დროს 15:15-ზე მან თავიდან კორტს ააცილა ბურთი, შემდეგ პირველი მოწოდება ვერ გამოიყენა, მეორეს დროს კი ივანიშევიჩმა იდეალურად ითამაშა მიღებაზე - საპასუხო კროსით ბურთმა ავსტრალიელის გვერდით ჩაიარა. ბრეიკ-პოინტისას ზუსტად გამეორდა წინა გათამაშება, ოღონდ ამჯერად გორანმა გადამწყვეტი ბურთი ფორჰენდით ჩააგდო.

მე-16 გეიმში „თანაბარზე" ივანიშევიჩმა მატჩბოლი მიიღო. კამერა ხან გორანის მამას აჩვენებდა მსხვილი ხედით, ხან თავად ჩოგბურთელს, რომელიც ძლივს იკავებდა ცრემლებს. მაგრამ რაფტერი დანებებას არ აპირებდა - მან მოიგერია ერთი მატჩბოლი, მეორე... განსაკუთრებით ლამაზად ითამაშა პატრიკმა მესამე მატჩბოლისას - მეტოქეს თავზე გადაუგდო ბურთი, რომელიც ზუსტად უკანა ხაზზე დაეშვა. მაგრამ ივანიშევიჩმა იქვე მეოთხე მატჩბოლი მოიპოვა. პირველი მოწოდება მიზანს აცდა, მეორეს დროს რაფტერმა მოუხერხებელი დარტყმით ბადეს მოახვედრა ბურთი. ბედნიერი ხორვატი ბალახზე დაეცა. უიმბლდონის ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, ტურნირი უაილდქარდის მფლობელს მოეგოს. ბუნებრივია, მატჩის შემდეგ ივანიშევიჩმა, პირველ რიგში, მადლობა გადაუხადა ორგანიზატორებს ამ შანსისთვის.

რაფტერისთვის ეს იყო ბოლო უიმბლდონი - იმ სეზონში მან კარიერა დაასრულა. ივანიშევიჩი 2004 წელს ისევ გამოჩნდა ლონდონურ ბალახზე, მაგრამ მესამე წრეში ულაპარაკოდ წააგო **ლეიტონ ჰიუიტთან**. უიმბლდონზე ახალი გმირები გამოჩნდნენ, გორან ივანიშევიჩის გამარჯვება კი სამუდამოდ შევიდა ისტორიაში, როგორც ლამაზი ჯადოსნური ზღაპარი.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

● ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

იოანის ბურუსისი

საბერძნეთში სკანდალია

ᲑᲔᲠᲫᲜᲣᲚ კალათბურთში სეზონის დასრულების შემდეგ სერიოზული სკანდალი აგორდა. ჯერ ერთი, „ოლიმპიაკოსსა“ და **რადოსლავ ნესტეროვიჩს** შორის კონტრაქტის განყვეტა, სავარაუდოდ, სერიოზულ კონფლიქტში გადაიზრდება, რადგან ბერძნული გრანდი არაპირებს სლოვენიელისთვის 1.3 მილიონი ევროს ოდენობის კომპენსაციის გადახდას.

მაგრამ უფრო ხმაურიანი სკანდალი უკავშირდება იმავე „ოლიმპიაკოსის“ კიდევ ერთ ცნობილ ცენტრს **იოანის ბურუსისს**. საბერძნეთის ნაკრების კალათბურთელი სერიოზულ უსიამოვნებებში გაეხვია.

საქმე ისაა, რომ საბერძნეთის პოლიციამ გამოავლინა დიდი დანაშაულებრივი დაჯგუფება, რომელიც სპორტში ყველასთვის ცნობილი ხერხებით შოულობდა დიდ ფულს. ეს იყო ჩაწყობილი საფეხბურთო თამაშები, ქრთამები, მოსყიდვა, შანტაჟი, მუქარა და დოპინგი. სწორედ ამ ბოლო პუნქტის გამო აქვს პრობლემა ბურუსისს.

როგორც გაირკვა, იოანისი ამ მაფიის ერთ-ერთი მთავარი პირის, საფეხბურთო კლუბ „კავალას“ მფლობელის **მაკის ფსომიადისის** სიძეა. პოლიციას გააჩნია სატელეფონო ჩანაწერი, რომელშიც ბურუსისი უცენზურო სიტყვებით მოიხსენიებს „ოლიმპიაკოსის“ მეპატრონეებს და გუნდიდან წასვლის სურვილს გამოთქვამს, მაგრამ, რაც მთავარია, ცენტრმა გაუფრთხილებლობით დოპინგის გამოყენება აღიარა. ამ ჩანაწერში ის ახსენებს რაღაც „ვიტამინებს“, რომელიც მორიგი მატჩის წინ უნდა მიიღოს.

სერ ჩარლზი არმაგედონს წინასწარმეტყველებს

როგორც ჩანს, სულ მალე ახდება ლეგენდარული ცენტრის **პატრიკ იუინგის** ოცნება და ის ერთპიროვნულად ჩაიბარებს NBA-ის კლუბს. ამჟამად იუინგი „ორლანდო მეჯიკში“ მთავარი მწვრთნელის **სტენ ვან განდის** ასისტენტად მუშაობს.

სხვადასხვა წყაროს მეშვეობით ცნობილი გახდა, რომ „დეტროიტ პისტონზის“ ხელმძღვანელობამ წინასწარი მოლაპარაკებები გამართა იუინგთან, თუმცა საუბრის დეტალები პრესისთვის უცნობი დარჩა.

პატრიკი უკვე დიდი ხანია ოცნებობს რომელიმე გუნდში მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე.

„იმედგაცრუებული ვარ იმის გამო, რომ ვერაფრით ვახერხებ წინ ნაბიჯის გადადგმას. ბევრს ვშრომობ და ველოდები, როდის მომცემენ შანსს.

ბევრი ჩემს კანდიდატურას სერიოზულად არ აღიქვამს. ამბობენ, რომ მარტო ცენტრების გაწვრთნა შემიძლია, თუმცა მე სრულფასოვანი მწვრთნელი გახლავართ“, - განაცხადა ამასწინ იუინგმა.

■ ■ ■

NBA-ის მეორე ლეგენდა **ჩარლზ ბარკლი** გულშემატკივრებს იმის გამო უყვართ, რომ სათქმელს პირდაპირ ამბობს. თუმცა ორი დღის წინ Chicago Sun-Times-ში გამოქვეყნებული მისი სიტყვები არავის არ მოეწონებოდა.

„როგორც ჩანს, ახალ სეზონში კალათბურთი არ გვექნება - ყველაფერი ამაზე მეტყველებს. კლუბების მფლობელები მზად არიან იმისთვის, რომ არმაგედონი მოაწყონ“, - განაცხადა სერ ჩარლზმა მოსალოდნელი ლოკაუტის შესახებ.

■ ■ ■

თუ HoopsHype-ს დავუჯერებთ, „ჰიუსტონი როკეტსი“ აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს „გოლდენ სტეიტთან“ ლატვიელი ცენტრის **ანდრის ბიედრინშის** ხელში ჩასაგდებად. ჯერჯერობით უცნობია, სანაცვლოდ რას სთავაზობენ ტექსასელები „მეომრებს“. ბიედრინშისადმი ინტერესი იმაზე მიუთითებს, რომ **იაო მინის** დაბრუნება მოსალოდნელი არ არის.

ამასობაში, „გოლდენ სტეიტის“ ლიდერს **მონტა ელისს** მობეზრდა გაუთავებელი ჭორები მისი სავარაუდო ტრეიდის შესახებ. მცველმა კლუბის ბოსებს ახალი სამუშაო ადგილის მოძებნა მოსთხოვა - რადგან არ მაფასებთ, თქვენთან საქმის დაჭერა არ მინდაო!

■ ■ ■

ამასწინანდელი დრაფტის მეხუთე ნომერი, „ლეტუვოს რიტასის“ ფორვარდი **იონას ვალანჩუნასი**, სავარაუდოდ, ევროპაში არ დარჩება - მან დაუყოვნებლივ NBA-ში გადასვლის სურვილი გამოთქვა. შეგახსენებთ, ნიჭიერი ახალგაზრდა „ტორონტომ“ აირჩია.

„ბედნიერი ვარ იმით, რომ „ტორონტოს“ მაისურს მოვირგებ. ერთი სული მაქვს, როდის გავიცნობ გუნდს და დავათვალიერებ ქალაქს, - ამბობს ლიტველი. - *ძალიან მინდა, რაც შეიძლება სწრაფად გადავიდე NBA-ში. ეს ჩემი მთავარი ოცნებაა“.*

■ ■ ■

ამ ზაფხულს, შესაძლოა, კლუბი გამოიცვალოს „მემფის გრიზლისის“ ცენტრმა მარკ გასოლმა. უახლოეს დროში ესპანელი შეუზღუდავი უფლებების თავისუფალი აგენტი გახდება, „მემფისთან“ კი მან ვერ შეძლო ახალ კონტრაქტზე მოლაპარაკება. ეს ინფორმაცია „მემფისის“ მენეჯერმა **კრის უოლასმაც** დაადასტურა.

■ ■ ■

ბოლოს რამდენიმე ევროპული სიახლე. „ეფეს პილსენმა“ სლოვენიელ ფორვარდ **ბოსტჯან ნახბართან** განშორება გადაწყვიტა, „ბარსელონამ“ კი ერთი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი მეორე სლოვენიელ **ერაზემ ლორბეკთან**.

იტალიის „მილანი“, რომელსაც ცოტა ხნის წინ **სერჯო სკარიოლო** ჩაუდგა სათავეში, არგენტინელი გამთამაშებლის **პაბლო პრიჯიონისა** და „ბარსელონას“ ექს-ცენტრის **ბონიფაცი ნდონგის** გაფორმებას აპირებს. აგრეთვე, მილანელები უახლოეს დროში დაიმატებენ მცველ **ომარ კუკს**.

● ᲰᲝᲙᲔᲘ

შვედეთი ნიჭიერების ქვეყანაა

NBA-ის დრაფტის შემდეგ ნიჭიერი მოთამაშეების „ბაზრობა“ NHL-შიც გაიმართა. მისი მასპინძელი მინესოტა იყო.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ დრაფტის საუკეთესო მოთამაშე პირველი ნომერი გახდა. **რაიან ნაჯენტ-ჰოპკინსი** „ედმონტონ ოილერზმა“ აიყვანა. ყველანაირი პროგნოზით ეს ფორვარდი ახალგაზრდა კანადური კლუბის ერთ-ერთი ლიდერი უნდა გახდეს. „ედმონტონში“ ბევრი ნიჭიერი ჰოკეისტია - **ჯორდან ებერლე, ტეილორ ჰოლი, მაგნუს პაიარვი-სვენსონი**... ახლა მათ ნაჯენტ-ჰოპკინსიც დაემატა. „ოილერზი“ განწირულია რამდენიმე წლის შემდეგ ლიგაში ლიდერობისთვის.

მეორე ნომრის არჩევის უფლება ჰქონდა „კოლორადოს“ და აქაც მოულოდნელობა არ მომხდარა - „ზვავებმა“ არჩევანი შვედ **გაბრიელ ლანდესკოგზე** შეაჩერეს. „კოლორადოში“ მიდის NHL-სთვის ყველაზე მომზადებული მოთამაშე, რომელიც ხუთი წლის შემდეგ, სავარაუდოდ, „ეველანშის“ კაპიტანი გახდება.

მესამე ნომრად „ფლორიდა“ ირჩევდა. „პანტერებს“ „ედმონტონმა“ და „კოლორადომ“ **ჯონათან ჰუბერდო** დაუტოვეს. **ნათან ჰორტონის** „ბოსტონში“ გაშვების შემდეგ „ფლორიდაში“ ცენტრფორვარდების დეფიციტია და ჰუბერდო სწორი არჩევანი იყო. მას უკვე ადარებენ **პატრის ბერჟერონსა** და **ვენსან ლეკავალიეს** და გუნდის ლიდერის როლს უწინასწარმეტყველებენ. თუმცა ჰუბერდოს წელს, შესაძლოა, არ მოუწიოს NHL-ში თამაშმა, რადგან ჯერ ფიზიკურად სუსტია.

მეოთხე ლოგიკური გადაწყვეტილება „ნიუ ჯერსის“ ეკუთვნის - მცველი **ადამ ლარსონი**, რომელიც დარჩენილ მოთამაშეებს შორის საუკეთესო გახლდათ.

რიგში მეხუთე იყო „აილენდერსი“, რომელსაც წესით დაცვის გაძლიერებაზე უნდა ეზრუნა და შეეძლო **დაგ ჰემილტონი** აეყვანა, მაგრამ არჩევანი **რაიან სტროუმზე** შეაჩერა. ეს ნიჭიერი ცენტრფორვარდი კარგ წყვილს შექმნის **ჯონ ტავარესთან**. თუმცა დაცვის პრობლემა რჩება და ნიუიორკული კლუბისთვის ჯერ ადრეა პლეი ოფზე ფიქრი.

პირველი სიურპრიზი „ოტავამ“ შემოგვთავაზა. მოლოდინისამებრ „სენატორებმა“ ცენტრფორვარდი აირჩიეს, მაგრამ **შონ კოტურიეზე** მაღლა **მიკა ზიბანეჯადი** დააყენეს, რითაც გააფართოვეს საკუთარი შვედური კოლონია.

შემდეგი არჩევანი აქვს „ვინიპეგს“ (მისმა ხელმძღვანელობამ დრაფტის დაწყებამდე გამოაცხადა, რომ კლუბს ძველი სახელწოდება - „ჯეტსი“ დაუბრუნეს). ვინ გახდება ახალი გუნდის ისტორიაში პირველი ახალბედა? იმ მომენტისთვის საუკეთესოები იყვნენ კოტურიე და მცველები - ჰემილტონი და **რაიან მერფი**. „ვინიპეგმა“ უცნაური გადაწყვეტილება მიიღო - **მარკ შაიფლი** აირჩია, რომელიც ჯერ მზად არ არის NHL-სთვის. ისე კი გასულ სეზონში „ბერი კოლტსის“ პლეიმეიკერმა 66 მატჩში 75 ქულა (22+35) დააგროვა.

„ფილადელფიას“ ჯერი დადგა, რომელმაც დრაფტის ამ არჩევანისთვის თავისი ლიდერი **ჯეფ კარტერი** შეინირა. „მფრინავებმა“ დრაფტის ყოფილი ფავორიტი კოტურიე მერვე ნომრად აირჩიეს.

მეცხრე ნომრად ირჩევდა სტენლის თასის მფლობელი „ბოსტონი“. აქ სიურპრიზი არ ყოფილა - „დათვებმა“ დრაფტის ერთ-ერთ საუკეთესო მცველზე დაგ ჰემილტონზე შეაჩერეს არჩევანი, რომელსაც ყველა თვისება აქვს, გახდეს ლიგის ელიტური მცველი.

დრაფტის ათეულში მეოთხე შვედი მოხვდა - ეს ქვეყანა ევროპელებს შორის აშკარად დომინირებს ბოლო წლებში. მასპინძელმა „მინესოტამ“ მცველ **იონას ბროდინს** მიანიჭა უპირატესობა.

ᲓᲠᲐᲤᲢᲘᲡ ᲯᲝᲯ-ᲐᲗᲔᲣᲚᲘ:

1. ედმონტონი - რაიან ნაჯენტ-ჰოპკინსი (ფორ)
2. კოლორადო - გაბრიელ ლანდესკოგი (ფორ)
3. ფლორიდა - ჯონათან ჰუბერდო (ფორ)
4. ნიუ ჯერსი - ადამ ლარსონი (მცვ)
5. აილენდერსი - რაიან სტროუმი (ფორ)
6. ოტავა - მიკა ზიბანეჯადი (ფორ)
7. ვინიპეგი - მარკ შაიფლი (ფორ)
8. ფილადელფია - შონ კოტურიე (ფორ)
9. ბოსტონი - დაგ ჰემილტონი (მცვ)
10. მინესოტა - იონას ბროდინი (მცვ)

ჰუბერდო, ნაჯენტ-ჰოპკინსი და ლანდესკოგი

ფილადელფია ლიდერებს იშორებს

ᲰᲝᲙᲔᲘᲡ ეროვნული ლიგის დრაფტს წინ უძღოდა რამდენიმე საინტერესო ტრეიდი. განსაკუთრებით „გულუხვი“ იყო „ფილადელფია ფლაიერზი“, რომელიც რამდენიმე საათის განმავლობაში ორ ლიდერს შეელია.

თავდაპირველად „მფრინავებმა“ „კოლამბუსში“ გაუშვეს ფორვარდი **ჯეფ კარტერი**, რომელმაც ცოტა ხნის წინ 11-წლიანი კონტრაქტი გააფორმა კლუბთან. მის ნაცვლად „ფილადელფიამ“ მიიღო თავდამსხმელი **იაკუბ ვორაჩეკი** და 2011 წლის დრაფტზე პირველ და მესამე რაუნდში არჩევის უფლება.

„ფლაიერზმა“ კარტერი 2003 წლის დრაფტზე მე-11 ნომრად აიყვანა. 26 წლის ჰოკეისტს NHL-ში 461 მატჩში 343 ქულა (181+162) აქვს მოპოვებული. 21 წლის ვორაჩეკმა მსოფლიოს საუკეთესო ლიგაში 241 მატჩის ჩატარება მოასწრო და 134 ქულა (29+95) მიითვალა.

კარტერის შემდეგ „ფილადელფიამ“ თავიდან მოიშორა კაპიტანი **მაიკ რიჩარდსი**, რომელიც „ლოს ანჯელესში“ გააგრძელებს კარიერას. მის სანაცვლოდ „ფილიმ“ ფორვარდები - **ბრენდენ შენი** და **უეინ სიმონდსი** მიიღო. პირველს NHL-ში მხოლოდ ცხრა მატჩი აქვს ჩატარებული, სიმონდსმა კი 240 შეხვედრაში 93 ქულა (39+54) მოიპოვა.

26 წლის რიჩარდსის კარიერა NHL-ში 453 მატჩსა და 349 ქულას (133+216) ითვლის. ჰოკეისტის ამჟამინდელი კონტრაქტი კიდევ ცხრა წელი იმოქმედებს. მაიკის წლიური ხელფასია 5.7 მილიონი დოლარი.

გაცვლილი ფილადელფიელები

■ ■ ■

დრაფტის დღეს მეორე მსხვილი გარიგება „ჩიკაგომ“ განახორციელა. მან „ფლორიდაში“ გაუშვა 32 წლის მცველი **ბრაიან კემპბელი**. მისი ხელფასი წელიწადში 7.1 მილიონ დოლარს უდრის, თუმცა „ფლორიდას“ ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ფულს არ დაიშურებს კლუბის კრიზისიდან გამოსაყვანად - „პანტერებს“ პლეი ოფში ზედიზედ 10 (!) წელია არ უთამაშიათ.

კემპბელის სანაცვლოდ „ჩიკაგომ“ ფორვარდი **როსტისლავ ოლეში** მიიღო, რომელმაც შარშან ტრავმის გამო მხოლოდ 41 მატჩი ჩაატარა.

■ ■ ■

დრაფტის მსვლელობისას მოულოდნელი ტრეიდი განხორციელდა „სან ხოსესა“ და „მინესოტას“ შორის. „ზვიგენების“ ფორვარდმა **დევინ სეტოგუჩიმ** ერთი დღით ადრე გააფორმა ახალი სამწლიანი კონტრაქტი, მეორე დღეს კი ის „მინესოტაში“ გაუშვეს. გარდა ამისა, „უაილდმა“ **ჩარლი კოილი** და 2011 წლის დრაფტის პირველ რაუნდში არჩევის უფლება მიიღო.

მის ნაცვლად „სან ხოსემ“ 26 წლის მცველი **ბრენტ ბერნსი** გადაიბირა, რომელმაც გასულ სეზონში 80 მატჩში 46 ქულა დააგროვა.

■ ■ ■

„კოლორადოს“ საუკეთესო მცველი **ჯონ-მაიკლ ლაილზი** „ტორონტოში“ გადავიდა. კანადურ კლუბს მის სანაცვლოდ მხოლოდ 2012 წლის დრაფტზე მეორე რაუნდში არჩევის უფლების დათმობამ მოუწია.

30 წლის ჰოკეისტმა შარშან 76 მატჩში 46 (6+40 ქულა) დააგროვა.

ᲒᲕᲔᲠᲓᲘ ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲚᲐ
ᲒᲘᲐ ᲗᲕᲐᲚᲐᲑᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

● ფორმულა 1. ევროპის გრანპრი



ფეტელს ვერავინ დაენია

ფეტელის რვიდან ექვსი

სებასტიან ფეტელი („რედ ბული“) დამაჯერებლად მოიგო ევროპის გრანპრი და სეზონში მეექვსე გამარჯვებას მიაღწია. მისი უპირატესობა საერთო ჩათვლაში უკვე 77 ქულას უდრის.

შაბათის კვალიფიკაციის შემდეგ სასტარტო ბილიკის პირველი რიგი „რედ ბულის“ პილოტებს ეკავათ. სტარტის შემდეგ ფეტელმა და **მარკ უებერმა** შეინარჩუნეს თავიანთი პოზიციები, **ფელიპე მასამ** („ფერარი“) კი ბრწყინვალე სტილში მეხუთედან მესამე ადგილზე გადაინაცვლა და შემდეგ ოპტიმისტურად სცადა უებერის გასწრება, მაგრამ იძულებული გახდა სიჩქარე დაეგდო, რითაც თანაგუნდელი **ფერნანდო ალონსო** წინ გაუშვა. ორივე „მაკლარენმა“ არასახარბიელო სტარტი აჩვენა - **ლუის ჰემილტონი** მხოლოდ მასას შეცდომის ხარჯზე აღმოჩნდა მეოთხეზე, **ჯენსონ ბატონი** კი მეშვიდე ადგილამდე დაეშვა და **ნიკო როსბერგის** („მერსედესი“) უკან აღმოჩნდა. თუმცა მეექვსე წრეზე ბატონმა შეძლო ლამაზ სტილში გერმანელის უკან ჩამოტოვება. ასე რომ, მეშვიდე-მეათე პოზიციაზე მხოლოდ გერმანელი პილოტები იყვნენ - როსბერგი, **მიხაელ შუმახერი** („მერსედესი“), **ადრიან სუტილი** („ფორს ინდია“) და **ნიკ ჰაიდფელდი** („ლოტუს-რენო“).

ოპტიმისტური პროგნოზების მიუხედავად, „პირელის“ რბილი საბურავები ვალენსიურ მზეს ვერ უძლებდნენ და პირველი პიტსტოპების ტალღა მე-11 წრეზე დაიწყო. როგორც მოსალოდნელი იყო, „რედ ბულის“ პილოტებმა მნიშვნელოვანი ჰანდიკაპის მიღება ვერ შეძლეს: გერმანულ-ავსტრალიურ წყვილთან ახლოს იყვნენ ჰემილტონი და ორივე „ფერარი“. ბოქსებში პირველ შესვლას ძალთა თანაფარდობა არ შეუცვლია.

ძალიან საინტერესო ბრძოლა მიდიოდა პელოტონის შუაში. ერთ-ერთი ასეთი დუელი **ვიტალი პეტროვისა** („ლოტუს-რენო“) და შუმახერის შეჯახებით დასრულდა: მეორე მოსახვევში არც ერთმა არ გადაუხვია არჩეულ ტრაექტორიას და პეტროვი უკანა საბურავით შეეხო „მერსედესის“ წინა ანტიფრთას. რუსის ბოლიდი არ დაზარალებულა, გერმანელს კი მექანიკოსებთან შევლამ მოუწია.

ამასობაში, წინ გარკვეული პრობლემები შეექმნა „რედ ბულის“ დუეტს: საბურავების ახალი კომპლექტით ფეტელი ვერაფრით ახერხებდა უებერის ჩამოშორებას, მარკმა კი ძალიან ახლოს მიუშვა ალონსო. საბოლოოდ, ესპანელმა 21-ე წრეზე გაუსწრო უებერს. ახლოს იყო ჰემილტონიც, ხოლო მასა და ბატონი ამ ყველაფერს შორიდან უყურებდნენ და არ ითვლებოდნენ პოდიუმის პრეტენდენტებად.

ალონსოს გატარების შემდეგ უებერმა მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ მის მანქანას ჰქონია სისწრაფის რეზერვი - ის კვალში ჩაუდგა ალონსოს „ფერარის“ და ექვსი წამით ჩამოიტოვა ჰემილტონი. სისწრაფეს უმატა ფეტელმაც, რომელმაც ფერნანდოსთან ჰანდიკაპი სამ წამამდე გაზარდა. ბატონმა კი ვერ შეძლო მასასთან მიახლოება.

ლიდერთაგან მეორე პიტსტოპი ჰემილტონმა გახსნა, დანარჩენებმა კი დაახლოებით ხუთი წრე დაიცადეს. გაჩერებათა მეორე ტალღამ უებერი მეორე ადგილზე დააბრუნა: ალონსოზე ერთი წრით ადრე შესვლით, „რედ ბულის“ პილოტმა მოასწრო ახალი საბურავების უპირატესობის გამოყენება და გაუსწრო „ფერარის“.

ამის შემდეგ უებერი დაახლოებით ორ წამს უგებდა ალონსოს და წესით, ყველაფერი მესამე პიტსტოპს უნდა გადაეწყვიტა. ამ ბრძოლაში არ იმუშავა უებერის ტაქტიკამ, რომელიც უფრო ნაადრევ მესამე პიტსტოპში გამოიხატებოდა. ფერნანდო მაქსიმალურად გვიან შევიდა ბოქსებში და ისევ მეორე პოზიციაზე გადავიდა. ამავდროულად, ფეტელმა უპრობლემოდ გაიარა მესამე პიტსტოპი და სხვაობა „ფერარისთან“ რვა წამამდე აიყვანა. ჰემილტონმა, მასამ და ბატონმა მშვიდად შეინარჩუნეს თავიანთი პოზიციები. საერთო ჯამში, ფინიშამდე აღარაფერი შეცვლილა. ალონსო არ ჩანდა ფეტელის გამსწრები, რადგან მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონის უპირატესობა ეჭვს არ ინვევდა.

როგორც ვთქვით, გერმანელის უპირატესობა უახლოეს მდევართან 77 ქულამდე გაიზარდა და ის შემდეგი სამი რბოლის გამოტოვების შემთხვევაშიც შეინარჩუნებს ლიდერობას. თუმცა სებასტიანი რიგით მეორე ჩემპიონობაზე ჯერ არ ფიქრობს.

„პირად ჩათვლას არ ვუყურებ, რადგან წინ კიდევ ბევრი რბოლაა გასამართი. რა თქმა უნდა, სეზონის სტარტი ფენომენალური გამოვიდა და გვინდა ასეთ სტილში გავაგრძელოთ ჩემპიონატი.

თუ ჩვენ გამარჯვების შანსი გვაქვს, არ ვდუნდებით და ბოლომდე ვიბრძვით, რადგან მოგება ძალიან სასიამოვნო გრძნობაა.

სამი წლის განმავლობაში ჩვენი გუნდი ნაბიჯ-ნაბიჯ ვითარდებოდა. „რედ ბულში“ ყველა მიმართულებით პროფესიონალები მუშაობენ. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავკმაყოფილდეთ მიღწეულით. ეს წაგების ტოლფასი იქნება.

შესაძლოა, გვერდიდან ისე ჩანს, რომ იოლად ვიგებთ რბოლებს, მაგრამ ეს ასე არ არის. ამჯერად ფერნანდო ალონსოსა და მარკ უებერის მუდმივი ზეწოლის ქვეშ ვიმყოფებოდი, ასე რომ, ვცდილობდი ყოველი წრე რაც შეიძლება სწრაფად გამევლო“, - განაცხადა ფეტელმა.

„ვფიქრობ, მეორე ადგილი დღეისთვის ჩვენი მაქსიმუმია. ისიც დიდი მიღწევაა, რომ ორ „რედ ბულს“ შორის აღმოვჩნდი.

„ფერარი“ სწორი მიმართულებით მიდის და შემდეგ რბოლაში კიდევ უფრო ძლიერები ვიქნებით.

ადრე ლიდერებთან წრეზე 1.5 წამს ვაგებდით, ახლა კი სხვაობა მხოლოდ 0.7 წამი იყო. უნდა შევეცადოთ, სხვაობა ორჯერ შევამციროთ. არ შევწყვეტთ მუშაობას იქამდე, სანამ ბოლიდისგან მაქსიმუმს არ მივიღებთ“, - განაცხადა მეორე ადგილზე გასულმა ალონსომ.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ევროპის გრან-პრი. VIII ეტაპი

ვალენსია (57 წრე, 308.883 კმ)

1(1). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია)	1:39.36,169
2(4). ფერნანდო ალონსო (ფერარი, იტალია)	+10,891
3(2). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია)	+27,255
4(3). ლუის ჰემილტონი (მაკლარენი, ბრიტანეთი)	+46,190
5(5). ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია)	+51,705
6(6). ჯენსონ ბატონი (მაკლარენი, ბრიტანეთი)	+1.00,065
7(7). ნიკო როსბერგი (მერსედესი, გერმანია)	+1.38,090
8(18). ხაიმე ალგერსუარი (ტორო როსო, ესპანეთი)	1 წრე
9(10). ადრიან სუტილი (ფორს ინდია, გერმანია)	1 წრე
10(9). ნიკ ჰაიდფელდი (ლოტუს-რენო, გერმანია)	1 წრე
11(16). სერხიო პერესი (ზაუბერი, მექსიკა)	1 წრე
12(13). რუბენს ბარიკელო (უილიამსი, ბრაზილია)	1 წრე
13(17). სებასტიან ბუემი (ტორო როსო, შვეიცარია)	1 წრე
14(12). ჯულ დი რესტა (ფორს ინდია, ბრიტანეთი)	1 წრე
15(11). ვიტალი პეტროვი (ლოტუს-რენო, რუსეთი)	1 წრე
16(14). კამუი კობაიაში (ზაუბერი, იაპონია)	1 წრე
17(8). მიხაელ შუმახერი (მერსედესი, გერმანია)	1 წრე
18(15). პასტორ მალდონადო (უილიამსი, ვენესუელა)	1 წრე
19(19). ჰეიკი კოვალაინენი (ლოტუსი, ფინეთი)	2 წრე
20(20). იარნო ტრული (ლოტუსი, იტალია)	2 წრე
21(21). ტიმო გლოკი (ვირჯინი, გერმანია)	2 წრე
22(23). ჟერომ დ'ამბროზიო (ვირჯინი, ბელგია)	2 წრე
23(22). ვიტანტონიო ლიუზი (HRT F1, იტალია)	3 წრე
24(24). ნარაიან კართიკეიანი (HRT F1, ინდოეთი)	3 წრე

საერთო ჩათვლა

1. **სებასტიან ფეტელი** (რედ ბული, გერმანია) - 186 (6 მოგება); 2. **ჯენსონ ბატონი** (მაკლარენი, ბრიტანეთი) - 109 (1); 3. **მარკ უებერი** (რედ ბული, ავსტრალია) - 109; 4. **ლუის ჰემილტონი** (მაკლარენი, ბრიტანეთი) - 97 (1); 5. **ფერნანდო ალონსო** (ფერარი, იტალია) - 87; 6. **ფელიპე მასა** (ფერარი, ბრაზილია) - 42; 7. **ნიკო როსბერგი** (მერსედესი, გერმანია) - 32; 8. **ვიტალი პეტროვი** (ლოტუს-რენო, რუსეთი) - 31; 9. **ნიკ ჰაიდფელდი** (ლოტუს-რენო, გერმანია) - 30; 10. **მიხაელ შუმახერი** (მერსედესი, გერმანია) - 26; 11. **კამუი კობაიაში** (ზაუბერი, იაპონია) - 25; 12. **ადრიან სუტილი** (ფორს ინდია, გერმანია) - 10; 13. **სებასტიან ბუემი** (ტორო როსო, შვეიცარია) - 8; 14. **ხაიმე ალგერსუარი** (ტორო როსო, ესპანეთი) - 8; 14. **რუბენს ბარიკელო** (უილიამსი, ბრაზილია) - 4; 16. **ჯულ დი რესტა** (ფორს ინდია, ბრიტანეთი) - 2; 16. **სერხიო პერესი** (ზაუბერი, მექსიკა) - 2.

კონსტრუქტორთა თასი

1. **რედ ბული** - 295 ქულა; 2. **მაკლარენი** - 206; 3. **ფერარი** - 129; 4. **ლოტუს-რენო** - 61; 5. **მერსედესი** - 58; 6. **ზაუბერი** - 27; 7. **ტორო როსო** - 16; 8. **ფორს ინდია** - 12; 9. **უილიამსი** - 4.

● ცხელი ხაზი

ფეხბურთი

მს. ჩემპიონატი

UNDER 17

ურუგვაი-ინგლისი	0:2
კანადა-რუანდა	0:0
აშშ-ახ. ზელანდია	0:0
ჩეხეთი-უზბეკეთი	1:2
ბურკინა ფასო-ეკვადორი	0:2
პანამა-გერმანია	0:2

ევრო 2011

UNDER 21

ბელარუსი-ჩეხეთი	1:0
ესპანეთი-შვეიცარია	2:0

კონკაკაფი

ფინალი

აშშ-მექსიკა	2:4

მს. ჩემპიონატი

ქალები

ნიგერია-საფრანგეთი	0:1
გერმანია-კანადა	2:1

ამხანაგური მაგჩები

ეკვადორი-მექსიკა	0:1
ბოჰემიანსი-ნიტრა	5:1
ბანიკი (ს)-პლზენი	1:3
ჟილინა-კრაკოვია	0:0
ბანიკი (ო)-შენიცა	4:1
ვადუცი-აალენი	1:0
კოლუმბია-სენეგალი	2:0
ბოხუმი-მუნსტერი	4:0
ერფურტი-ბრაუნშვაიგი	0:4

ნორვეგია

ოლესუნდი-ლილესტრიომი	1:0
სიოგნდალი-ფრედრიკსტადი	0:1
ოდ გრენლანდი-ჟიოლდე	1:0
სტარტი-ვოლერენგა	0:2
სტრიომსგოდსეტი-ჰაუგესუნდი	3:1
ტრომსიო-სტაბეკი	3:3
ვიკინგი-რუსენბორგი	0:0

II დივიზიონი

რანჰაიმი-სანდეფიორდი	2:1
ასკერი-რანდაბერგი	0:0
ბოდო გლიმტი-მიონდალენი	1:0
ბრინი-კონგსვინგერი	0:2
ჰამ კამი-ჰიოდი	2:1
ჰიონეფოსი-ალტა	2:0
ლოვ ჰამი-სანდნესი	0:3
სტრიომენი-ნილი	2:2

შვედეთი

გაის-მალმიო	2:0
მიალბიუ-ერებრო	2:1
იურგორდენი-ჰაკენი	1:0
გეფლე-გიოტებორგი	1:0
ტრელებორგი-აიკ	1:2

II დივიზიონი

დეგერფორსი-ბრაგე	5:0
ასირისკა-კვიდინგი	0:1

ირლანდია

ფილკირი-ტორი	1:1
გრინდავიკი-რეიკიავიკი	0:3
ვალური-ვიკინგური	2:1

რუსეთი

ტომი-ვოლგა	0:3
ამკარი-ცსკა	0:2
კრილია-ნალჩიკი	0:2
რუბინი-ყუბანი	0:2
ზენიტი-ტერეკი	0:0
დინამო-ლოკომოტივი	4:1
კრასნოდარი-ანჟი	2:2
სპარტაკი-როსტოვი	3:2

ირლანდია

II დივიზიონი

სოლტჰილი-ფინ ჰარპსი	0:4
ლონგფორდი-მონეგანი	1:3

ბელარუსი

ვიტებსკი-ნემანი	0:1
ტორპედო-მინსკი	2:2
დინამო (ბრ)-გომელი	1:2
დნეპრი-ნაფტანი	1:2

ლატვია

იურმალა-ოლიმპსი	2:1
სკონტო-დაუგავა	1:1
ვენტსპილსი-მეტალურგსი	0:1

ლიტვა

კლაიპედა-ეკრანასი	0:1
ტაურასი-შიაულიაი	1:1
კაუნასი-ატლანტასი	4:0
მაჟეიკიაი-დაინავა	2:2
კრუოია-სუდუვა	0:1

არგენტინა

გადათამაშება

რივერ პლეიტი-ბელგრანო	1:1

ბრაზილია

ფლამენგო-ატ. მინეირო	4:1
ატ. პარანაენსე-ბაია	0:2
კრუზეირო-კურიტიბა	2:1
კორინთიანსი-სან პაულუ	5:0
ბოტაფოგო-გრემიო	2:1
სპარა-პალმეირასი	2:0
ავაი-ფლუმინენსე	0:1

აშშ

დი სი იუნაიტედი-ჰიუსტონი	2:2
სან ხოსე-ლოს ანჯელესი	0:0
ფილადელფია-ჩივასი	3:2
კანზასი-ვანკუვერი	2:1
დალასი-პორტლენდი	4:0
სოლტ ლეიკი-ტორონტო	3:1
ჩიკაგო-ნიუ იორკი	1:1
სიეტლი-ნიუ ინგლენდი	2:1

იაპონია

კაშიმა-კავასაკი	2:2
კოფუ-კაშივა	1:4
ნიიგატა-სერეზო	1:1
ნაგოია-ურავა	1:1
ფუკუოკა-ივატა	1:2
გამბა-ჰიროშიმა	5:3
შიმიცუ-ვეგალტა	1:0
იამაგატა-იოკოჰამა	0:2
ომიია-კობე	1:1

კალათბურთი

ევრობასკეტი 2011

ქალები

ბრიტანეთი-თურქეთი	57:64
რუსეთი-ჩეხეთი	69:55
ლიტვა-ბელარუსი	68:50
საფრანგეთი-პოლონეთი	58:54
ესპანეთი-ხორვატია	71:75
ლატვია-ჩერნოგორია	70:74

● TV პროგრამა

27 ივნისი. ორშაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. ავაი-ფლუმინენსე.
12:00 კოპა ამერიკა 2007. არგენტინა-აშშ.
14:00 კოპა ამერიკა 2007. ბრაზილია-მექსიკა.
16:00 ჩოგბურთი. „დიდი სლემი“. უიმბლდონი. 1/8 ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
23:30 კოპა ამერიკა 2007. არგენტინა-კოლუმბია.
01:30 სეზონის შეჯამება. იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი.

GMG-სპორტი

10:00 ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ტიგრე-ველეს სარსფილდი.
12:00 კალათბურთი. ევროლიგა. მაკაბი-კახა ლაბორალი.
13:30 ყოველკვირეული ჟურნალი - ემოციები.
14:00 ჩოგბურთი. უიმბლდონის მიმოხილვა.
15:00 ჩოგბურთი. „დიდი სლემი“. უიმბლდონი. 1/8 ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
23:30 კალათბურთი. ევროლიგა. მაკაბი-კახა ლაბორალი.

НТВ-პლუსი (ონლაინი)

14:55 ჩოგბურთი. უიმბლდონი. 1/8 ფინალი. ლონდონი. ინგლისი (LIVE).

НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)

14:55 უიმბლდონი. 1/8 ფინალი. ლონდონი. ინგლისი (LIVE).

НТВ-პლუსი (კალათბურთი)

17:25 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. მეორე ჯგუფური ეტაპი. რუსეთი-ბრიტანეთი. პოლონეთი (LIVE).
19:55 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. მეორე ჯგუფური ეტაპი. ჩეხეთი-ლიტვა. პოლონეთი (LIVE).
22:25 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. მეორე ჯგუფური ეტაპი. ბელარუსი-თურქეთი. პოლონეთი (LIVE).

SPORT+

17:25 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. მეორე ჯგუფური ეტაპი. ბრიტანეთი-რუსეთი. პოლონეთი (LIVE).

EUROSPORT

17:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. იაპონია-ახ. ზელანდია. გერმანია (LIVE).
20:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. მექსიკა-ინგლისი. გერმანია (LIVE).

● მძლეოსნობა


ტაისონ გაი

უსაინ ბოლტი უკონკურენტოდ დარჩა

მძლეოსნობის მოყვარულებმა ამ სეზონში ერთ-ერთი მთავარი დაპირისპირების ხილვის საშუალება დაკარგეს. ამერიკელი სპრინტერი **ტაისონ გაი** ვერ შეძლებს მსოფლიოს წლევანდელ ჩემპიონატში 100 და 200 მეტრ დისტანციებზე გამოსვლას. შეგახსენებთ, რომ პლანეტის პირველობა 27 აგვისტოს სამხრეთ კორეის ქალაქ ტეგუში გაიმართება.

სააგენტო „როიტერის" ცნობით, გაიმ მარჯვენა ბარძაყის ტრავმის გამო მონაწილეობა არ მიიღო ამერიკის ჩემპიონატში, რომელიც პარალელურად მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირიცაა. ყოველ დისციპლინაში საუკეთესო სამი ათლეტი გაემგზავრება ტეგუში საასპარეზოდ. 28 წლის გაიმ ბოლო მომენტში თქვა უარი 100 მეტრზე ნახევარფინალურ გარბენში მონაწილეობაზე. ის არც მომდევნო დღეს, 200 მეტრზე სარბენად გასულა. ასე რომ, პლანეტის პირველობა ერთ-ერთი მთავარი აფიშის გარეშე დარჩა: გაი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის **უსაინ ბოლტის** წინააღმდეგ.

„ვერაფრით დავაძალე საკუთარ თავს სირბილი, თუმცა მცდელობა არ დამიკლია. ახლა, ჩემი ერთადერთი მიზანი - აღდგენითი პროცესია", - დაწერა Facebook-ზე ამერიკელმა მორბენალმა.

გაის კიდევ აქვს მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლის შანსი - ის უნდა მოხვდეს 4x100 მეტრზე ესტაფეტის შემადგენლობაში. ოღონდ ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ის დროულად მოირჩენს ტრავმას და ეროვნული ფედერაციისგან, გამონაკლისის სახით, ჩემპიონატის საგზურს მიიღებს.

„მან უნდა აკრიფოს სპორტული ფორმა და დაადასტუროს მზადყოფნა, - განაცხადა აშშ-ის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა **ჰაიტაუერმა**. - *სამწუხაროა, რომ ტაისონმა ტრავმა მიიღო და სწრაფად გამოჯანმრთელებას ვუსურვებთ".*

● ცურვა

მანოდუს მეორედ მოსვლა

ლორ მანოდუ

სახელოვანმა ფრანგმა მოცურავემ **ლორ მანოდუმ** სპორტული კარიერის გაგრძელება გადაწყვიტა.

ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა აუზში დაბრუნება ორწლიანი შესვენების შემდეგ გადაწყვიტა. ეს პაუზა პირველი ბავშვის გაჩენით იყო გამოწვეული.

„მე ვბრუნდები, - განუცხადა ჟურნალ Le Journal du Dimanche-ს მანოდუმ. - *ჯერჯერობით კონკრეტულ გეგმებს არ ვაწყობ. გასაგებია, რომ ჯერ არ ვარ მზად მსოფლიოს 2011 წლის ჩემპიონატისთვის, მაგრამ ამ მიმართულებით ვიმუშავებ".*

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა აღიარა, რომ ძალიან უნდა ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლა. *„ნებისმიერი მოცურავე, ვისაც ერთხელ მაინც მიუღია მონაწილეობა ოლიმპიადაში, იქ დაბრუნებაზე ოცნებობს. მეც იგივე მინდა, მაგრამ ჯერ უნდა დავაკვირდე, რა ფორმას ავკრეფ უახლოესი სამი თვის განმავლობაში"*, - ამბობს ფრანგი მოცურავე.

მომავალი სეზონისთვის სრულფასოვან მზადებას მანოდუ ოქტომბერში ამერიკის ქალაქ ობერნში დაიწყებს.

● ფორმულა 1

მარკ უებერი ფრანგებთან მიდის?


მარკ უებერი

საავტომობილო პრესა კვლავ მსჯელობს ავსტრალიელი **მარკ უებერის** მომავალი კარიერის შესახებ. გუშინ პრესაში გაჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ „რედ ბულის" პილოტი უკვე მომდევნო სეზონიდან „ლოტუს-რენოს" წევრი გახდება.

მართალია, 34 წლის ავსტრალიელი აცხადებს, რომ შესანიშნავად გრძნობს თავს ავსტრიულ საჯინიბოში, მისი ადგილი მომავალი სეზონისთვის, შესაძლოა, „მაკლარენის" ამჟამინდელმა პილოტმა **ლუის ჰემილტონმა** დაიკავოს.

„მე და მარკი მრავალი წელია ერთმანეთს ვიცნობთ. დროდადრო განვიხილავდით ჩვენს გუნდში მისი გადმოსვლის პერსპექტივებს, მაგრამ ეს საკითხი კატეგორიულად არასოდეს დამისვამს, რადგან თავად უნდა გამოთქვას სურვილი", - განაცხადა „ლოტუს-რენოს" შეფმა **ერიკ ბუიემ**.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონის შემდეგ უებერი თავისუფალი აგენტი გახდება.

● ჩოგბურთი. უიმბლდონი 2011

ავსტრალიური სენსაცია ახლოვდება

შაბათს უიმბლდონზე, როგორც იქნა გამოიდარა და პირველად სრულფასოვანი დღის ჩატარება მოხერხდა. ამის წყალობით სრულად დაკომპლექტდა მერვედფინალური წყვილები ქალებსა და მამაკაცებს შორის.

ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო მოქმედმა ჩემპიონმა **სერენა უილიამსმა**, რომელიც ყველანაირად ბაძავს თავის უფროს დას - **ვენუსს**. ამ უკანასკნელს დაზე ერთი დღით ადრე უწევს საკუთარი მატჩების ჩატარება და მეორე დღეს იმავე გზას სერენა გადის. ვენუსმა პირველ ორ წრეში სამსეტიანი მატჩები ითამაშა და იგივე გააკეთა სერენამ. ბოლო მატჩებში კი მათ უფრო დამაჯერებელი თამაში აჩვენეს და ორ-ორ სეტში გაიმარჯვეს.

სერენამ მესამე წრეში **მარია კირილენკო** დაამარცხა. რუსმა პირველი სეტის დასაწყისში საკუთარი გეიმი წააგო, შემდეგ მეტოქის მონდოებაზე ვერაფერს გახდა და პარტია დათმო. მეორეში გადამწყვეტი აღმოჩნდა მესამე გეიმი, რომელიც დაძაბულ ბრძოლაში სერენამ აიღო. იმ მომენტში ამერიკელს შესანიშნავი სერია ჰქონდა - ზედიზედ 17 გათამაშებიდან 16 მოიგო. ბოლოს კირილენკომ გაბრძოლება სცადა, სამი მატჩბოლი მოიგერია, მაგრამ მეოთხე ჯერზე უილიამსმა კარიერაში 36-ედ მოიპოვა „დიდი სლემის" ტურნირების მერვედფინალის საგზური.

მერვედფინალში სერენას მეტოქე იქნება **მარიონ ბარტოლი**, რომელმაც ზედიზედ მეორე მატჩში მოიპოვა ურთულესი გამარჯვება. ფრანგი სამი საათი ებრძოდა იტალიელ **ფლავია პენეტას**, რომელსაც მატჩზე ჩაწოდების შანსი ჰქონდა, მაგრამ ვერ გამოიყენა და მესამე სეტი 7:9 წააგო.

ამავე ეტაპზე გამოეთიშა ბრძოლას კიდევ ერთი იტალიელი - **ფრანჩესკა სკიავონე**. ავსტრიელ **ტამირა პაჩეკთან** მატჩის მესამე სეტი კიდევ უფრო დიდხანს გაგრძელდა. სხვათა შორის, ფრანჩესკა ორჯერ აწვდიდა მატჩზე და ავსტრიელმა ორივეჯერ მოიგერია საფრთხე და პარტია 11:9 მოიგო. 20 წლის პაჩეკი პირველად გავიდა „დიდი სლემის" მეოთხე წრეში.

კიდევ ერთი მოულოდნელი მერვედფინალისტია ჩეხი **პეტრა ჩეტკოვსკა**, რომელმაც ორ პარტიაში გაიარა **ანა ივანოვიჩის** ბარიერი.

ერთ-ერთმა ფავორიტმა **მარია შარაპოვამ** ორი დღის განმავლობაში ორი მატჩი ჩაატარა. **ლაურა რობსონთან** რთული გამარჯვების შემდეგ რუსმა იოლად დაამარცხა ჩეხი **კლარა ზაკოპალოვა**. პირველი პარტიის დამაჯერებლად მოგების შემდეგ, მარიამ ოდნავ დათმო მეორის დასაწყისში, მაგრამ დროულად დაიბრუნა ჩვეული თამაში და მოიგო - 6:2, 6:3.

■ ■ ■

სენსაციის შანსი არსებობდა დღის ბოლო მატჩში, რომელშიც სეზონის ლიდერი **ნოვაკ ჯოკოვიჩი მარკოს ბაღდატისს** ხვდებოდა. ოთხი წლის წინ მათ შესანიშნავი მეოთხედფინალი ითამაშეს უიმბლდონზე. მაშინ ისინი დაახლოებით თანაბარნი იყვნენ სტატუსით, ახლა კი ნოვაკი პირველი ჩოგანის ტიტულისთვის იბრძვის, მარკოსი კი ტოპ-50-ის შუაში იმყოფებოდა. თუმცა კუნძულელმა ნამდვილი ბრძოლა გაუმართა სერბს. ჯოკოვიჩმა დიდი გაჭირვებით აიღო პირველი სეტი. მეორეში ბაღდატისმა იმარჯვა. უმნიშვნელოვანეს მესამე სეტში ყველაფერი ერთმა ბრეიკმა გადაწყვიტა, რომელიც ჯოკოვიჩმა 40:0-დან მოიგო. რაც შეეხება მეოთხე სეტს, აქ ნოვაკს წარმატება ნაადრევმა ბრეიკმა მოუტანა.

თუმცა იმ დღეს სენსაცია მაინც მოხდა. ავსტრალიელი ბერნარდ ტომიჩი ბოლო 21 წლის განმავლობაში პირველი მოთამაშე გახდა, ვინც 18 წლის ასაკში უიმბლდონის მერვედფინალში გააღწია. ბოლოს ასეთი წარმატება **მაიკლ ჩანგსა** და **გორან ივანიშევიჩს** ჰქონდათ.

პირველ ორ წრეში ტომიჩმა რუსები - **ნიკოლაი დავიდენკო** და **იგორ ანდრეევი** დაამარცხა, ამჯერად კიდევ უფრო სერიოზული გამოცდა ელოდა შვედი **რობინ სიოდერლინგის** სახით. მიუხედავად იმისა, რომ სკანდინავიელი ჯანმრთელობის მხრივ მოიკოჭლებდა, ის მაინც ფავორიტად იყო მიჩნეული. თუმცა მან ეს სტატუსი პირველი სეტის შემდეგ დაკარგა - ტომიჩი სასტარტო პარტიის 17 (!) წუთში 5:0 დაწინაურდა. ამ დროის განმავლობაში მან მხოლოდ სამი გათამაშება წააგო.

მეორე სეტის სტარტზე სიოდერლინგმა კორტზე ექიმს უხმო, რის შემდეგაც გაცილებით მოუმატა თამაშს, მაგრამ მატჩის გადარჩენა ვერ მოახერხა. მეორე და მესამე სეტებში ტომიჩმა მინიმალური უპირატესობით გაიმარჯვა და მერვედფინალში **ქსავიე მალისეს** შეხვდება.

ავსტრალიელის წარმატება არ გაკვირვებია ნოვაკ ჯოკოვიჩს, რომელიც ამ უიმბლდონზე ტომიჩთან სპარინგებს მართავდა.

„მას შეუძლია ამ ტურნირის სიურპრიზი გახდეს, - განაცხადა ჯოკოვიჩმა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ტომიჩმა პირველ წრეში დავიდენკო დაამარცხა. - *ის ტურის ერთ-ერთი უნიჭიერესი ახალგაზრდა მოთამაშეა. ბერნარდს დიდი გზა აქვს გასავლელი, თუმცა უკვე დღეს შეუძლია დიდი ჩოგბურთელების დამარცხება".*

როგორც ხედავთ, ნოვაკი პროგნოზებშიც ძლიერი ყოფილა.

** კაცები**

III წრე

რაფაელ ნადალი (ესპ, 1)-ჟილ მოულერი (ლუქ) 7:6, 7:6, 6:0; **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 24)**-ჟილ სიმონი (საფ, 15) 7:6, 7:6, 7:5; **მარდი ფიში (აშშ, 10)**-რობინ ჰაასე (ჰოლ) 6:3, 6:7, 6:2, :1 ჰაასეს უარი; **ტომას ბერდიხი (ჩეხ, 6)**-ალექს ბოგომოლოვი (აშშ) 6:2, 6:4, 6:3; **ლუკაშ კუბოტი (პოლ)**-გაელ მონფილსი (საფ, 9) 6:3, 3:6, 6:3, 6:3; **დავიდ ფერერი (ესპ, 7)**-კაროლ ბეკი (სლოვაკ) 6:4, 6:3, 6:3; **ჟო ვილფრიდ ცონგა (საფ, 12)**-ფერნანდო გონსალესი (ჩილე) 6:3, 6:4, 6:3; **მიხაილ იუჟნი (რუს, 18)**-ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 16) 4:6, 6:3, 7:6, 6:3; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 3)**-დავიდ ნალბანდიანი (არგ, 28) 6:4, 6:2, 6:4; **ბერნარდ ტომიჩი (ავსტრა)**-რობინ სიოდერლინგი (შვედ, 5) 6:1, 6:4, 7:5; **ქსავიე მალისე (ბელ)**-იურგენ მელცერი (ავსტრია, 11) 7:6, 6:3, 6:0; **მიკაელ ლოდრა (საფ, 19)**-იუნ-ჰსუნ ლუ (ტაივ) 6:3, 6:3, 6:1; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2)**-მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 32) 6:4, 4:6, 6:3, 6:4.

1/8 ფინალი

ნადალი (1)-დელ პოტრო (24); ფიში (10)-ბერდიხი (6); მიურეი (4)-გასკე (17); კუბოტი-ლოპესი; ფერერი (7)-ცონგა (12); იუჟნი (18)-ფედერერი (3); ტომიჩი-მალისე; ლოდრა (19)-ჯოკოვიჩი (2).

ქალები

III წრე

ტამირა პაჩეკი (ავსტრია)-ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 6) 3:6, 6:4, 11:9; **კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1)**-იარმილა გაიდოშოვი (ავსტრა, 27) 6:3, 6:2; **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 24)**-იულია გორგესი (გერ, 16) 6:4, 1:6, 6:3; **შუია პენგი (ჩინ, 20)**-მელინდა ჩინკი (უნგ) 6:2, 7:6; **მარია შარაპოვა (რუს, 5)**-კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ) 6:2, 6:3; **საბინ ლისიცკი (გერ)**-მისაკი დო (იაპ) 6:4, 6:2; **პეტრა ჩეტკოვსკა (ჩეხ)**-ანა ივანოვიჩი (სერ, 18) 6:2, 7:6; **მარიონ ბარტოლი (საფ, 9)**-ფლავია პენეტა (იტა, 21) 5:7, 6:4, 9:7; **სერენა უილიამსი (აშშ, 7)**-მარია კირილენკო (რუს, 26) 6:3, 6:2.

1/8 ფინალი

ვოზნიაცკი (1)-ციბულკოვა (24); პენგი (20)-შარაპოვა (5); ლისიცკი-ჩეტკოვსკა; ბარტოლი (9)-ს. უილიამსი (7); პაჩეკი-პერვაკი; პეტროვა-აზარენკა (4); კვიტოვა (8)-ვიკმაიერი (19); ვ. უილიამსი (23)-პირონკოვა (32).


ბერნარდ ტომიჩი

უიმბლდონი სკანდალს გადაურჩა

უიმბლდონის უსაფრთხოების სამსახურმა აღკვეთა საპროტესტო აქცია, რომელიც „ნომერ პირველი" კორტის ტრიბუნებზე უნდა გამართულიყო. იმ დროს ამ კორტზე ესპანელი **რაფაელ ნადალისა** და ლუქსემბურგელი **ჟილ სიმონის** მატჩი მიმდინარეობდა.

როგორც გაზეთი „გარდიანი" წერს, გაერთიანება 15M London-ის 14 აქტივისტი ერთნაირი ყვითელი მაისურებით კორტის შესასვლელთან დააკავეს. თავის დაზღვევის მიზნით, დაცვის სამსახურმა არენაზე შესასვლელი სხვა კარებიც დახურა, რის გამოც ასობით გულშემატკივარმა 45 წუთის განმავლობაში ვერ შეძლო კორტზე შეღწევა. თუმცა ამას დღის განრიგზე არ უმოქმედია.

„დღეიდან ტურნირზე უსაფრთხოების ზომები კიდევ უფრო გამკაცრდება, - განაცხადა ტურნირის აღმასრულებელმა დირექტორმა **იან რიტჩიმ**. - *ორშაბათს ან მომდევნო დღეებში ეს ადამიანები ისევ შეეცდებიან პროტესტის გამოხატვას, მაგრამ ჩვენ მზად ვიქნებით".*

როგორც ცნობილი გახდა, აქტივისტების აქცია მიმართული უნდა ყოფილიყო ესპანეთში უმუშევრობის პრობლემისთვის ყურადღების მისაქცევად. დაკავებულები ესპანელები აღმოჩდნენ, რომელთა ლოზუნგი იყო - „ბრძოლა ადამიანებისთვის და არა ეკონომიკისთვის". ქვეყანაში მიღებული ეკონომიკური პოლიტიკის გამო ესპანეთის ახალგაზრდა მოსახლეობის (25 წლამდე) 40 პროცენტი უმუშევარია.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა